პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
27 ივლისი **შაბათი** 2013
№ 175 (14 091) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეჭვები ჩიხურას გარშემო




სოსო ფრუიძე: ფეხბურთელები ვერ დავიმატეთ და ვადუცს როგორ ვიყიდდით?

3

# შენგელია გამოირიცხა!

## თორნიკე საოპერაციოა და ნაკრებს ვერ დაეხმარება



„ბრუკლინ ნეთსის" გენერალურმა მენეჯერმა **ბილი ნაითმა** გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ **თორნიკე შენგელია** 31 ივლისს მუხლზე მენისკის ოპერაციას გაიკეთებს. ამ ამბის დასაზუსტებლად გვიან ღამით ამერიკაში ქართველ კალათბურთელს შევეხმიანეთ:

„სამწუხაროდ, კლუბის გენერალური მენეჯერის ინფორმაცია მართალია: დღეს ექიმებმა შემატყობინეს, რომ მენისკის ოპერაცია ოთხშაბათს - 31 ივლისს აუცილებლად უნდა გავიკეთო შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად. ვნუხვარ, რომ ნაკრებს წლევანდელ ევრობასკეტზე ვერ დავეხმარები, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, რეაბილიტაციას და მოედანზე დაბრუნებას ოქტომბრამდე ვერ შევძლებ. იმედია, ჩვენი ბიჭები სლოვენიაში გაორკეცებული ენერგიით ითამაშებენ და სასურველ შედეგსაც მიაღწევენ".

ვაჟა დანელია

## ზაზას და თორნიკეს არყოფნაში გაორმაგებული მონდომება გვმართებს

11

ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან და ნიკოლოზ ცქიტიშვილთან




9

# კლოპის და პეპის პირველი დუელი

## ბაიერნი დორტმუნდში რიბერის და ნოიერის გარეშე ჩავიდა

27 ივლისი. გერმანიის სუპერთასი: დორტმუნდი-ბაიერნი. 22:30

## ლელოს სტუმარი

თამაზ იმნაიშვილი



12

ვილაცამ ჭორი გაავრცელა, თითქოს პრეზიდენტის მოკვლას ვაპირებდი. ეს რომ მითხრეს, სიცილი ამიტყდა, შეგეშალათ, მაგაზე მე არ უნდა დაგეჭირეთ-მეთქი. აბა ვინო, ყურები ცქვიტეს - ალბათ, იფიქრეს, იქნებ რამე მართლაც იცისო, მაგრამ მე ვუთხარი, ვინ და ნინო სალუქვაძე-მეთქი. ამაზე უფრო დაიბნენ, ნინო რატომო. რატომ და გაჩერებულს ეგ ესვრის, თორემ მე ჰაერში უნდა ამიგდოთ, რომ მოვარტყა-მეთქი... ეს ამბავი მერე თბილისში ანეკდოტად დადიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● U 19. ევროპის ჩემპიონატი

26.07. მარიამპოლე.
400 მაყურებელი

საქართველო 2
თურქეთი 4

1:0 ენდელაძე (3. სამუშიას პასით), 1:1 დენიზი (16. ნიაზის პასით), 1:2 დენიზი (18. ნიაზის პასით), 2:2 კაჭარავა (50. სამუშიას პასით), 2:3 ნიაზი (58. იაზიჩის პასით), 2:4 შახინი (80).

*გამოუყენებელი პენალტი: კაჭარავა (28).*

| საქართველო | თურქეთი |
|---|---|
| მიქავა | პირი |
| მთივლიშვილი | იაზიჩი |
| სანდოხაძე | ჩინემრე |
| ჯანტურია | ჩალიკი |
| უბილავა | უჩანი |
| დვალი | შახინი |
| მარკოზაშვილი | იოკუშლუ |
| სამუშია | ნიაზი |
| ენდელაძე | აიდინი |
| ფანცულაია | ტუფანი |
| კაჭარავა | დენიზი |
| მწვრთნელი | მთ. მწვრთნელი |
| გ. ცეცაძე | ო. ბურუკი |

**საქართველო**

39. ჯანტურია — ცნობილაძე
59. სამუშია — ზარანდია
74. უბილავა — ზივზივაძე

*სათადარიგოები: თებიძე, გეგეჩკორი, გურეშიძე, ზარანდია.*

**თურქეთი**

59. აიდინი — ჩოშკიუნი
82. შახინი — გიუვენი
84. დენიზი — ბაკიში

*სათადარიგოები: თემელი, ჩეთინი.*

გაფრთხილება: მთივლიშვილი (22), ჩალიკი (25), უბილავა (25), გიუვენი (90+3).

გაძევება: მთივლიშვილი (76.)

არბიტრი: გედიმინას მაჟეიკა (ლიტვა)

**სტატისტიკა**

| საქართველო | | თურქეთი |
|---|---|---|
| 8 | კარში დარტყმა | 7 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 14 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 18 | ჯარიმა | 12 |
| 3 | გაფრთხილება | 3 |
| 1 | გაძევება | 0 |



გია ცეცაძე

# მშვიდობით, ევროპა!

სერბეთთან წაგების შემდეგ, ფაქტობრივად, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლის იმედი საქართველოს გადაეწურა. მაგრამ ჩვენი 19-წლამდელების მთავარი მწვრთნელი **გია ცეცაძე** იმედოვნებდა, რომ ბოლო თამაშში მაინც გავიმარჯვებდით.

შეხვედრაც ისე დაიწყო, უკეთესს ვერც ვინატრებდით. უკვე მე-3 წუთზე **გურამ სამუშიას** გადაცემის შემდეგ, საჯარიმოსთან ახლოს მყოფმა **ავთო ენდელაძემ** შეუჩერებლად დაარტყა და კარის "ცხრიანი" შეარხია – 1:0.

ეს ევროპის ჩემპიონატზე ქართველების გატანილი პირველი გოლი იყო. ამის შემდეგ გუნდმა გაილაღა, ორი რეალური საგოლე მომენტი ჰქონდა **გიორგი ფანცულაიას**, მაგრამ მეკარე **ონურჯან პირის** ერთხელაც ვერ აჯობა.

თურქები გონს მალე მოეგნენ და ანგარიში გაათანაბრეს: მე-16 წუთზე დასარტყმელ პოზიციაზე **რეჯებ ნიაზმა** გაიყვანეს, რომელმაც არ იხარბა და კარის წინ მარტო დარჩენილ **ოქან დენიზს** გაატანინა - 1:1. გავიდა ორი წუთიც და ზუსტად იგივე განმეორდა: ნიაზი კვლავ დასარტყმელ პოზიციაში გავიდა და დენიზს დუბლი შეასრულებინა – 1:2.

საქართველოს ნაკრებს ყურები არ ჩამოუყრია, კვლავ შეუტია და შანსიც გაჩნდა: **ჰაკან ჩინერმემ** საჯარიმოში **ნიკა კაჭარავა** წააქცია – მთავარმა არბიტრმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი. დარტყმა თავად დაზარალებულმა შეასრულა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

ამან ჩვენებზე დამთრგუნველად იმოქმედა, თურქებმა კი მწვავე შეტევების ორგანიზება შეძლეს – ჰეთ-თრიქის შესრულების შანსი გაუშვა დენიზმა, **ჩენკ ჩახინის** დარტყმის შემდეგ საოცარი რეაქცია გამოავლინა **ბაჩო მიქავამ**, საგოლე მომენტი ჰქონდა **ოკან აიდინსაც**.

ტაიმის ბოლოს თავის გამოჩენა ისევ კაჭარავას შეეძლო, რომელმაც რეალური საგოლე შესაძლებლობით ამჯერადაც ვერ იხეირა.

შესვენებამ ჩვენებზე დადებითად იმოქმედა და მეორე ტაიმი გაცილებით უკეთ დაიწყეს. 50-ე წუთზე საგოლე მომენტი ენდელაძემ გააფუჭა, თუმცა, შეტევა გაგრძელდა და სამუშიას გადაცემით კაჭარავამ ანგარიში გაათანაბრა - 2:2.

თურქებმა მაინც იძალეს: ნიაზმა 58-ე წუთზე თავისიანები კიდევ ერთხელ დააწინაურა. ჩვენების გაბრძოლება 76-ე წუთზე ლიტველმა მსაჯმა **გედიმინას მაჟეიკამ დაასრულა: დავით მთივლიშვილს** მეორე ყვითელი ბარათი აჩვენა, მოედანზე 10 კაცით დავრჩით და ცხადი გახდა - ევროპის ჩემპიონატს მოუგებლად ვტოვებდით.

მე-80 წუთზე **ჩენკ შახინმა** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა (2:4). საქართველო ევროპის ჩემპიონატს იმით დაემშვიდობა, რითაც ჩავიდა – ევროპის 8 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა. გულზე ხელი რომ დავიდოთ, ეს დღეისათვის ჩვენი ზღვარია და ყველაფრის გათვალისწინებით, მაინც წარმატებაა. და როდესაც საქართველო სხვა სფეროსა და სახეობაში მოხვდება ევროპის 8 საუკეთესოთა შორის, ჯგუფში ჩარჩენა ტრაგედიად მერე მოვნათლოთ.

■ ■ ■

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ლიდერმა სერბეთმა საფრანგეთთან 1:1 ითამაშა, რაც ორივესთვის მისაღები შედეგი იყო და ნახევარფინალში გავიდნენ.

**საფრანგეთი – სერბეთი 1:1**

1:0 იუნუ (31), 1:1 პავლოვსკი (77)

**B ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 2. საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. თურქეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-6 | 3 |
| 4. საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

**A ჯგუფი**

ლიტვა - პორტუგალია 2:4
ჰოლანდია - ესპანეთი 2:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2. პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| 3. ჰოლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 6-9 | 3 |
| 4. ლიტვა | 3 | 0 | 0 | 3 | 4-9 | 0 |

ამგვარად, ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან **სერბეთი-პორტუგალია** და **ესპანეთი-საფრანგეთი.** საქართველომ კი ევროპის ჩემპიონატი მე-7 ადგილზე დაასრულა, რადგან მასპინძელმა ლიტვამ ქულაც ვერ მოიპოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

● სიტუაცია

## გიორგი ტყავაძე:
# დინამო უფასოდაც არავის უნდოდა

"დინამო თბილისის" მიერ დიღმის სანვრთნელი ბაზის შეძენასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში გაკეთებულ განცხადებებზე განმარტებები გაკეთება კლუბის სპორტულ დირექტორს **გიორგი ტყავაძეს** ვთხოვეთ.

"ბადრი პატარკაციშვილმა სპორტსაზოგადოება „დინამოს" წინასწარ გადაუხადა 1 მილიონი დოლარი, რომელიც შემდეგ "დინამოს" ბაზის არენდაში წლების განმავლობაში უნდა გამოქვითულიყო. ამავე დროს, მე დამხვდა "დინამოსა" და სპორტსაზოგადოება "დინამოს" შორის გაფორმებული სალიზინგო ხელშეკრულება, სადაც ბაზის გამოსასყიდი თანხა ფიქსირებული იყო და 600 ათას ლარზე ნაკლებს შეადგენდა.

სპორტსაზოგადოება "დინამოს" კუთვნილებაში მყოფ სპორტულ ბაზებს რა ბედიც ეწია, ალბათ ყველას კარგად მოეხსენება. მაგალითისთვის "დინამოს" საკალათბურთო ბაზაც კმარა, რომელიც სპორტსაზოგადოება "დინამოს" დაცემის თემასაც მინდა შევეხო. ამირან ლიბრაძეს ვეთანხმები იმაში, რომ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ იყო მუდმივი პრესინგი და ზეწოლა "დინამოს" მიმართ. "დინამოს" რეპუტაციისა და პრესტიჟის გაფრთხილების მიზნით, ამ თემებზე ღია ლაპარაკს ყოველთვის ვერიდებოდი. რამდენჯერმე დაკარგულ ჩემპიონის ტიტულზეც შეიძლება საუბარი, რის შემდეგაც პატარკაციშვილების ოჯახმა გადაწყვიტა ალარ დაეფინანსებინა კლუბი და "დინამო" სხვა მფლობელისთვის გადაეცა. ვესწრებოდი ოჯახში გამართულ შეკრებას, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ "დინამო" უსასყიდლოდ გადაეცათ იმ ადამიანისთვის, ვინც კლუბს შენახვას შეძლებდა. მე მომანიჭეს მანდატი, მეწარმოებინა მოლაპარაკება.

არანაირი 10 და 15 მილიონი, 3-4 თვის მანძილზე ვის არ შევთავაზეთ "დინამოს" პატრონობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ინტერესი არავის გამოუხატავს. "დინამო"



გიორგი ტყავაძე

მიერ საქართველოს ბანკში სესხის გარანტად იქნა ჩადებული და ვალის გადაუხდელობის გამო ბანკის საკუთრებაში გადავიდა. „დინამოს" ბაზა კი, საბედნიეროდ, რომან ფიფიამ შეისყიდა, სხვათა შორის, იმაზე მეტ ფასად, ვიდრე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, კეთილმოაწყო და სამოთხედ აქცია.

ასევე გვერდს ვერ ავუვლი და "ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლის დაკარგვა მინდა გავიხსენო, რომელიც თავის დროზე "დინამოს" კუთვნილება იყო, მაგრამ 90-იან წლებში საეჭვოდაა გაჩუქებული. არადა, "დინამოს" აკადემია სწორედ იქ უნდა ყოფილიყო. ახალი აკადემიის მოსაწყობად უზარმაზარი ინვესტიციები განხორციელდა.

"დინამოს" ვითომდა ზეწოლით გაუფასოდაც არავის უნდოდა. 2010 წლის დეკემბერში ცნობილი გახდა, რომ შედგა შეხვედრა ბატონ რომან ფიფიასა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის, რომლებიც მაშინაც და ახლაც კეთილგანწყობილნი არიან ბატონი რომანის მიმართ. სიმართლე გთხრათ, ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ინვესტიციები განხორციელდებოდა კლუბში. "დინამოს" არსებობის ისტორიაში "დინამოს" ინფრასტრუქტურა ასეთ დონეზე არასოდეს ყოფილა. არასოდეს ყოფილა კლუბის ფინანსური მდგომარეობა ასეთი სტაბილური. "დინამოს" ყველა ქომაგს ახარებს, რაც დღეს "დინამოში" ხდება და ის, რომ კლუბს ასეთი პატრონი მოევლინა", - გვითხრა ტყავაძემ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ზესტაფონი

# ორი ახალი ლეგიონერი

"ზესტაფონი" ახალი სეზონის სტარტისთვის მზადებას განაგრძობს. როგორც იცით, ფეროელები შეკრებაზე თურქულ კარტეპეში იმყოფებიან. მათ ბანაკს ორი ფეხბურთელი შეუერთდა - 21 წლის სერბი მცველი **ბორისლავ ტერზიჩი**, რომელიც აქამდე სერბეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ "დონი სრემის" ღირსებას იცავდა, და მისი თანატოლი ბრაზილიელი ნახევარმცველი **რენე ფერეირა დოს სანტოსი**, რომელიც ბოლოს იაპონური "ჯეი ლიგის" წარმომადგენელ "კავასაკიში" ასპარეზობდა. მათი საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

დღეს საქართველოს ორგზის ჩემპიონი თურქულ შეკრებაზე პირველ საკონტროლო შეხვედრას გამართავს – "ზესტაფონი" თურქეთის ჩემპიონატის პირველი დივიზიონის წარმომადგენელ "მანისასპორს" დაუპირისპირდება. მატჩი თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბორისლავ ტერზიჩი



რენე ფერეირა დოს სანტოსი

● ევროტურნირები

# უეფამ მსაჯები დანიშნა



დინამო-სტიაუას რობერტ შიორგენჰოფერი განსჯის

30 ივლისს, "დინამო არენაზე", თბილისის "დინამოსა" და ბუქარესტის "სტიაუას" შორის გასამართ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ მატჩს ავსტრიელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის. შეხვედრის არბიტრი **რობერტ შიორგენჰოფერი** იქნება, რომელსაც **როლანდ ბრანდნერი** და **მათიას ვინზაუერი** დაეხმარებიან. სათადარიგო არბიტრის ფუნქციებს **კრისტიან დინტარი** შეასრულებს.

6 ივლისს ამავე გუნდების საპასუხო შეხვედრას ბუქარესტის ეროვნულ სტადიონზე ისლანდიელები გაუძღვებიან. არბიტრი – **კრისტინ იაკობსონი**, ლაინსმენები – **სიგურდურ ოლი ტორლეიფსონი** და **ბირკირ სიგურდარსონი**, მეოთხე ოფიციალური – **გუნარ იარლ იონსონი.**

რაც შეეხება ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სპლიტის "ჰაიდუკისა" და გორის "დილას" პირველ მატჩს, 1 აგვისტოს ხორვატიაში, "პოლიუდზე", მათ დაპირისპირებას ებრაელი **ეიტან შემეულევიჩი** გაუძღვება. ჯერჯერობით, უცნობია, ვინ განსჯის თბილისში მათ საპასუხო შეხვედრას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# სოსო ფრუიძე ლოგიკას ითხოვს

## ფეხბურთელები ვერ დავიმატეთ და ვადუცი როგორ ვიყიდეთ?!


სოსო ფრუიძე — ფრიდონ გეგეშიძის ფოტო

ლატვიურმა გამოცემა „ტელეგრაფმა" სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა: თითქოს, ევროპელმა ბუკმეკერებმა და სპეციალისტებმა ევროთასების საკვალიფიკაციო ეტაპებზე რამდენიმე მატჩი საეჭვოდ მიიჩნიეს, შვეიცარიულმა ბუკმეკერულმა კანტორა "ფედერბეტმა" კი ამაზე ფიფასა და უეფას აცნობა.

ამ თემას მიუძღვნა წერილი "გაზეტა დელო სპორტმაც". შესაძლო გარიგებების სიაში მოხვდა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ლატვიური „დაუგავასა" და შვედური „ელფსბორგის" შეხვედრა; აგრეთვე, ევროპის ლიგის შეხვედრები - „დაჩია"-"ტეუატა", "ჰონვედი"-"ჩელიკი" და რაც ყველაზე სამწუხაროა, "ვადუცი"-"ჩიხურას" 11 ივლისის მატჩიც.

"ტელეგრაფის" ცნობით, "ფედერბეტმა" ამ მატჩებზე უჩვეულოდ მაღალი ფსონები დააფიქსირა. საეჭვო იყო ის, რომ „ვადუცი"-"ჩიხურაზე" არაბუნებრივად ბევრი ფსონი გატანილი გოლების რაოდენობაზე (2,5-ზე ნაკლები) დაიდო და რადგან მატჩი 1:1 დასრულდა.

კომენტარისთვის "ჩიხურას" მთავარ მწვრთნელს, **სოსო ფრუიძეს** დავუკავშირდით. მის კომენტარს სიტყვა-სიტყვით გთავაზობთ.

**- თუ იცით, "ვადუცთან" თქვენი გუნდის შეხვედრას რა გამოხმაურება მოჰყვა?**

- ამ ჭორებს გუნდის დირექტორთან ერთად გავეცანი და გულიანად ვიცინე.

**- ამაში სასაცილო რა იყო?!**

- ე.ი. ამ ჭორების ლოგიკით, ერთმა გუნდმა მეორე იყიდა და შემდეგ ეტაპზე გავიდა. ანუ, რადგან გავედით, გამოდის, შვეიცარიის ჩელენჯლიგის "ვადუცი" ჩვენ ვიყიდეთ... დაახლოებით, ისეთი ვითარებაა, ქმარი ომში იყო, ცოლი ამბავს უყვებოდაო. თქვენი აზრით, ლოგიკურია იმის დაჯერება, რომ ჩვენ ვიყიდეთ ევროპული გუნდი, რომელსაც ჩვენზე მეტი ბიუჯეტი აქვს? ან როგორ გაურიგდა ამაზე მეტოქეს "ჩიხურა", რომელმაც ზაფხულში ნორმალური შეკრება ვერ გაიარა და მოთამაშეები ვერ დაიმატა?!

ამ არალოგიკურობის გამო გაგვეცინა, ხოლო ის გამოცემები, რომლებიც ამაზე სერიოზულად წერენ, იტყუებიან. ზოგადად, ევროპაში ეჭვით თუ გვიყურებენ, ეს არ ნიშნავს, რომ მათ ავადმყოფურ ფანტაზიებზე სერიოზული პასუხი უნდა გავცეთ. ეს აბსურდია და მეტი არაფერი.

**მერაბ მამულაშვილი**

ევროპალია. „დილას" მეტოქე III საკვალიფიკაციო ეტაპზე

# სპლიტის ჰაიდუკი

## ტუდორის გუნდი და მისი ისტორია


იგორ ტუდორი

იყო დრო, საქართველოს და ქართველ ფეხბურთელებს, რატომღაც, ხორვატიას და ხორვატიის ნაკრებს რომ ადარებდნენ. ლოგიკა ასეთი იყო: ხორვატია საქართველოსავით პატარა ქვეყანაა, მაგრამ მისმა ნაკრებმა 1998 წელს მუნდიალზე მესამე ადგილი მოიპოვა, ორი წლით ადრე კი ევროპის ჩემპიონატზე უსამართლო ბრძოლაში დამარცხდა გერმანიასთან, ხორვატი ფეხბურთელები სიხარულით მირბიან ნაკრებში, თვითონ იხდიან ბილეთის ფულსაც კი და ნაკრებში პრემიაზე არც კი ფიქრობენ.

ქართველ ბიურგერებს ძალიან მოსწონდათ და შვენოდათ ასეთი ლაპარაკი.

მაშინ არავინ არ იტყოდა იმას, რომ ხორვატია, საქართველოსგან განსხვავებით, ომში გამარჯვებული ქვეყანა იყო და მუხლი არ ჰქონდა მოყრილი, ყველაფერი ხორვატიის სასიკეთოდ წარიმართა, ნატო სერბეთს ბომბავდა...

და კიდევ: ხორვატიის პირველი პრეზიდენტი **ფრანიო ტუჯმანი** ხორვატიის ნაკრების გასახდელში შედიოდა და ლამის თასმებს უკრავდა ბუცებზე ფეხბურთელებს. ტუჯმანს ესმოდა და ძალიან უყვარდა ფეხბურთი.

პატრიოტული მუხტი მაშინ, 90-იან წლებში ძალიან დიდი იყო ომში გამარჯვებულ ხორვატიაში, მათმა ნაკრებმა კი ფურორი მოახდინა, მაშინ ხორვატიას მართლაც ვარსკვლავური ნაკრები ჰყავდა, სადაც სპლიტის „ჰაიდუკის" გამოზრდილი ფეხბურთელებიც თამაშობდნენ: **ალიოშა ასანოვიჩი, რობერტ იარნი, იგორ ტუდორი, ალენ ბოკშიჩი...**

არ ვიცი, ხორვატებს ამით თავი მოაქვთ თუ არა, მაგრამ ხორვატი დიქტატორი **ბროზ ტიტო** 36 წელი მართავდა იუგოსლავიას.

დღეს ხორვატიის ნაკრები მაშინდელივით თვალისმომჭრელი აღარ არის, არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოს ნაკრებმა თბილისში 1:0-იც კი მოუგო.

„ჰაიდუკი" 1911 წელს შეიქმნა, იუგოსლავიის ჩემპიონობა ცხარჯერ მოიგო, ხორვატიაში კი საუკეთესო ექვსჯერ გახდა. წინა სეზონში" ჰაიდუკი" ხორვატიის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, თასი მოიგო.

წარმატებული სეზონის შემდეგ გუნდი დატოვა მთავარმა მწვრთნელმა **მიშო კრსტიჩევიჩმა,** ვინც ახლა ხორვატიის ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობს, „სპლიტში" კი მის შემცვლელად **იგორ ტუდორი** დაინიშნა.

„ჰაიდუკის" აღზრდილი ტუდორი 1998-2007 წლებში ტურინის „იუვენტუსის" მცველი იყო და ამით ყველაფერია ნათქვამია. ის იმ ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი იყო, 1998 წლის მუნდიალზე მესამე ადგილი რომ დაიკავა. რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას, „ჰაიდუკი" მისთვის პირველი კლუბია, მანამდე „ჰაიდუკის" ერთ-ერთ ასაკობრივ გუნდს წვრთნიდა.

„ჰაიდუკს" ევროსარბიელზე არაფერი არ მოუგია, თუმცა სისტემატურად უწევდა ევროტურნირებზე თამაში და დასავლეთ ევროპის არაერთი კარგი გუნდიც დაუმარცხებია.

ევროპა ლიგის მიმდინარე გათამაშების მეორე ეტაპზე „ჰაიდუკმა" მაკედონიური „ტურნოვო" დაამარცხა (2:1; 1:1). ბელგიელი შუახაზელი **ტინო შუშიჩი,** ჩერნოგორიელი ფორვარდი **ივან ვუკოვიჩი** და კოტდიუვარელი თავდამსხმელი **ჟეან კოუსასი - „ჰაიდუკის"** ლეგიონერები ესენი არიან. ხორვატულ ფეხბურთში დიდი ფული არ არის, ერთი-ორ მოთამაშეს თუ ექნება მსუყე ჯამაგირი. შესაბამისად, ხორვატული გუნდები ევროსარბიელზე სხვათაგან გამორჩეულები ვერ არიან.

22 წლის ნახევარმცველი **ფრანკო ანდიაშევიჩი** და 24 წლის მცველი **მარიო მალოკა** - ხორვატიის ეროვნულ ნაკრებში ამ „ჰაიდუკიდან" მხოლოდ მათ აქვთ ნათამაშები, თუმცა მათზე არ ითქმის, რომ ნაკრების ფეხბურთელები არიან.

ხორვატიის მიმდინარე ჩემპიონატში ორი ტურია გამართული. ერთი მოგება და ფრე - ასეთია ტუდორის გუნდის მონაგარი, რომელიც ათგუნდა ჩემპიონატში ახლა მესამე ადგილზეა.

რაც შეეხება „ჰაიდუკის" სტადიონს, 34 448 კაცს იტევს.

„დილა" - „ჰაიდუკის" დაპირისპირების პირველი შეხვედრა 1 აგვისტოს სპლიტში გაიმართება, საპასუხო კი 8 აგვისტოს თბილისში.

**დავით თავართქილაძე**


მარიო მალოკა

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

# ვის როგორ გაუმართლა

მაშ, ქართველებს კიდევ შეგვძლებია ფეხბურთის თამაში. გორის "დილამ" დანიაშიც შინაარსიანი ფეხბურთი ითამაშა, მადლიც "დილასი" იყო და ცოდვაც. **გიორგი დევდარიანის** გუნდმა ის ფეხბურთი აჩვენა, რაც ქართველებს სისხლში გვაქვს.

"ოლბორგი -"დილა" სანამ დაიწყებოდა, ინტერნეტში ბაქოს „ინტერის" შეხლას ვუყურებდი ნორვეგიულ „ტრომსოსთან". კარში **გიორგი ლომაია** იდგა, დაცვაში **ლაშა სალუქვაძე,** შეტევის მარცხენა ფლანგზე **ალექსანდრე იაშვილი,** მერე **ბაჩანა ცხადაძეც** შემოვიდა და გოლიც გაიტანა. „ინტერმა" ქართველის გოლით მოიგო, მაგრამ მომდევნოი ეტაპზე ვერ გავიდა. ჩვენებურების აზერბაიჯანული მარცხი გულზე კი შემომეყარა, მაგრამ გული უფრო სხვა რამეზე დამწყდა - ბაქოს „ინტერის" ბიუჯეტი რომ ჰქონდეს რომელიმე ქართულ გუნდს...

ლენქორანის „ხაზარს" ბაქოს „ინტერზე" ბევრად მეტი ბიუჯეტი აქვს, მაგრამ რად გინდა, შინ „ჰაიფასთან" 0:8 იწვნია.

არ გაგვიმართლა იმაში, რომ ჩვენთან ნავთობჭაბურღილები არ არის, სამაგიეროდ იმაში გაგვიმართლა, რომ ქართველებს ფეხბურთი გენში გვაქვს.

გორის „დილას" კი იმაში გაუმართლა, რომ **მამუკა ჯულელმა** თავისი ფეხბურთელები არ წაიყვანა და დევდარიანსაც გაუჩნდა შანსი, მოედანზე ერთბაშად რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი გაეყვანა.

ფეხბურთელი არ გვყავს! ასეთ რამეს ძვირიანი მწვრთნელი რომ იტყვის, ძნელია, მის საქმიანობას ეჭვის თვალით არ შეხედო.

წლევანდელმა ევროსარბიელმა უკვე დაამტკიცა ერთი ქართველი ფეხბურთელის ნიჭი. თუ მანამდე **გიორგი ილურიძეს** მეტწილად მხოლოდ სპეციალისტები იცნობდნენ, დღეს უკვე ის „დილას" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, რომელმაც დანიურ „ოლბორგს" შინ თუ გარეთ ბდღვირი ადინა.


გიორგი ილურიძე (შუაში) — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ილურიძე 21 წლისაა და ჯერაც შეუძლია ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში, თუმცა ფეხბურთელი ევროსარბიელზე რომ გამოიჩენს თავს, თავისთავად საინტერესო ხდება ეროვნული გუნდისთვისაც. სხვა საქმეა, რამდენად დასჭირდება ნაკრების თავკაცს ასეთი ფეხბურთელი, როცა გუნდი ვერც კატენაჩოს თამაშობს და ვერც სხვა სტილს.

ილურიძე თავის დროზე "დინამო თბილისში" იყო, სწორედ იქ შეამჩნია ის ჯულელმა და მახაჭყალის „ანჟიში" მიიყვანა. დილმის ბაზიდან რომ წაიყვან ასეთ ნიჭიერს, მართლა მაგარი მენეჯერი ხარ.

არ ვიცი, როგორ მორიგდებიან ჯულელი და „დილა", ჯერ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ სანამ დევდარიანის გუნდი ევროსარბიელზე თამაშობს, ილურიძე მასთან იქნება.

საქართველო ფეხბურთის მიმწოდებელი ქვეყანაა, თუმცა ზოგი სხვანაირად ფიქრობს და იმდენი ლეგიონერით ავსებს გუნდს, რომ უცხოტომელები სათადარიგოთა სკამზეც კი უზის. არადა, ფეხბურთის კარგად თამაში სისხლში გვაქვს. "დილა" ულეგიონეროდ დარჩა, მაგრამ ფეხბურთი ითამაშა, ილურიძის გარდა **მიხაილ გორელიშვილითაც** და **გიორგი აბურჯანიათიც** მოგვაწონა თავი, "დილას" საშუალო ასაკის ფეხბურთელებიც კარგი ჰყავს, საერთაშორისო დონეზე გამოცდილები.

■ ■ ■

ქუთაისის "ტორპედო", ფაქტობრივად, დატოვა **ომარ მიგინეიშვილმა,** რომელმაც თვითონ გვითხრა, „დინამო თბილისი" კი დამიკავშირდა, მაგრამ ჯერ საქმე ამის იქით არ წასულაო. ეს იმას ნიშნავს, რომ "ტორპედოს" კიდევ ერთი კარგი ფეხბურთელი გამოაკლდება.

მიგინეიშვილისთვის მოედანზე შიში უცხოა, უშიშარი მეკარის ყოლა კი ძალიან მნიშვნელოვანია იმ გუნდისთვის, ვისაც დიდი ამბიციები აქვს და ევროსარბიელზეც უწევს თამაში. წინა სეზონი მიგინეიშვილმა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა და ეროვნულ ნაკრებშიც კი ათამაშეს.

"ტორპედოდან" კარგი ფეხბურთელების გადინება ამით ალბათ არ დასრულდება - თურქულ შეკრებაზე გუნდს არც **ბექა ტულუში** გაჰყოლია. მოდრიბლინგე, არაორდინალური გადაწყვეტილების უნარის მქონე თავდამსხმელი, 24 წლის, ანუ ისეთი ასაკისაა, ახლა რომ უნდა ეწყებოდეს კარიერის პიკი.

წამყვან ქართულ კლუბებს კარგი ფეხბურთელის აყვანის კიდევ ერთი კარგი შანსი გაუჩნდათ. ტულუშის პოტენციალში ეჭვის შეტანა არ ეგების - ვფიქრობ, ეს მხოლოდ ჟურნალისტის აზრი არ არის.

„ტორპედომ" კი სხვა გზა აირჩია და ეს ყველაფერი ესპანელ მწვრთნელს ჩააბარა. **ხერარდ სარაგოსა მულეტი** რაც არის, ანი გამოჩნდება, რადგან მანამდე ის ყველასათვის უცნობი მწვრთნელი იყო.

და რა გუნდი ელის მომთხოვნ ქუთაისელ გულშემატკივარს? ცხადია, ეს კითხვაც ძალიან აქტუალურია...

ამხანაგური მატჩი



ზაზა ურუშაძე (მარცხნივ) და ვიქტორ ხლუსი

# დღეს: გურია VS კიევის დინამო!

შაბათს, ლანჩხუთში უკრაინიდან სტუმრებს ელიან. ჩვენთვის ცნობილი გახდა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებსაც ჩანოდიან. მათგან განსაკუთრებით ოთხია ცნობილი — მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი და ერთ მატჩში 5 გოლის გამტანი **ოლეგ სალენკო**, სსრკ-ის ნაკრებისა და კიევის „დინამოს" სახელოვანი ფეხბურთელი **ვლადიმერ ბესონოვი**, „გურიისა" და კიევის „დინამოს" ყოფილი ფორვარდი **ვიქტორ ხლუსი** და ასევე კიევის „დინამოელი" **ივან იარემჩუკი**. მათთან ერთად „გურიას" ვეტერანებს დაუპირისპირდებიან: **იური მაროზი, ვიქტორ ლეონენკო, სერგეი ფეოდოროვი, სერგეი კუზნეცოვი, სვიატესლავ სიროტა, ალექსანდრ რადჩენკო, ალექსანდრ პრიზეტკო, ანდრეი ოქსიმეცი, იური კრისტუნა, ედვარდ ტუქსმეტრიუკი** და **ოლეგ ხლუსი**.

რაც შეეხება „გურიას", მის ღირსებას დაიცავენ: **გია გოგუა, გიორგი ჩიგოგიძე, რეზო კუკულაძე გია ჩხაიძე, მალხაზ მახარაძე, გოჩა გუჯაბიძე, ნუგზარ მიქაბერიძე, მერაბ კუკულაძე, კობა მირზაშვილი, დავით მახარაძე, რომან ქურიძე, თემურ ჩხაიძ, ავთო ნარიაშვილი, თემურ ალექსაია, გოჩა ნადირაძე, ჯონი კალანდაძე, ალექსანდრე განევი, სულხან წილოსანი, ნუგზარ თვარაძე** და **გენო ნუცუბიძე**. მწვრთნელები: **ბეგი სიხარული, დანტეს ჯეჯელავა, შოთა პატარაია**, შალვა კაკაბაძე.

როგორც ხედავთ, 80-იანი წლების ტრიუმფატორი „გურიიდან" დღევანდელ შეხვედრაში მხოლოდ თემურ ჩხაიძე, მალხაზ მახარაძე და ნუგზარ მიქაბერიძე იქნებიან. რატომ ვერ მოხვდნენ „გურიის" ვეტერანთა რიგებში **დავით უგრელიძე, მერაბ თევზაძე, გია გილიგაშვილი, ოთარ კორღალიძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, გიგლა იმნაძე, მამუკა აბუსერიძე, ავთანდილ ქანთარია** და სხვები, კითხვებს ტოვებს. ეს ადამიანები ყველა იმ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ, რაც „გურიასთან" არის დაკავშირებული. მათი დაუპატიჟებლობა შესაძლოა დიდი სკანდალის მიზეზი გახდეს, რომლის საწყისი ნიშნები ლანჩხუთურ ფეხბურთში აქამდეც იყო და ყველაფერმა ამან შესაძლოა გადაფაროს „გურიისა" და კიევის „დინამოს" ასე გაპიარებული შეხვედრის სარეკლამო მნიშვნელობა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული შეხვედრის ჩატარება ლანჩხუთის გამგებელ **ზაზა ურუშაძის** დიდი მონდომების შედეგია. იგი ივნისის დასაწყისში უკრაინაში იმყოფებოდა და ჩამოსვლისთანავე დაანონსა, რომ 80-იანი წლების „გურიისა" და კიევის „დინამოს" ვეტერანთა მატჩი ჩატარდებოდა. თუმცა დღეს გამოდის, რომ იმ დიდი გუნდებიდან მხოლოდ რამდენიმე მიიღებს დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობას.

აქვე გეტყვით, რომ მატჩამდე საარაიონო კულტურის სახლში უკრაინელი სტუმრებისთვის საზეიმო სანახაობა გაიმართება, ხოლო 15.30 საათზე სტუმრები ჟურნალისტების კითხვებს უპასუხებენ.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

საპარაუდო ტრანსფერები

# კახელიშვილი და გაბედავა ჩიხურაში?

საჩხერეს "ჩიხურა" ევროპის ლიგას დაემშვიდობა - III საკვალიფიკაციო ეტაპზე შვეიცარიული "თუნი" გავიდა, რომელმაც საქართველოს თასის ფინალისტს ორივე შეხვედრა მოუგო – 2:0 და 3:1.

ამ მატჩებში გამოჩნდა, რომ საჩხერელებს საკადრო პრობლემები აშკარად აქვთ. გუნდის მთავარ მწვრთნელს, **სოსო ფრუიძეს** ეს არც დაუმალავს, მეტოქეს სიურპრიზი ვერ შევთავაზებთ, რადგან არსებული შემადგენლობა თამაშის გაძლიერებისა და მრავალფეროვნების საშუალებას არ გვაძლევსო.

თბილისში მეორე შეხვედრის წაგების შემდეგ კი, "ჩიხურას" დამრიგებელმა გაამხილა, რომ რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას აპირებდა, მაგრამ პრესკონფერენციაზე პოტენციურ ახალწვეულთა გვარები აღარ დაუკონკრეტებია.

ცხადია, დავინტერესდით, "ჩიხურაში" ვის მიწვევას აპირებენ და დავადგინეთ, რომ ლაპარაკია "ზუგდიდის" ყოფილ თავდამსმელ **გიორგი გაბედავაზე**, რომელსაც "გაგრაში", მარიუპოლის "ილიჩივეცსა" და საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში უთამაშია.

ფრუიძემ ინფორმაცია დაგვიდასტურა და სხვა სიახლეც გაგვიმხილა: *"დიახ, გაბედავას დამატება გვსურს და მჯერა, ის ჩვენს თავდასხმას გააძლიერებს. დაინტერესებულები ვართ, რომ კონტრაქტი გავუფორმოთ გიორგი კახელიშვილსაც, რომელიც გორის "დილადან" ევროთასების მატჩებამდე წამოვიდა. კიდევ რამდენიმე მოთამაშის ჩამოყვანა გვსურს, რადგან წინ მძიმე სეზონი მოგველის. თუ ეს ტრანსფერები მოვახერხეთ, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატში კვლავ ღირსეულად ვითამაშებთ".*

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი გაბედავა

სამზადისი

## გურიამ ზუგდიდს მოუგო

ლანჩხუთში, ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სათადარიგო მოედანზე „გურიამ" მორიგ ამხანაგურ შეხვედრაში „ზუგდიდს" **თენგიზ ჩიკვილაძის** მიერ პირველი ტაიმის შუაში საჯარიმოდან გატანილი ლამაზი გოლით მოუგო. ამით **დავით მახარაძის** შეგირდებმა ზედიზედ მეორედ მოიგეს და სამი ამხანაგური მატჩიდან გურულებს ერთიც არ წაუგიათ.

როგორც ცნობილია, „გურიამაც" და „ზუგდიდმაც" შეკრება გვიან დაიწყეს, გუნდებში ფეხბურთელთა შერჩევის პროცესი მიმდინარეობს და ამიტომაც მწვრთნელებმა ტაიმები სხვადასხვა შემადგენლობებით ითამაშეს. პირველ ნახევარში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა ხიფათს ზუგდიდლებიც ქმნიდნენ. მეორე ნახევარიც გურულთა უპირატესობით დაიწყო, დავით მახარაძის შეგირდებმა რამდენიმე საგოლე შანსი გაანიავეს. ბოლოს კი უპირატესობა სტუმრებმა იგდეს ხელთ და ერთ-ორჯერ **გიორგი ძაძამიას** თავისი ოსტატობის ჩვენება დასჭირდა.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

## სიონის იოლი გამარჯვება

"სიონმა" მორიგ საკონტროლო მატჩში ქვედალიგელ "სასკოს" უმასპინძლა. ბოლნისში გამართული შეხვედრა მასპინძლებმა დიდი ანგარიშით, 5:1 მოიგეს. დუბლი შეასრულა **კოკა მიკუჩაძემ**, თითო გოლი კი **დავით სვანიძის, ჯაბა უგულავასა** და **კრისტიანის** ანგარიშზეა.



კოკა მიკუჩაძე

"სიონის" ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: **ბათიაშვილი, ტვილდიანი, სვანიძე, თოთაძე, დ. ფოფხაძე, განუგრავა, გოგობერიშვილი, ლობჟანიძე, იოსელიანი, მიკუჩაძე, კრისტიანი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბობლიაშვილი, ბიბილეიშვილი, პარუნაშვილი, ცხადაია, მამასახლისი, უგულავა.**

გუშინვე ქალაქ ბოლნისის მუნიციპალიტეტის თავკაცები "სიონის" ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს შეხვდნენ და მათ ყოველმხრივი მხარდაჭერა აღუთქვეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ხაჩიძემ მეორე შემადგენლობა გააკონტროლა

გუშინ ცხინვალის „სპარტაკი" არაოპტიმალური შემადგენლობით აზერბაიჯანული „გაბალას" მეორე გუნდს ეთამაშა. „გაბალას" პირველი გუნდი ავსტრიაშია შეკრებაზე, საქართველოში კი ეს კლუბი ორი გუნდით არის ჩამოსულიო - ასე გვითხრეს ცხინვალის „სპარტაკში".

გუშინ „სპარტაკმა" პირველი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი ათამაშა. პირველ ტაიმში **ვლადიმერ ხაჩიძის** გაწვრთნილი „სპარტაკის" შემადგენლობა ასეთი იყო: **ნადირაძე, მარგიევი, ი.შენგელია, ლომიძე, მოსაშვილი, ნარიმანიძე, ბერუაშვილი, ცერცვაძე, ჭინჭარაული, გოგლიძე, მაქაცარია.**

შეცვლაზე შევიდნენ: **გიორგობიანი, ყოჩიაშვილი, ბეჟუაშვილი, სილაგაძე, ნიკლაური, მარტოლეკი, ვასაძე, ტორჩინავა, მიქელაძე, ნემსაძე, კენჭაძე.**

„სპარტაკი" ოპტიმალური შემადგენლობით 29 ივლისს პირველლიგელ „გაგრას" გაეჯიბრება თბილისში, „მერანის" სტადიონზე.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

# ამის წაკითხვა არ გაწყენთ გავავლოთ პარალელები: როგორ ზრუნავენ მომავალზე უკრაინაელები

**ბოლო წლებში, საზღვარგარეთ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა წავიდა და ათასგვარი კლუბის, ქვეყნისა და ნაკრების ფორმა მოირგო: ქართველ ფეხბურთელებს ისეთ ეგზოტიკურ ლიგებშიც კი უთამაშიათ, როგორიც არის ტაილანდი, ბანგლადეში, ინდონეზია, თურქმენეთი. მოურგიათ რუსეთის, უკრაინის, გერმანიის, საბერძნეთის ასაკობრივი ნაკრებების ფორმები.**

ამავე დროს, უცხოეთში საკმაოდ ბევრი ქართველი სპეციალისტიც საქმიანობს. ცხადია, უმრავლესობას არ ვიცნობთ, რადგან ბევრი დაბალ ლიგაში ან საფეხბურთო სკოლაში საქმიანობს.

ახლახან, შემთხვევით წავაწყდით ინფორმაციას, რომ უკრაინის 15-წლამდელთა ჩემპიონატი დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" საფეხბურთო სკოლამ, უფკ-მ მოიგო. დნეპრელებმა ფინალში დონეცკის "შახტარს" პენალტების სერიაში სძლიეს, მალე კი პრესტიჟულ იტალიურ ტურნირზე ითამაშებენ, სადაც მხოლოდ წამყვანი ევროპული ქვეყნების ჩემპიონებს იწვევენ.



გელა ღლონტი

მთავარი ისაა, რომ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ჩვენთვის უცნობი სპეციალისტი **გელა ღლონტი** გახლავთ. პატარა წვალებისა და ძიების შედეგად, დნეპროპეტროვსკელთა დამრიგებელს დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით. ვფიქრობთ, გელა ღლონტი ჩვენთვის ძალიან საყურადღებო ამბებს გვიყვება:

- ქუთაისელი ვარ, 1975-80 წლებში "ტორპედოს" დუბლებშიც გამოვდიოდი. მაგრამ დიდი კარიერა ვერ ავიწყვე. 1981-84 წლებში ქუთაისის "იმერეთში" ვთამაშობდი. მამა უკრაინაში ცხოვრობდა და 1989 წელს მეც იქ დავსახლდი. 1994 წლიდან ვეტერანთა გუნდში ვთამაშობდი. მერე ისე მოხდა, რომ 2000 წელს ჩემი ბიჭი "დნიპროს" საფეხბურთო აკადემიაში შევიყვანე. მწვრთნელმა იცოდა, ყოფილი ფეხბურთელი რომ ვიყავი და საწვრთნელ პროცესში დახმარება მთხოვა. ამ საქმემ დამაინტერესა, სერიოზულად მოვეკიდე და მერე და მერე, უკვე საფეხბურთო სკოლა უფკ-ში დამოუკიდებლად მუშაობაც დავიწყე. მომეწონა საქმე, ბავშვებთან ურთიერთობა სასიამოვნო და საპასუხისმგებლოა და მწვრთნელობას გავყევი.

**- როგორც შევიტყვეთ, თქვენი გუნდი უკრაინის ჩემპიონი გახდა.**

- ტრაბახით არ ვამბობ, მართლაც, რომ ძალიან ძლიერი ბიჭები გვყავს. ჩვენი 6 გაზრდილი ასაკობრივ ნაკრებში თამაშობს. მახარებს ის, რომ უკრაინაში ბევრი ძლიერი საფეხბურთო სკოლაა და 120 გუნდში საუკეთესოები ჩვენ გავხდით.

**- ჩვენს ასაკობრივ ჩემპიონატებში მაქსიმუმ 16 გუნდი მონაწილეობს.**

- ეს უკრაინაა. 120 გუნდიც ძირითადი ეტაპიდან ჩაერთო. თორემ, შესარჩევ ციკლში რამდენი გუნდი მონაწილეობდა, ამას ვინ დათვლის.

**- საინტერესოა, რა პირობებია "დნიპროს" სკოლაში?**

- აკადემიაში 3 სტანდარტული მოედანია. ცალკე არის ბაზა, სადაც 4 ბუნებრივსაფრიანი მინდორია, ორიც – ხელოვნური. აქედან ერთი მანეჟშია და ზამთარში ვვარჯიშობთ. სოლიდური სავარჯიში პირობები და საკმაოდ კარგი ხელფასებია - "დნიპროს" აკადემიას ხომ წლიურად 2 მილიონ დოლარს ურიცხავენ. ყველა ასაკის მწვრთნელი წლიურ გეგმას წარვადგენთ და გუნდისთვის ბიუჯეტს ცალკე გვმტკიცებენ.

დაახლოებით ასევეა ხარკოვის "მეტალისტსა" და რამდენიმე სოლიდურ კლუბში, კიევის "დინამო" და დონეცკის "შახტარი" კი მომავალი თაობების გაზრდაზე მეტსაც ხარჯავენ.

**- 2-მილიონიანი ბიუჯეტი საქართველოში სკოლას კი არა, უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობას არ აქვს.**

- ქართული ფეხბურთი თავის დიდი პოტენციალს ამიტომაც ვერ ავლენს, რაზეც გული ძალიან მტკივა. ჩვენი გუნდები სეზონისთვის 16-დღე ჯერ კარპატის მთებში ეზმადებიან, შემდეგი 16 დღე – შავიზღვისპირეთის საკურორტო ქალაქ ფაროსში, სადაც "დნიპროს" მფლობელმა იგორ კოლომოიცკიმ სანატორიუმი იყიდა. ყოველ წელიწადს დავდივართ უცხოეთში. ეს ბავშვებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობები გაიგონ, ნაკლი გამოასწორონ და უცხო გარემოს პატარაობიდან გაუშინაურდნენ.

**- ბავშვები შეკრებისა და უცხოეთში წასვლის ფულს არ იხდიან?**

- მესმის, რასაც გულისხმობთ. უკრაინაში ასეთი რამ არ ხდება. აქ ბავშვთა ფეხბურთში სოლიდურ ფულს აბანდებენ და ბავშვს ვინ რას გამოართმევს. ამ ხარჯებს აკადემია საკუთარ თავზე იღებს და ეს საკითხი განხილვას არც ექვემდებარება. ბევრ ოჯახს ხომ საშუალება არც აქვს, 32-დღიანი შეკრების საკმაოდ სერიოზული თანხა გადაიხადოს.

გარდა ამისა, ბავშვებს გადაეცემათ ფორმის 2 კომპლექტი - სრული ეკიპირება, სავარჯიშო, სათამაშო და გამოსასვლელი ფორმები, ბუცები, ბოტასები, წინდები, ქუდები და ა.შ. ეს ზუსტად იგივე ეკიპირებაა, რასაც "დნიპროს" ძირითადი გუნდის ფეხბურთელები იღებენ. ასეთი პირობები იმიტომ არის, რომ დიდი მოთხოვნებსაც გვიყენებენ. ჩვენს აკადემიაში გაიზარდნენ უკრაინის ნაკრების ყოფილი და ამჟამინდელი წევრები როტანი, კანაპლიაკა და ა.შ.

**- გუნდში ქართველი თუ გყავთ?**

- ბევრი ბავშვი ჩამოდის და შეძლებისდაგვარად ვეხმარები. 20 წლის ლევან არველაძე ბოლოს "კრივბასის" დუბლებში იყო, მაგრამ ეს გუნდი დაიშალა და მე-2 ლიგის მორშჩინოს "სკალაში" წავიდა. მისი ასაკისაა ცენტრალური მცველი ლევან მახარაძე, რომელიც ახლახან მარიუპოლის "ილიჩივეცის" დუბლშემადგენლობაში ჩაირიცხა. დიდი ხანი არაა, რაც "დნიპრომ" ლვოვის "კარპატში" იჯარით ევგენი ბოხაშვილი გაუშვა. ის თბილისური ოჯახიდან არის, მაგრამ ისრაელში დაიბადა, მე-8 კლასში იყო, უკრაინაში რომ ჩამოიყვანეს და ისიც ჩვენს აკადემიაში გაიზარდა.

ოდესაში თამაშობს უნიჭიერესი ჯონი ფხაკაძე. ეს ბავშვი უკრაინაშია დაბადებულია და დედით რუსია. ათამაშებენ ცენტრალურ ნახევარმცველად და ისეთი ტალანტია, უკრაინის 16-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს. აქაურ გუნდებშიც ბევრი ქართველი მუშაობს. მაგალითად, დონეცკის "შახტარის" სელექციონერია მიხეილ ფოცხვერია, რომელსაც საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია. სხვათა შორის, უკრაინაში ისეთი გუნდიც არსებობს, რომლის მეპატრონეც ქართველია, მაგრამ მას ამის გამხელა არ სურს და გვარს მეც არ დავასახელებ.

**- ეტყობა, "დნიპროს" კულისებს კარგად იცნობთ. გუნდში ახლა სამი ქართველია, მათ კი იშვიათად ათამაშებენ.**

- მე რაც ვიცი, ხუანდე რამოსს სამივე ძალიან მოსწონს. მაგრამ კობახიძეს მაინც წასვლა სურს – ნაღდი ამბავია, რომ სანდროს ლეონიდ კუჩუკი მოსკოვის "ლოკომოტივში" იწვევდა. მაგრამ მას სხვა საინტერესო წინადადებებიც აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება



არსენალს ხმაურიანი გარიგებების დრო დაუდგა, მიაჩნია „მეთოფეთა“ ყოფილ ვარსკვლავს

# სუარესის ბნელი მხარე

**ლუის სუარესის** „ლივერპულიდან“ „არსენალში“ გადასვლაზე ერთი ამბავია ატეხილი. ეს ბუნებრივიც არის, რადგან 26 წლის ურუგვაელის დონის ფეხბურთელები ერთი ინგლისური კლუბიდან მეორეში ყოველ წელს არ გადადიან. ანალოგიური ხმაურია **უეინ რუნის** „ჩელსიში“ შესაძლო ტრანსფერის გამოც, თუმცა დღეს ჩვენი თემა სამხრეთამერიკელი ვარსკვლავია. „დეილი მეილის“ მესვეტემ, „არსენალისა“ (1993/2004, 311 თამაში) და ინგლისის ნაკრების (53 თამაში) სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა **მარტინ კიოუნმა** საინტერესო მოსაზრება შემოგვთავაზა, თუ რატომ უნდა გადავიდეს სუარესი ჩრდილოლონდონურ კლუბში.

■■■

*- „ლივერპული“ სწორად იქცევა, როცა ლუის სუარესის შესანარჩუნებლად თავგამოდებით იბრძვის. ის ფანტასტიკური ფეხბურთელია, თუმცა არსენ ვენგერი ზუსტად ის ადამიანი გახლავთ, ვინც ფეხბურთელს დაეხმარება საკუთარი უარყოფითი მხარეების დაძლევაში.*

*გარიგება ჯერ კიდევ შორს არის დასრულებისგან. მეტიც, ასეთი ტემპერამენტის მოთამაშის გადაბირება ყოველთვის მოიცავს რისკს. ფეხბურთელი უკვე რამდენჯერმე მოექცა სკანდალის ეპიცენტრში. მას ჯერ კიდევ მოუწევს გონებაში იმის ჩაბეჭდვა, რომ რასობრივი ნიშნით ადამიანების შეურაცხყოფა და მოედანზე მეტოქის მცველთან ორთაბრძოლისას აკრძალული ილეთების გამოყენება (მაგალითად, კბენა) არ შეიძლება. ამ შემთხვევაში მისთვის უკეთესი დამრიგებლის პოვნა, ვიდრე არსენ ვენგერია, შეუძლებელია. ფრანგი შეძლებს სუარესის ცხოვრებაში ჰარმონიის შეტანას.*

*ვენგერი ცხოვრებაში ყოველთვის განსაკუთრებული მაგალითია ხოლმე გარშემო მყოფი ადამიანებისთვის. მართალია, საფეხბურთო მინდორზე სულ სხვა მოთხოვნებია, მაგრამ სუარესი ასეთ შემთხვევაში მაინც მოგებული დარჩებოდა. გულის სიღრმეში ალბათ ყველამ ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ ვენგერისთვის მთავარია საქმე და არა სიტყვა. ფეხბურთელს ხასიათი შეეცვლება მინდორზეც. არ დაგავიწყდეთ, რომ ვენგერს უამრავი ტოპკლასის თავდამსხმელთან უმუშავია, მაგალითად, იან რაიტთან, ნიკოლა ანელკასთან, დენის ბერგკამპთან, ტიერი ანრისთან, ნვაკვო კანუსა და რობინ ვან პერსისთან. თითოეულმა მათგანმა ფრანგი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მხოლოდ გააუმჯობესა თამაშის ხარისხი. ემანუელ ადებაიორმა სწორედ ვენგერის წყალობით გაიარა გზა რამდენიმე მეტრიდან ძელის ამცილებელი ფეხბურთელიდან სეზონში 30 გოლის გამტანამდე.*

*სუარესის ტალანტის შემჩნევა კი შეუიარაღებელი თვალითაც იოლად შეიძლება. გააქვს გოლები, თანაგუნდელებთან მისი ურთიერთქმედების ხარისხი კი ნათლად მიუთითებს, რომ მას გონება ნამდვილად უჭრის. „არსენალს“ ჩემპიონობისთვის საბრძოლველად უმაღლესი კლასის თავდამსხმელი სჭირდება. ეს აუცილებელი წინაპირობაა ნებისმიერი გუნდისთვის.*

*ბოლო წლების განმავლობაში შევეჩვიეთ, რომ „არსენალი“ ვარსკვლავებს მხოლოდ ყიდის. ახლა უკვე ჩვენ გვაქვს შანსი, რომ ხმაურიანი კონტრაქტი გავჩარხოთ. ამ გარიგებას შეუძლია, „მეთოფეებს“ ახალი იმედები გაუღვივოს და იმავდროულად „ლივერპულის“ ამბიციებს წერტილი დაუსვას.*

სავარაუდო ტრანსფერი

# აშკარად დაუჯერებელი

## რამ უნდა მოხიბლოს 26 წლის ესპანელი?

ვიდრე **სესკ ფაბრეგასს** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორმაში არ ვიხილავთ, დაჯერება გაგვიჭირდება. თუმცა კი „დეილი მეილი“ წერს, რომ 26 წლის ესპანელი, „არსენალის“ ყოფილი კაპიტანი და ლეგენდა, მზად არის, კარიერა „ოლდ ტრეფორდზე“ განაგრძოს. თანაც ტაბლოიდი ხაზს უსვამს, რომ ფეხბურთელს ეს მყარად აქვს გადაწყვეტილი. ინფორმაციის წყარო ესპანელის მეგობრები არიან. როგორც ჩანს, „ეშმაკებმა“ საბოლოოდ ფსონი მასზე დადეს, რადგან სესკის ალტერნატივად ევერტონელი **მარუან ფელაინი** განიხილებოდა.

ცნობილია, რომ „ბარსელონამ“ „მანიუს“ სატრანსფერო შეთავაზება უკვე ორჯერ უარყო. მიუხედავად ამისა, პრემიერლიგის ჩემპიონი დანებებაზე არ ფიქრობს. ბოლო 7 წლის განმავლობაში მიღწეული გრანდიოზული წარმატების მიუხედავად „ბლაუგრანას“ ფინანსური პრობლემები აქვს. კატალონიელებს რამდენიმე ასეული მილიონი ევროს ვალი აქვთ და ამ ზაფხულს ბაზარზე სწორედ ამის გამო ვერ აქტიურობენ. აქამდე მხოლოდ ნეიმარი გადაიბირეს 50 მილიონ ევროდ.

„დეილი მეილის“ წყარო ამტკიცებს, რომ ნახევარმცველი ხელმძღვანელობას უახლოეს დღეებში მიმართავს ტრანსფერზე დაყენების მოთხოვნით. ცნობილია, რომ „იუნაიტედი“ ფაბრეგასში 30 მილიონ ფუნტს იხდის, უშუალოდ ფეხბურთელს კი კვირაში 200 ათასს სთავაზობს, ზუსტად ორჯერ მეტს, ვიდრე მას „კამპ ნოუზე“ უხდიან. თუმცა ვეჭვობთ, რომ სესკისთვის ეს იყოს გადამწყვეტი ფაქტორი. ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის სათამაშო პრაქტიკაა. „ოლდ ტრეფორდზე“ მას ამის პრობლემა არ შეექმნება. თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია იმის სათქმელად, რომ „ეშმაკების“ შემადგენლობაში არ მოიძებნება მოთამაშე, ვინც სესკს რეალურ კონკურენციას გაუწევს. „ბარსაში“ კი ის ჩავისა და ინიესტას კომპანიაში შეზღუდულია. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, ფაბრეგასს **რობინ ვან პერსის** გვერდით თამაშის სურვილი ჰქონდეს, ვისთან ერთადაც მას „არსენალში“ 7 წელი გაუტარებია.

„დეილი მეილს“ მოგვიანებით „ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტმა **ხოსეპ ბარტომეუმ** უპასუხა: *„მანჩესტერ იუნაიტედის“ ინტერესი ერთია, მაგრამ ჩვენ ფეხბურთელის გაყიდვას არ ვაპირებთ. ხელმძღვანელობასა და გუნდის ახალ თავკაცს (ხერარდო მარტინო. რედ) მისი ერთნაირად გვეიმედება“.*




გარანტირებული ადგილი ძირითადში, უკეთესი ხელფასი და რობინ ვან პერსი - ამ ყველაფერმა შესაძლოა სესკ ფაბრეგასს მართლა გადააწყვეტინოს „იუნაიტედში“ გადასვლა

ამბები

### ბუკმეიკერებს ეჭვი ეპარებათ

არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მატჩი შვედურ „ელფსბორგსა“ და ლატვიურ „დაუგავპილსს“ შორის (17 ივლისი, 7:1 მასპინძელთა სასარგებლოდ) გარიგებული იყო. საკუთარი ეჭვები ფიფა-უეფას შვეიცარიულმა საბუკმეიკერო კომპანია „ფედერბეტმა“ უკვე გაუზიარა ოფიციალურ წერილში. ამგვარი ვარაუდის საფუძველი ფირმას იმან მისცა, რომ ერთ რიგით თამაშზე უჩვეულოდ დიდი თანხები შევიდა ე.წ „მეტობაზე“ (თამაშში 3 ან მეტი გოლის გასვლა), რაზეც ტოტალიზატორი 5,5-იან ფსონს იძლეოდა. პირველი ტაიმი ამ შეხვედრაში 1:0 დასრულდა. თანხების ჩასვლა არც ამის მერე შეწყვეტილა.

ამას გარდა „ფედერბეტმა“ შესაბამის ორგანოებს უკვე აცნობა, რომ საეჭვოდ დიდი თანხები დაიდო ჩემპიონთა ლიგისა და ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპების რამდენიმე განმეორებით შეხვედრაზეც მოლდოვური, ალბანური, ბოსნიური, უნგრული და ქართული კლუბების მონაწილეობით. მაგალითად, პირველი მატჩის 1:3 წაგების შემდეგ (4 ივლისი) მოლდოვური „დაჩიას“ მიერ შინ 2:0-ის მოგებაზე (11 ივლისს) დიდი ფული შევიდა. თამაში ასეც დამთავრდა.

### შადლი ტოტენჰემშია

„ტოტენჰემის“ ვებგვერდმა გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ კლუბმა 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა ბელგიის ნაკრების 23 წლის მარჯვენა გარემარბ **ნასერ შადლის**, ვინც უკანასკნელი სამი სეზონი ჰოლანდიურ „ტვენტეში“ გაატარა (78 თამაში, 23 გოლი, 16 პასი). „დეზების“ „ფეისბუქზე“ კი ფეხბურთელის ვარჯიშის ფოტოებიც გამოქვეყნდა. მხარეები გარიგების ფინანსურ დეტალებს არ ამხელენ, თუმცა რიგი წყაროების მტკიცებით, ჩრდილოლონდონელებს ნიჭიერი ფეხბურთელის გადაბირება 6,2 მილიონი ევრო დაუჯდათ. „ტოტენჰემის“ გარდა შადლის შეძენას ცდილობდნენ „სუონსი“, „ასტონ ვილა“, „შახტარი“ და „ლოკომოტივი“ (მოსკოვი).



ნასერ შადლი

მოგეხსენებათ, „უაით ჰარტ ლეინზე“ შადლისთან ერთად ბელგიის ნაკრების კიდევ ორი ფეხბურთელი **იან ვერტონგენი** და **მუსა დემბელე** თამაშობს. ამ გარემოებამ ფეხბურთელის საბოლოო გადაწყვეტილებაზე სერიოზული გავლენა იქონია.

### ვინ შეცვლის რანიერის?



კლაუდიო რანიერი

„მონაკოს“ მოქმედ მთავარ მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის** უცნაური ბედი აქვს. მას უამრავ სახელოვან ევროპულ კლუბში უმუშავია (ნაპოლი, ფიორენტინა, პარმა, იუვენტუსი, რომა, ინტერი, ვალენსია, ატლეტიკო, ჩელსი), მაგრამ განსაკუთრებული მიღწევა არასოდეს ჰქონია. იტალიისა (1996) და ესპანეთის (1999) თასების გათამაშებების გარდა კარიერაში აპენინელს მხოლოდ ევროპის სუპერთასზე უმარჯვია. 27-წლის განმავლობაში მას არასოდეს მოუგია რომელიმე ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. როგორც ჩანს, სენიორ კლაუდიო საკუთარ მწარე გამოცდილებას ითვალისწინებდა, როცა რამდენიმე დღის წინ თქვა, ახალ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატის მოგებას არ ვგეგმავ, გუნდისთვის ამაზე ფიქრი ჯერ ძალიან ადრეაო. „მონაკოს“ მესაკუთრე **დმიტრი რიბოლოვლევს** კი, ცხადია, სწორედ ამის ამბიცია აქვს. ფრანგული გამოცემები 61 წლის იტალიელის სავარაუდო მემკვიდრეებად **რობერტო მანჩინისა** და **გუუს ჰიდინკს** ასახელებენ.

### კიდევ ერთი ბრაზილიელი ლონდონში

ბრაზილიური სპორტული ვებგვერდების ცნობით, „ჩელსიმ“ „ბოტაფოგოს“ 18 წლის ცენტრალური მცველ **დორიას** სანაცვლოდ 9,4 მილიონი ევრო შესთავაზა. ფეხბურთელის ბედს მხოლოდ „ბოტაფოგო“ ვერ გადაწყვეტს, რადგან ის სატრანსფერო უფლებების მხოლოდ 40%-ს ფლობს, დანარჩენ 60-ს კი მავანი სამენეჯერო კომპანია განკარგავს. **ჟოზე მოურინიოს** თინეიჯერი ვარსკვლავი ძირითადი გუნდისთვის სურს. ლონდონელების გარდა დორიას შეძენას ცდილობენ „ბენფიკა“, „პორტუ“, „იუვენტუსი“ და „ბარსელონა“.



დორია

### ოლივეირა რენში

„ეკიპის“ ცნობით, „რენმა“ „ბენფიკასთან“ პორტუგალიის ნაკრების 21 წლის თავდამსხმელის **ნელსონ ოლივეირას** 1-წლიანი იჯარა შეათანხმა. კლუბმა ის გულშემატკივარს გუშინ „რუტ დე როიალზე“ გამართულ პომპეზურ ლონისძიებაზე წარუდგინა. ოლივეირამ 2012/13 წლების სეზონიც იჯარით გაატარა. ლა კორუნიის „დეპორტივოს“ შემადგენლობაში მან 30 თამაშში 4 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

რეკორდები. ინგლისი

# ინგლისური რეკორდები

## ტიტულები, გოლები, სიმბოლურნაკრებები



სანამ ახალი საფეხბურთო სეზონი დაიწყება, გადავწყვიტეთ ხუთი წამყვანი ჩემპიონატის საინტერესო და ყველაზე მნიშვნელოვანი რეკორდი შემოგთავაზოთ. დღეს ინგლისის ჩემპიონატის ჯერია, რომლის რეკორდებსაც ორ ნაწილად შემოგთავაზებთ: პირველ ნაწილში ზოგადად ინგლისის უმაღლესი დივიზიონის რეკორდები იქნება, მეორე ნაწილში კი მხოლოდ პრემიერლიგის.

### ინგლისის ჩემპიონატის რეკორდები

#### გუნდური რეკორდები

#### ჩემპიონები

20 - მანჩესტერ იუნაიტედი
18 - ლივერპული
13 - არსენალი
9 - ევერტონი
7 - ასტონ ვილა
6 - სანდერლენდი
4 - ჩელსი, ნიუკასლი, შეფილდ უენსდეი
3 - ლიდსი, ვულვერჰემპტონი, მანჩესტერ სიტი, ჰადერსფილდი, ბლექბერნი
2 - პრესტონი, ტოტენჰემი, დერბი, ბარნსლი, პორტსმუთი
1 - იფსვიჩი, ნოტინგემი, შეფილდ იუნაიტედი, ვესტ ბრომვიჩი

#### ზედიზედ მოგებული ტიტულები

3 - ჰადერსფილდი (1923/24, 1924/25, 1925/26)
3 - არსენალი (1931/32, 1932/33, 1933/34)
3 - ლივერპული (1981/82, 1982/83, 1983/84)
3 - მანჩესტერ იუნაიტედი (1998/99, 1999/00, 2000/01) და (2006/07, 2007/08, 2008/09)

#### დუბლი (ერთ სეზონში ჩემპიონატის და თასის მოგება)

**პრესტონი** - 1889 წელს ჩემპიონატი წაუგებლად მოიგო
**ასტონ ვილა** - 1897
**ტოტენჰემი** - 1961
**არსენალი** - 1971, 1998, 2002 - ერთადერთი კლუბი, რომელმაც დუბლი პრემიერლიგამდე და პრემიერლიგის დაარსების შემდეგაც მოიგო. ასევე ერთადერთი კლუბი, ვინც დუბლის შესრულება სამ სხვადასხვა ათწლეულში შეძლო
**ლივერპული** - 1986
**მანჩესტერ იუნაიტედი** - 1994, 1996, 1999 (ჰეთ-თრიქის ნაწილი)
**ჩელსი** - 2010

#### ტრებლი (ჰეთთრიქი: ერთ სეზონში სამი ტიტულის მოგება)

მანჩესტერ იუნაიტედი - 1999 (ინგლისის ჩემპიონატი, ასოციაციის თასი და ჩემპიონთა ლიგა)

#### სხვადასხვა გუნდური მიღწევა

ყველაზე მეტი სეზონი უმაღლეს დივიზიონში: 110 - ევერტონი (1888-1930), (1931-1951), (1954-დღემდე)
ყველაზე მეტი სეზონი ზედიზედ: 87 - არსენალი (1919-დღემდე)
ყველაზე მეტი მოგება უმაღლეს დივიზიონში - ლივერპული - 1803
ყველაზე მეტი მოგება შინ - ევერტონი - 1174
ყველაზე მეტი მოგება სტუმრად - არსენალი - 638
ყველაზე მეტი ფრე - ევერტონი - 1069
ყველაზე მეტი მარცხი - ევერტონი - 1470
ზედიზედ მოგებული მატჩები - 14 - არსენალი (10.02.2002-დან 24.08.2002-მდე)
ზედიზედ მოგებული საშინაო მატჩები - 21 - ლივერპული (1972 წელი)
ზედიზედ მოგებული საგარეო მატჩები - 11 - ჩელსი (05.04.2008-06.12.2009)
ყველაზე ცოტა მარცხი სეზონში - 0 - პრესტონი (1888/89) და არსენალი (2003/04)
ყველაზე ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერია - 49 - არსენალი (07.05.2003-24.10.2004)
ყველაზე ხანგრძლივი მოუგებელი სერია - 32 - დერბი (2007/08) - *„დერბი" სეზონის ბოლოს გავარდა, შესაბამისად, სერია ჯერ კიდევ გრძელდება*
დაუმარცხებელი საშინაო სერია - 86 - ჩელსი (20.03.2004-26.10.2008)
დაუმარცხებელი საგარეო სერია - 27 - არსენალი (05.04.2003-25.09.2004)
ყველაზე მეტი გოლი - ევერტონი - 6 594
ყველაზე მეტი გოლი სეზონში - 128 - ასტონ ვილა (1930/31)

*„მანჩესტერ სიტის" ეკუთვნის ერთი საოცარი ანტირეკორდი - 2006/07 წლების სეზონში, გუნდმა პრემიერლიგის 19 საშინაო შეხვედრაში მხოლოდ 10 გოლი გაიტანა.*

#### ყველაზე დიდი ანგარიში

| | |
|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი-დარვინი | 12:0 (04.04.1892) |
| ნოტინგემი-ლესტერი | 12:0 (21.03.1909) |

#### ყველაზე დიდი ანგარიში სტუმრად

| | |
|---|---|
| ვულვერჰემ.-ვესტ ბრომვ. | 0:8 (27.12.1893) |
| ნიუკასლი-სანდერლენდი | 1:9 (05.12.1908) |
| კარდიფი-ვულვერჰემპტონი | 1:9 (03.11.1955) |

#### ყველაზე შედეგიანი ფრე

| | |
|---|---|
| ლესტერი-არსენალი | 6:6 (21.04.1930) |

*გუნდები, რომლებმაც უმაღლეს ლიგაში გადმოსვლის შემდეგ ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს:*

ლივერპული (1905/06)
ევერტონი (1931//32)
ტოტენჰემი (1950/51)
იფსვიჩი (1961/62)
ნოტინგემი (1977/78)

*გამოსარჩევია „იფსვიჩის" მიღწევა, რომლისთვისაც საჩემპიონო სეზონი საერთოდ პირველი სეზონი იყო უმაღლეს დივიზიონში!*

*„ნოტინგემის" შემთხვევაში კი ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ფორესტი" გახლავთ ერთადერთი გუნდი, რომელსაც საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატზე მეტჯერ ჩემპიონთა თასი აქვს მოგებული („ნოტინგემი" ჩემპიონი სულ ერთხელ გახდა, ჩემპიონთა თასი კი ორჯერ მოიგო).*

#### ინდივიდუალური

#### ყველაზე მეტი საჩემპიონო ტიტული (მწვრთნელები)

13 - ალექს ფერგიუსონი (მანჩესტერ იუნაიტედი)
6 - ჯორჯ რემსი (ასტონ ვილა), ბობ პეისლი (ლივერპული)
5 - ტომ უოტსონი (სანდერლენდი და ლივერპული), ჰერბერტ ჩეპმენი (ჰადერსფილდი და არსენალი), მეტ ბასბი (მანჩესტერ იუნაიტედი)

*ინგლისის ჩემპიონატი მწვრთნელის რანგში, სულ ოთხ არაბრიტანელს აქვს მოგებული. ესენი არიან: არსენ ვენგერი - 3, ჟოზე მოურინიო - 2, კარლო ანჩელოტი - 1 და რობერტო მანჩინი - 1.*

#### საუკეთესო ბომბარდირები

6 - ჯიმი გრივსი (ინგლისი) - 1959, 1961, 1963, 1964, 1965, 1969
5 - სტივი ბლუმერი (ინგლისი) - 1896, 1897, 1899, 1901, 1904
4 - ტიერი ანრი (საფრანგეთი) - 2002, 2004, 2005, 2006
3 - ჯონ კემპბელი (შოტლანდია) - 1892, 1893, 1895
3 - გარი ლინეკერი (ინგლისი) - 1985, 1986, 1990
3 - ალან შირერი (ინგლისი) - 1995, 1996, 1997



#### ყველა დროის ბომბარდირები

1. ჯიმი გრივსი - 357 გოლი (516 მატჩი)
2. სტივი ბლუმერი - 317 გოლი (536 მატჩი)
3. დიქსი დინი - 310 გოლი (362 მატჩი)
4. გორდონ ჰოჯსონი - 287 გოლი (456 მატჩი)
5. ალან შირერი - 283 გოლი (559 მატჩი)
6. ჩარლი ბიუკენი - 257 გოლი (482 მატჩი)
7. ნეტ ლოფტჰაუსი - 255 გოლი (452 მატჩი)
8. ჯო ბრედფორდი - 248 გოლი (410 მატჩი)
9. ჰიუი გალაჰერი - 246 გოლი (355 მატჩი)
10. ჯო სმიტი - 243 გოლი (410 მატჩი)

ინგლისის ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ლეგენდარული **ჯიმი გრივსი** გახლავთ. „ჩელსის" და „ტოტენჰემის" ლეგენდამ 357 გოლი სამ სხვადასხვა კლუბში გაიტანა - „არისტოკრატებში" გრივსმა 124 გოლი შეაგდო, „ტოტენჰემში" - 220, კიდევ 13 ბურთი კი მან „ვესტ ჰემში" გაიტანა. 1961 წელს ინგლისელმა ფეხბურთელმა ნახევარი სეზონი „მილანში" გაატარა და 12 შეხვედრაში თავი 9-ჯერ გამოიჩინა.

მეორე ადგილზეა „დერბი ქაუნთის" ლეგენდა **სტივი ბლუმერი**, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში თამაშობდა. ბლუმერმა „დერბიში" 18 წელი გაატარა, კიდევ 4 სეზონი კი „მიდლსბროში" ითამაშა.

მესამეზე კი „ევერტონის" ლეგენდა **უილიამ „დიქსი" დინი** გახლავთ. ლეგენდარული ფეხბურთელი 73 წლის ასაკში „გუდისონ პარკზე", „ევერტონის" და „ლივერპულის" მატჩის დროს, გულის შეტევით გარდაიცვალა. **ბილ შენკლიმ** მასზე თქვა: „ის ისეთივე დიდი ადამიანია, როგორებიც შექსპირი, ბეთჰოვენი და რემბრანდტი იყვნენ".



ჯიმი გრივსი

300-ზე მეტი გოლი მხოლოდ ამ სამ ფეხბურთელს აქვს გატანილი. გარდა ამისა, 10-ეულში შემავალი ფეხბურთელებიდან, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მხოლოდ გრივსი, **შირერი** და **ნეტ ლოფტჰაუსი** თამაშობდნენ. ალან შირერი გახლავთ ათეულის ერთადერთი წევრი, რომელსაც პრემიერლიგაში აქვს ნათამაშები.

#### ყველაზე მეტი გოლი ერთ სეზონში

60 - დიქსი დინი (ევერტონი) 1927/28

#### ზედიზედ მოგებული ბომბარდირის ტიტული

3 - ჯიმი გრივსი (1963, 1964, 1965)
3 - ალან შირერი (1995, 1996, 1997)
3 - ტიერი ანრი (2004, 2005, 2006)

*ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც ბომბარდირი სამ სხვადასხვა კლუბში გახდა:* **გარი ლინეკერი** *(ლესტერი - 1985, ევერტონი - 1986, ტოტენჰემი - 1990)*

#### დისციპლინა

ყველაზე სწრაფი წითელი ბარათი: 13 წამი - კევინ პრესმანი (შეფილდ უენსდეი-ვულვერჰემპტონი, 13.08.2002)

ყველაზე სწრაფი ყვითელი ბარათი: 3 წამი - ვინი ჯოუნსი (ჩელსი-შეფილდ იუნაიტედი, 21.03.1992)

**ყველაზე სწრაფი გაძევება ცვლილებაზე გამოსვლის შემდეგ: 0 წამი - კიტ გილესპი (შეფილდ იუნაიტედი, 20.01.2007) - ირლანდიელმა ფეხბურთელმა, ცვლილებაზე გამოსვლის შემდეგ, მეტოქეს ხელი მატჩის განახლებამდე ჩაარტყა და მსაჯისგან წითელი ბარათი დაიმსახურა.**

### პრემიერლიგის რეკორდები

#### 1992-2013

აქვე, ცალკე შემოგთავაზებთ კონკრეტულად პრემიერლიგის რამდენიმე გამორჩეულ რეკორდს თუ მიღწევას...

#### ჩემპიონები

13 - მანჩესტერ იუნაიტედი
3 - არსენალი, ჩელსი
1 - ბლექბერნი, მანჩესტერ სიტი

#### ყველაზე მეტი სეზონი

21 - მანჩესტერ იუნაიტედი, არსენალი, ჩელსი, ლივერპული, ტოტენჰემი, ასტონ ვილა, ევერტონი
19 - ნიუკასლი
18 - ბლექბერნი
17 - ვესტ ჰემი
16 - მანჩესტერ სიტი

#### სხვადასხვა გუნდური მიღწევა

ყველაზე მეტი ქულა სეზონში - „ჩელსი" - 95 ქულა (2004/05)
ყველაზე მეტი გოლი სეზონში - „ჩელსი" - 103 (2009/10)
ყველაზე ცოტა გაშვებული გოლი სეზონში - „ჩელსი" - 15 (2004/05)
ყველაზე ცოტა ქულა სეზონში - „დერბი ქაუნთი" - 11 (2007/08)
ყველაზე ცოტა გოლი სეზონში - „დერბი ქაუნთი" - 20 (2007/08)
ყველაზე მეტი გაშვებული ბურთი (42 თამაში) - „სუინდონი" - 100 (1993/94)
ყველაზე მეტი გაშვებული ბურთი (38 თამაში) - „დერბი ქაუნთი" - 89 (2007/08)

2001 წელს „ფულჰემმა", „ბლექბერნმა" და „ბოლტონმა" პრემიერლიგის საგზური მოიპოვეს და პირველივე სეზონში ლიგაში ადგილი სამივემ შეინარჩუნა, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ამ სამეულმა, საბოლოო ჯამში, პრემიერლიგაში ზედიზედ 10 სეზონი ჩაატარა და 2011/12 წლების სეზონში „ბლექბერნი" და „ბოლტონი" გავარდნენ.

2001/02 სეზონის გარდა, ერთადერთი კამპანია, როდესაც სამივე დებიუტანტმა ადგილის შენარჩუნება შეძლო სწორედ 2011/12 წლების სეზონი იყო, როდესაც „ქუინზ პარკი", „ნორვიჩი" და „სუონსი" გადაურჩნენ გავარდნას.

ერთადერთი სეზონი, როდესაც სამივე დებიუტანტი გავარდა - 1997/98 - „ბოლტონი", „ბარნსლი" და „კრისტალ პალასი".

#### ყველაზე მეტი მატჩი

1. **რაიან გიგზი** - 619 თამაში (109 გოლი)
2. დევიდ ჯეიმსი - 573 თამაში (0 გოლი)
3. **ფრენკ ლამპარდი** - 550 თამაში (165 გოლი)
4. გარი სპიდი - 535 თამაში (97 გოლი)
5. ემილ ჰესკი - 516 თამაში (110 გოლი)
6. ჯეიმი კარაგერი - 507 თამაში (4 გოლი)
7. ფილ ნევილი - 505 თამაში (9 გოლი)
8. სოლ კემპელი - 503 თამაში (19 გოლი)
9. **მარკ შვარცერი** - 503 თამაში (0 გოლი)
10. პოლ სქოულზი - 499 თამაში (107 გოლი)

*შენიშვნა: მუქი შრიფტით პრემიერლიგაში დღესაც მოთამაშე ფეხბურთელები არიან აღნიშნულნი*

**ყველაზე მეტი მატჩი ზედიზედ - ბრედ ფრიდელი** - 310 (2004 წლის 14 აგვისტოდან 2012 წლის 7 ოქტომბრამდე).

ფრიდელს 8 წლის განმავლობაში თამაში არ ჰქონდა გამოტოვებული, სანამ **ანდრე ვილაშ-ბოაშმა**, უცნაური გადაწყვეტილება არ მიიღო და ვეტერანი ამერიკელი მეკარე ერთი მატჩით სათადარიგოთა სკამზე არ დასვა. მომდევნო შეხვედრაში „ტოტენჰემის" კარს ისევ ფრიდელი იცავდა, მაგრამ მალე გუნდის პირველი მეკარის სტატუსი **უგო ლორისმა** წაართვა.

სიმბოლური ნაკრები ჩატარებული მატჩების მიხედვით:

მეკარე: **დევიდ ჯეიმსი - 573 მატჩი**
მცველები: **ჯეიმი კარაგერი - 507 მატჩი, სოლ კემპბელი - 503 მატჩი, რიო ფერდინანდი - 478 მატჩი, ფილ ნევილი - 505 მატჩი**
ნახევარმცველები: **გარი სპიდი - 535 მატჩი, ფრენკ ლამპარდი - 550 მატჩი, პოლ სქოულზი - 499 მატჩი, რაიან გიგზი - 620 მატჩი**
თავდამსხმელები: **ემილ ჰესკი - 516 მატჩი, კევინ დევისი - 444 მატჩი**

#### ყველაზე მეტი გოლი

1. ალან შირერი - 260 გოლი
2. ენდი კოული - 188 გოლი
3. ტიერი ანრი - 175 გოლი
4. ფრენკ ლამპარდი - 165 გოლი
5. რობი ფაულერი - 163 გოლი
6. უეინ რუნი - 156 გოლი
7. მაიკლ ოუენი - 150 გოლი
8. ლეს ფერდინანდი - 149 გოლი
9. ტედი შერინგემი - 147 გოლი
10. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი - 127 გოლი

#### სიმბოლური ნაკრები გოლების მიხედვით

მეკარე: **პიტერ შმეიხელი - 1 გოლი (კიდევ სამ მეკარეს აქვს ერთი გოლი გატანილი)**
მცველები: **დევიდ ანსვორთი - 38 გოლი, ჯონ ტერი - 32 გოლი, უილიამ გალასი - 25 გოლი, იან ჰარტი - 28 გოლი**
ნახევარმცველები: **მეტ ლე ტისიე - 101 გოლი, ფრენკ ლამპარდი - 165 გოლი, პოლ სქოულზი - 107 გოლი, რაიან გიგზი - 109 გოლი**
თავდამსხმელები: **ალან შირერი - 260 გოლი, ენდი კოული - 188 გოლი**

**ტიერი ანრიმ** 20 ან მეტი გოლი ზედიზედ 5 სეზონში გაიტანა.

**ფრენკ ლამპარდი** არის ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც 10 ან მეტი გოლი ზედიზედ 10 სეზონში გაიტანა, გარდა ამისა, ფრენკი უკვე 16 სეზონია ჩემპიონატში მინიმუმ 5 გოლს იტანს.

**რაიან გიგზი** კი ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც მინიმუმ ერთი გოლი პრემიერლიგის ყველა, 21-ვე სეზონში გაიტანა

ყველაზე სწრაფი გოლი - 9,9 წამი - ლედლი კინგი (ტოტენჰემი-ბრედფორდი, 2000 წლის 9 დეკემბერი)

ყველაზე მეტი წითელი ბარათი - 8 - დანკან ფერგიუსონი, პატრიკ ვიეირა, რიჩარდ დანი

ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი - 100 - კევინ დევისი

#### თვის საუკეთესო მწვრთნელი:

27 - ალექს ფერგიუსონი
13 - არსენ ვენგერი
10 - დევიდ მოიესი
8 - მარტინ ონილი, ჰარი რედნაპი
6 - რაფაელ ბენიტესი, ბობი რობსონი

#### თვის საუკეთესო ფეხბურთელი:

5 - სტივენ ჯერარდი, უეინ რუნი, რობინ ვან პერსი
4 - დენის ბერგკამპი, ტიერი ანრი, ფრენკ ლამპარდი, კრიშტიანო რონალდო, პოლ სქოულზი, ალან შირერი

#### პრემიერლიგის პირველი ათწლეულის ჯილდოები:

საუკეთესო ფეხბურთელი - ალან შირერი
საუკეთესო უცხოელი - ერიკ კანტონა
ათწლეულის გოლი - დევიდ ბექჰემი - უიმბლდონი-მანჩესტერ იუნაიტედი, 1996 წლის 17 აგვისტო
ათწლეულის სეივი - პიტერ შმაიხელი - ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი, 1997 წლის 21 დეკემბერი

#### ათწლეულის მატჩი:

| ლივერპული-ნიუკასლი | 4:3 |
|---|---|

*1996 წლის, 3 აპრილი*

გოლები: 1:0 ფაულერი (2), 1:1 ლეს ფერდინანდი (10), 1:2 ჟინოლა (14), 2:2 ფაულერი (55), 2:3 ასპრილია (57), 3:3 კოლიმორი (68), 4:3 კოლიმორი (90)

#### ათწლეულის მწვრთნელი

სერ ალექს ფერგიუსონი

#### სიმბოლური ნაკრები:

პიტერ შმეიხელი - გარი ნევილი, ტონი ადამსი, მარსელ დესაი, დენის ირვინი - დევიდ ბექჰემი, პატრიკ ვიეირა, პოლ სქოულზი, რაიან გიგზი - ალან შირერი, ერიკ კანტონა

#### 20 სეზონის ჯამში

საუკეთესო ფეხბურთელი - რაიან გიგზი
საუკეთესო მწვრთნელი - სერ ალექს ფერგიუსონი
საუკეთესო გუნდი - 2003/04 სეზონის „არსენალი"
ყველაზე დასამახსოვრებელი ფრაზა: „I would love it if we beat them. Love it!" - კევინ კიგანის ლეგენდარული „აფეთქება". ფრაზის მთელი ეშხი თარგმანში დაიკარგება, ამიტომ ორიგინალში გთავაზობთ
საუკეთესო გოლი - უეინ რუნი - „მანჩესტერ იუნაიტედი"-„მანჩესტერ სიტი", 2011 წლის 12 თებერვალი
საუკეთესო სეივი - კრეიგ გორდონი - „სანდერლენდი"-„ბოლტონი", 2010 წლის 18 დეკემბერი

#### საუკეთესო მატჩი:

| მანჩესტერ იუნ-მანჩეს. სიტი | 4:3 |
|---|---|

#### 2009 წლის 20 სექტემბერი

გოლები: 1:0 რუნი (2), 1:1 ბერი (16), 2:1 ფლეტჩერი (49), 2:2 ბელამი (52), 3:2 ფლეტჩერი (80), 3:3 ბელამი (90), 4:3 ოუენი (90+6)

#### სიმბოლური ნაკრები:

სპეციალისტების რჩეულები: **პიტერ შმეიხელი - გარი ნევილი, ტონი ადამსი, რიო ფერდინანდი, ეშლი კოული - კრიშტიანო რონალდო, როი კინი, პოლ სქოულზი, რაიან გიგზი - ტიერი ანრი, ალან შირერი**

გულშემატკივართა რჩეულები: **პიტერ შმეიხელი - გარი ნევილი, ტონი ადამსი, ნემანია ვიდიჩი, ეშლი კოული - კრიშტიანო რონალდო, სტივენ ჯერარდი, პოლ სქოულზი, რაიან გიგზი - ტიერი ანრი, ალან შირერი**

**ტატო ბაციკაძე**



რაიან გიგზი



ლევერკუზენი

# კისლინგი ბაიერის ერთგულია

## შტეფანმა ლევერკუზენთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა **შტეფან კისლინგმა** „ლევერკუზენთან" კონტრაქტი 2017 წლამდე გააგრძელა (მის ძველ ხელშეკრულებას ვადა 2015 წლის ზაფხულამდე ჰქონდა). ეს იმას ნიშნავს, რომ 29 წლის თავდამსხმელი „ლევერკუზენში" რჩება. **ანდრე შიურლეს** წასვლის შემდეგ, რომელიც ლონდონის „ჩელსიში" გადავიდა, „ბაიერის" ხელმძღვანელებს კისლინგის დაკარგვისაც ეშინოდათ, ახალი კონტრაქტი კი იმას ნიშნავს, რომ „ლევერკუზენის" სპორტულ დირექტორ **რუდი ფიოლერს** შეუძლია მშვიდად იყოს - ახლო მომავალში შტეფანი კვლავ „ლევერკუზენის" ფეხბურთელი იქნება.

მოკლედ მიმოვიხილოთ შტეფანის კარიერა: კისლინგმა ფეხბურთის თამაში ბამბერგის „აინტრახტში" დაიწყო, ბუნდესლიგაში დებიუტი კი 2002 წლის 26 აპრილს, „ნიურნბერგის" რიგებში ჰქონდა. ამ კლუბის ფორმით 73 მატჩში 15 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც, 2006 წელს „ლევერკუზენში" გადაბარგდა, სადაც 220 მატჩში 98 გოლის გატანა მოახერხა. 2009/2010 წლების სეზონში კისლინგმა ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში 21 გოლით მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ **ედინ ჯეკოს** (22 გოლი) ჩამორჩა, გასულ სეზონში კი 25 გოლით გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

მიუხედავად ამისა, მას გერმანიის ნაკრებში აღარ იწვევენ. კისლინგმა ბუნდესგუნდის ფორმა ბოლოს 2010 წლის 10 აგვისტოს, მუნდიალზე, მესამე ადგილისთვის მატჩში მოირგო. მას მერე გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** შტეფანს ეროვნულ გუნდში აღარ უხმობს. არადა, კისლინგი ბოლო წლების ყველაზე შედეგიანი გერმანელი ცენტრფორვარდია. შტეფანი იმედს მაინც არ კარგავს - მისი მიზანი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე მოხვედრაა.

**გოტფრიდ ლენცი**



შტეფან კისლინგი ლევერკუზენში რჩება

ინტერვიუ. ფელიქს მაგათი



# ჯერ არ ვარ ბებერი!

## დესპოტი ფელიქსი 60 წლის გახდა

ფელიქს მაგათი

**ფელიქს მაგათი** უმუშევარია და როგორც ჩანს, სერიოზული გუნდები არ ეპატიჟებიან. ორიოდე წლის წინ ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო, რადგან როცა „ვოლფსბურგს" ყველასათვის მოულოდნელად ბუნდესლიგა მოაგებინა, „დესპოტი ფელიქსი" ავანგარდში იყო და ამიტომაც გადაიბირა „შალკემ". მიუხედავად იმისა, რომ გელზენკირხენული კლუბი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა, „შალკეს" ხელმძღვანელებმა მიიჩნიეს, რომ იმედები ვერ გაამართლა და გაათავისუფლეს, რის შემდეგაც „ვოლფსბურგში" დაბრუნდა, მაგრამ ვეღარც იქ ააწყო გუნდი. შედეგად, დღეს მაგათი უმუშევარია და სერიოზული გუნდები ალბათ მაინც იმის გამო აღარ უხმობენ, რომ მაგათი ძალიან მკაცრი სპეციალისტია - მის სიმკაცრეზე ლეგენდები დადის. 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით „ბილდმა" „დესპოტ ფელიქსს" პატარა, მაგრამ ძალიან საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა.

**- ჰერ მაგათ, 60 წლის ასაკში თავს როგორ გრძნობთ?**

- ჯერ არ დავბერებულვარ (იცინის). ძალიან გამიმართლა, ბავშვობაში ფეხბურთის გუნდი ჩემს სახლთან ახლოს რომ ვარჯიშობდა. მივედი, გუნდში ჩავეწერე და მას მერე მხოლოდ ფეხბურთით ვარ დაკავებული. სპორტის ამ სახეობის დამსახურებაა ის, რომ ცხოვრებაში კაცად ვიქეცი. რომ არა ფეხბურთი, არც კი ვიცი, რა უნდა მეკეთებინა და რით უნდა მეშოვა საარსებო ფული. საბედნიეროდ, ცნობილი ფეხბურთელი და მერე ცნობილი მწვრთნელიც გავხდი. როცა შენთვის საყვარელ საქმეს აკეთებ და ამით ფულსაც შოულობ, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს.

**- „ვოლფსბურგიდან" წამოსვლის შემდეგ უმუშევარი ხართ და როგორც ჩანს, მაღალი დონის გუნდებში აღარ გეპატიჟებიან. სამწვრთნელო კარიერის დასრულებაზე ხომ არ ფიქრობთ?**

- ფეხბურთი იყო, არის და იქნება ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ახლა ერთი კითხვა მტრიალებს თავში - გერმანიაში დავრჩე, თუ უცხოეთში წავიდე. ფაქტია, რომ სამწვრთნელო კარიერის დამთავრებას ჯერ არ ვაპირებ და აუცილებლაც ფეხბურთში უნდა ვიყო დასაქმებული.

**- როგორ ფიქრობთ, რას მიაღწევს ხოსეპ გვარდიოლა „ბაიერნში"? რამდენად წარმატებული იქნება პეპის ფორმაციის რეკორდმაისტერი?**

- გერმანიის ჩემპიონი 2014 წელსაც „ბაიერნი" გახდება - ამას წყალი არ გაუვა! ბავარიელები სავარაუდოდ გერმანიის თასსაც მოიგებენ. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, რომ ამაზე ტოტალიზატორებში მაღალი კოეფიციენტები იყოს. რაც შეეხება ევროსარბიელს: ჩემპიონთა ლიგაში წარმატება ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და „ბაიერნის" გულშემატკივრების ადგილზე ასეთ ეიფორიაში არ ვიქნებოდი. ინგლისურ გრანდებს ბევრი ფული აქვთ და გუნდებს აძლიერებენ, ესპანელები კი იმედგაცრუებულები არიან და მოტივაცია მოემატათ. ცხადია, არც იტალიური გრანდები უნდა დაგვავიწყდეს.

**- ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი 2014-ში?**

- კონფედერაციათა თასზე ბრაზილიამ ძალიან კარგად ითამაშა. თანაც, „სელესაო" მუნდიალის მასპინძელი და შესაბამისად, ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. გერმანიის ნაკრებიც ფავორიტად მიმაჩნია. რატომღაც მგონია, რომ ფინალი გერმანია-ბრაზილია უნდა იყოს.

**- ასე რომ მოხდეს, რომელი მოიგებს?**

- იმედია, გერმანია მოიგებს, მაგრამ გააჩნია, ვინ იქნება და როგორ იმოქმედებს მსაჯი...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერი

# მორატი და ტოჰირი ინტერს ინაწილებენ
## ინდონეზიური ინვესტიცია ნერაძურიში



ერიკ ტოჰირი

ბოლო ორი დღეა, იტალიური სპორტული პრესის მთავარი სასაუბრო თემა „ინტერის“ გარშემო დატრიალებული ამბებია. კლუბის პრეზიდენტი **მასიმო მორატი** ინდონეზიელ ბიზნესმენ **ერიკ ტოჰირთან** მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდა, საქმე კი კლუბის პროცენტების გასხვისებას ეხება.

ხუთშაბათს გვიან ღამით, „გაძეტა დელო სპორტმა“ გვამცნო, რომ მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის მიხედვითაც ტოჰირი „ინტერის“ აქციების 80%-ს, ანუ საკონტროლო პაკეტს დაეუფლება. ითქვა ისიც, რომ მორატები დარჩენილ 20%-ს მხოლოდ დროებით, 2 წლის განმავლობაში იტოვებენ და 2015 წლის ზაფხულს, დარჩენილ აქციებსაც ავტომატურად დათმობენ. „გაძეტას“ მტკიცებით, კლუბის ახალი პრეზიდენტი სწორედ ტოხირი იქნება, დირექტორთა საბჭოში კი მორატების ოჯახიდან მხოლოდ **ანჯელო მორატი** დარჩება, მასიმოს ახლო ნათესავი. მოკლედ, „გაძეტა დელო სპორტმა“ მთელი საფეხბურთო იტალია აალაპარაკა, კალჩოში ხომ უცხოელ ინვესტორებს დიდად არ სწყალობენ.

შეგახსენებთ, რომ სერია A-ს არც ერთ კლუბს უცხოელი ინვესტორი არ ჰყავს და რამდენჯერაც ამის მცდელობა იყო, ტიფოზთა მხრიდან აქტიური პროტესტი მოჰყვა და მოლაპარაკებებიც ჩაიშალა. ერთი ეგაა, „რომაში“ ჩაიდო ამერიკული ინვესტიცია, მაგრამ ამ შემთხვევაში, საქმე იტალიური წარმოშობის ამერიკელებს ეხება. მოკლედ, „გაძეტამ“ „ინტერი“ პირველ მერცხლად მონათლა და ბუნებრივია, ამას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ვთქვათ ისიც, რომ ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ტოჰირი 280 მილიონ ევროს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ვალების გასტუმრებაში დახარჯავს, კიდევ 100 მილიონს კი ახალი ფეხბურთელების შეძენაში. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ გუშინ, ჟურნალისტთა წინაშე თვითონ ტოჰირი წარსდგა და გავრცელებული ინფორმაცია სანახევროდ დაადასტურა:

*„მასიმო მორატისთან ნამდვილად ვაწარმოებ მოლაპარაკებას და შეთანხმებასთან ახლოს ვართ. ბედნიერი ვარ, რომ ბედმა იმ კლუბს დამაკავშირა, რომელსაც დიდი ხანია ვგულშემატკივრობ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ უდიდეს პატივს ვცემ მორატების ოჯახს და ვაფასებ ყველაფერ იმას, რაც ამ ხალხმა „ინტერისთვის“ გააკეთა. ჩემი მიზანი არ არის „ინტერი“ მორატების გარეშე დატოვება და შესაბამისად, არ ვაპირებ არც კლუბის პრეზიდენტობას, არც აქციათა 80%-ის შეძენას. ჩემი სურვილია, ვიყო ამ უდიდესი კლუბის ნაწილი, მაგრამ არა პრეზიდენტი და ერთპიროვნული მმართველი. ამ ეტაპზე უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, რადგან მოლაპარაკება ჯერ კიდევ გრძელდება“.*

### სკელოტოს სამი ვარიანტი

გადაწყვეტილი ამბავია, რომ **ესეკილ სკელოტო** „ინტერს“ დატოვებს და კარიერას რომელიმე სხვა გუნდში გააგრძელებს. დაინიშნა თუ არა „ნერაძურის“ მთავარ მწვრთნელად **ვალტერ მაცარი**, პირველი რაც გააკეთა, შავი სიის შედგენა გახლდათ, რომელშიც ესეკილ სკელოტოს გვარიც მოხვდა. ერთი სიტყვით, 24 წლის საყრდენი ნახევარმცველი ტრანსფერზე დააყენეს და შედეგმაც არ დააყოვნა, მისი გადაბირების სურვილი ოფიციალურად უკვე სამმა კლუბმა დააფიქსირა: „უდინეზემ“, „ბოლონიამ“ და თურქულმა „გალათასარაიმ“.

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, ყველას თურქებმა დაასწრეს და ფეხბურთელთან საქმიანი შეხვედრის გამართვაც მოახერხეს. სკელოტო კმაყოფილი დარჩენილა შეთავაზებული პირობებით და მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე მოუთხოვია. მეორე საკითხია, მოახერხებენ თუ არა თურქები მილანური გრანდის მესვეურებთან შეთანხმებას - გამომდინარე იქიდან, რომ იტალიელები ესეკილის მოშორებაზე არიან, წესით მასში დიდი თანხა არ უნდა მოითხოვონ. კულუარული ინფორმაციით, 8 მილიონი ევროს სანაცვლოდ ლომბარდიელები სკელოტოს დაუფიქრებლად გაასხვისებენ - თუმცა არის ერთი გარემოებაც, ესეკილის სატრანსფერო უფლებების ნახევარს დღემდე „ატალანტა“ ფლობს და ნებისმიერი გადაწყვეტილება ბერგამოულ კლუბთან უნდა იყოს შეთანხმებული.

**ლაშა წიკლაური**

● ლაციო

# ტარე: ერნანესი არ იყიდება
## ტაიდერი არჩევითა სამიზნეში


ერნანესი რომაელებს არ ეთმობათ

ზაფხული არ გავა, რომ **ერნანესის** „ლაციოდან“ შესაძლო აბარგების შესახებ ცნობები არ გავრცელდეს და გამონაკლისი არც მიმდინარე სატრანსფერო პერიოდია. მით უმეტეს, 28 წლის ბრაზილიელს კლუბთან მომდევნო ზაფხულს უმთავრდება ხელშეკრულების ვადა და ჯერჯერობით, მისი გახანგრძლივება არა და არ მოხერხდა. მოკლედ, ჟურნალისტებმა მშვენიერი საბაბი მიიღეს საიმისოდ, რომ ერთი ამბავი ატეხონ და ერნანესის მომავალი სხვადასხვა გუნდს დაუკავშირონ. ამ შემთხვევაში, წინა პლანზე „ტოტენჰემის“ ვარიანტმა წამოიწია, სადაც თურმე ნახევარდაცვის გაძლიერებას ეშურებიან და თვალი ბრაზილიის ნაკრების შუახაზელზე დაუდგამთ. ამ საკითხზე „ლაციოს“ სპორტულმა დირექტორმა **იგლი ტარემ** ისაუბრა:

*„ერნანესის გასხვისებას ნამდვილად არ ვაპირებთ და გავრცელებული ინფორმაციები სრული სისულელეა. ვერ ვხედავ ლოგიკას იმაში, რომ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გავასხვისოთ და შემდეგ, სხვა მოთამაშეებში მილიონები გადავიხადოთ - ასე მთელ ბიუჯეტს გავხარჯავთ და რეალურად, გუნდი არ გაძლიერდება. ამიტომ, ჩვენი მიზანია, რომ ყველა წამყვანი ფეხბურთელი შევინარჩუნოთ და რამდენიმე უმაღლესი კლასის მოთამაშე დავიმატოთ. ერნანესს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეველევით, თუ ამას თვითონ მოინდომებს. საბედნიეროდ, მას „ლაციოში“ სურს კარიერის გაგრძელება“.*

„ლაციოსთან“ დაკავშირებით, კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება, რომლის მიხედვითაც კლუბის მესვეურები „ბოლონიას“ ნახევარმცველის **საფირ ტაიდერის** გადაბირებით არიან დაინტერესებულნი. 20 წლის ალჟირელი ორი სეზონია, რაც „ბოლონიას“ ღირსებას იცავს და ეროვნულ ნაკრებშიც სტაბილურად ასპარეზობს. ტაიდერის შესაძლო გადაბირების საკითხზე ტარეს შემდეგი მოსაზრება აქვს:

*„ტაიდერს დიდი ხანია ვაკვირდებით და უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი გადაბირების საკითხი დღის წესრიგში დგას. ფეხბურთელს ამჟამად მცირე ტრავმა აქვს და შეკრებაზე არ იმყოფება; შესაბამისად, მასთან მოლაპარაკების წარმოება შეუძლებელია - საკითხი კი სწორედ ისე დგას, რომ მოთამაშეს უნდა შევუთანხმდეთ, რადგან „ბოლონიას“ მესვეურები ალჟირელთან განშორების წინააღმდეგნი არ არიან. ტაიდერი უნივერსალური თვისებებით დაჯილდოვებული ფეხბურთელ..ა, ნახევარდაცვაშიც შეუძლია თამაში და შეტევაშიც - ამიტომ, მისი გადმოყვანისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ“.*

**ლაშა წიკლაური**

● ამბები

### მონტელა პრეზიდენტს ემადლიერება


ანდრეა დელა ვალე და ვინჩენცო მონტელა

**ვინჩენცო მონტელა** კმაყოფილებას ვერ მალავს იმის გამო, რომ „ფიორენტინას“ მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობენ და ტრანსფერს ტრანსფერზე ჩარხავენ. ფლორენციელებმა ყველაზე მეტად თავდასხმის ხაზი გააძლიერეს, სადაც მომდევნო სეზონში **ჯუზეპე როსისა** და **მარიო გომესის** ტანდემს ვიხილავთ. თუმცა, არც **იოსიპ ილიჩიჩი** უნდა დავივიწყოთ, რომელსაც თავისუფლად შეუძლია ტანდემი ტრიოდ აქციოს. მონტელა „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტმა გამოიჭირა და კომენტარი ჩამოართვა:

*„მადლობა მინდა გადავუხადო პრეზიდენტ ანდრეა დელა ვალეს და კლუბის სხვა მესვეურებს იმისთვის, რომ სატრანსფერო ბაზარზე ნაყოფიერად მუშაობენ. გომესის გადმობირებით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან გერმანელი საოცარი შესაძლებლობების ფეხბურთელია. ბურთისთვის ყოველთვის თავგამოდებით იბრძვის და გოლის გასატანად ყველაფერზე წამსვლელია. ერთი სიტყვით, მარიო კლასიკური ბომბარდირია. ილიჩიჩს და როსის თანაბარი წარმატებით შეუძლიათ თამაში როგორც ფლანგზე, ისე შეტევის წინა ხაზზე და თქვენ წამოიდგინეთ, გამთამაშებლის პოზიციაზეც კი. ეს ყველაფერი ვარირების საშუალებას მომცემს, რასაც აუცილებლად გამოვიყენებ“.*

### რომამ დე სანქტისი დაიმატა


მომდევნო სეზონიდან, მორგან დე სანქტისი „რომას“ კარს დაიცავს

**მორგან დე სანქტისი** რომ „რომაში“ გააგრძელებდა კარიერას, ამის შესახებ ერთ-ერთ წინა ნომერში გამცნეთ - გუშინ კი აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდა. 36 წლის დე სანქტისის სანაცვლოდ რომაელები „ნაპოლის“ ბიუჯეტში ნახევარ მილიონ ევროს გადარიცხავენ, თვითონ მეკარესთან კი 2-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდება.

აქვე ვთქვათ, რომ მორგან დე სანქტისი 2009 წლიდან „ნაპოლიში“ ასპარეზობდა და ამ გუნდის შემადგენლობაში 147 მატჩი აქვს ჩატარებული. მისი „ნაპოლიდან“ აბარგების საკითხი მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც სამხრეთელებმა ბრაზილიური „სანტოსიდან“ **რაფაელი** გადაიბირეს და თანაც, მასში 5.5 მილიონი ევრო გადაიხადეს. იტალიელი მეკარის საბოლოო ვერდიქტი კი **პეპე რეინას** საიჯარო ხელშეკრულება გახლდათ, რომლის მიხედვითაც, ესპანელი მინიმუმ ერთ სეზონს სწორედ „ნაპოლიში“ გაატარებს. მოკლედ, დე სანქტისის ადგილი **რაფაელ ბენიტესის** გუნდში აღარ დარჩა და მანაც დედაქალაქისკენ აიღო გეზი. „რომას“ ოფიციალურმა ვებგვერდმა უკვე დაადასტურა, რომ დე სანქტისი მალე **რუდი გარსიას** განკარგულებაში იქნება.

**ლაშა წიკლაური**

### სიტი მუშაობას განაგრძობს

„მანჩესტერ სიტიმ“ შემადგენლობა უმაღლესი კლასის მოთამაშეებით გააძლიერა. **სტევან იოვეტიჩზე, ალვარო ნეგრედოზე, ფერნანდინიოსა** და **ხესუს ნავასზე** ნაკლები კომპლიმენტი ნამდვილად არ ითქმის. „ქალაქელებმა“ ტრანსფერებში სულ 97,68 მილიონი ევრო დახარჯეს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** კი აცხადებს, რომ მას სატრანსფერო კამპანია არ დაუსრულებია: *„მართალია, კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ არანაკლებმა ოსტატებმა მარიო ბალოტელიმ და კარლოს ტევესმა დაგვტოვეს. მათ სრულფასოვნად შესაცვლელად დრო და მოთმინებაა საჭირო“.* ჩილელ მწვრთნელს არ დაუზუსტებია, რომელი ამპლუის მოთამაშეებით აპირებს ის გუნდის შევსებას.

### დეზებს მცველი გამოაკლდათ


იან ვერტონგენი

24 ივლისს ჰონკონგში „სანდერლენდთან“ საკონტროლო მატჩისას (1:3) „ტოტენჰემის“ ბელგიელ ცენტრალურ მცველს, 26 წლის **იან ვერტონგენს** სველ მინდორზე ფეხი გაუცურდა და დაეცა. ფეხბურთელმა წვივის ტკივილი იგრძნო, რის გამოც მომენტალურად შესაცვლელი შეიქნა. ადგილობრივ საავადმყოფოში ვერტონგენს მყესის დაჭიმულობა დაუდგინდა. ის სამი კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს. ეს იმას ნიშნავს, რომ **ანდრე ვილაშ-ბოაშს** პრემიერლიგის I ტურში (18 აგვისტოს) „კრისტალ პალასთან“ მის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. „დეზების“ პორტუგალიელი დამრიგებელი იმედოვნებს, რომ პროგნოზის მიუხედავად ფეხბურთელი გუნდს იქამდე დაუბრუნდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის სუპერთასი

# პირველი დუელი

## სუპერთასი დორტმუნდსაც უნდა და ბაიერნსაც

**ბუნდესლიგის** დაწყებამდე ორი კვირაა დარჩენილი, მაგრამ გერმანიაში ახალი სეზონი ოფიციალურად დღეს, სუპერთასის გათამაშებით იწყება. გერმანიის სუპერთასისთვის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ბაიერნი" ვიცე-ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას" შეებრძოლება, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს მონატრებული საკლუბო ფეხბურთის პირველი ბრწყინვალე დუელი გველის.

ტელეკომის ან **ული ჰიონესის** თასს სათვალავში, რა თქმა უნდა, არავინ აგდებს – **ხოსეპ გვარდიოლას** „ბაიერნთან" ერთად პირველი ოფიციალური ტიტულის მოგების შანსი დღეს, დორტმუნდში დაგეგმილ სუპერთასის შეხვედრაში ეძლევა.

*„პირადად მე ყველა თამაშის მოგება მინდა და მჯერა, რომ ბიჭებსაც ასეთი განწყობა აქვთ. ფიზიკური ორთაბრძოლებით დატვირთული თამაში იქნება და ჩვენ ამ ბრძოლისთვის მზად ვართ,"* - განაცხადა 42 წლის ესპანელმა სპეციალისტმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე და დასძინა, ოდნავადაც არ მაღელვებს ის ფაქტი, რომ ეს ჩემპიონთა ლიგის ფინალის რემეიქიაო.



დორტმუნდის „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი და მისი მიუნხენელი კოლეგა ხოსეპ გვარდიოლა – დღეს მათი პირველი დუელია

### პირდაპირი რეპორტაჟი 195 ქვეყანაში

დორტმუნდში რევანშისტული განცხადებები არ გაუკეთებიათ და არც ბავარიელები იქადნებიან დიდად, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი შეხვედრა არ არის და ვერც იქნება იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც ბოლო წლებში „ბორუსიასა" და „ბაიერნს" შორის ხდებოდა და რაც ახლახან **მარიო გიოტცეს** ხმაურიანი ტრანსფერით გაგრძელდა. ამავდროულად, ეს მატჩი ბუნდესლიგის რიგით 51-ე სეზონისწინა მოთელვაცაა და გერმანული საკლუბო ფეხბურთის მორიგი ზეიმიც – თავად განსაჯეთ, გერმანიის სუპერთასის დღევანდელი მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი მსოფლიოს 195 ქვეყანაში გადაიცემა!

*„ჩვენ გვინდა, რომ ამ თამაშის მოსაგებად ყველაფერი გავაკეთოთ. საკუთარ მოედანზე, 80 000 მაყურებლის თვალწინ ვთამაშობთ და ცხადია, რომ ძალიან მოტივირებულები ვიქნებით,"* - ეს „ბორუსიას" თავკაც **იურგენ კლოპის** სიტყვებია. დორტმუნდელები ამბობენ, მოტივაციის მოსამატებლად შარშანდელი სუპერთასის (2:1 „ბაიერნის" სასარგებლოდ) ან ჩემპიონთა ლიგის ფინალის გახსენება სულაც არ გვჭირდება, „ბაიერნთან" ჩვენი მონდომება ყოველთვის განსაკუთრებულიაო.

მაგრამ დორტმუნდელები (და, სხვათა შორის, ბავარიელებიც) ვერსად გაექცევიან იმ ფაქტს, რომ „ბაიერნსა" და „დორტმუნდს" შორის გაჩაღებულ ცეცხლში მარიო გიოტცეს ტრანსფერმა ნავთი დაასხა. შეგახსენებთ, რომ დორტმუნდელი ვარსვლავბიჭუნა მიუნხენში 37 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. ცეცხლზე ნავთს ასხამს **რობერტ ლევანდოვსკის** საკითხიც, რომელსაც ასევე „ბაიერნში" გადასვლა უნდოდა, მაგრამ „ბორუსიას" ხელმძღვანელებმა არ გაუშვეს. აქედან გამომდინარე, დღეს პოლონელი გოლეადორი ყურადღების ცენტრში იქნება და საინტერესოა, რამდენად და როგორ დაიხარჯება „დორტმუნდისთვის". შეიძლება ითქვას, რომ ეს ლევანდოვსკის პროფესიონალიზმის გამომცდელი მატჩიცაა.

### გიოტცე მიუნხენში დარჩა

წესით, ამ შეხვედრაში გიოტცე დორტმუნდს და დორტმუნდელებს ოფიციალურად უნდა გამომშვიდობებოდა, მაგრამ მარიოს გამოთხოვება არ შედგება – „ბაიერნისა" და „დორტმუნდის" შეფებს შეეშინდათ, რომ გიოტცეს გამოჩენა ფანების უდიდეს პროტესტს გამოიწვევდა და გადაწყვიტეს, რომ მარიოსთან ოფიციალურ დამშვიდობებაზე უარი ეთქვათ, ამრიგად, გიოტცე მიუნხენში დარჩა და ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

დორტმუნდელები მიიჩნევენ, რომ ამ შეხვედრაში საქმე მხოლოდ 5.5-კილოგრამიან და 53-სანტიმეტრიან თასს არ ეხება. „ბორუსიას" დაცვის ბურჯი **მატს ჰუმელსი** ამბობს, „ბაიერნს" აუცილებლად უნდა მოვუგოთ და დავამტკიცოთ, რომ რეკორდმაისტერისთვის ღირსეული კონკურენციის გაწევა მომდევნო სეზონშიც შეგვიძლიაო.

ალსანიშნავია, რომ შარშან, „ბაიერნმა" „დორტმუნდის" სუპერთასზე დამარცხებით „ბორუსიასთან" ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, რის შემდეგაც რეკორდმაისტერმა ბრწყინვალე, არსებობის ისტორიაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა.

### ბაიერნში სუპერთასს დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ

*„შარშან სუპერთასი გარდამტეხი გამოდგა. მაშინ ამ თამაშის მოგება ბავშვივით მიხაროდა, ახლა კი, მას მერე, რაც დორტმუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც დავამარცხეთ, სუპერთასს იმდენად დიდ მნიშვნელობას აღარ ვანიჭებ. ახლა ეს ჩემთვის უბრალოდ პრესტიჟული მატჩია,"* - განაცხადა „ბაიერნის" პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა**.

*„ჩვენს პრეზიდენტს აბსოლუტურად ვეთანხმები. შარშანდელ სუპერთასს სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა, წელს კი ამ თამაშის მოგება ისეთი მნიშვნელოვანი აღარ არის, მაგრამ როგორც მწვრთნელმა თქვა, ჩვენ ყველა მატჩის მოგება გვინდა და გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ეს შეხვედრაა,"* - ეს **თომას მიულერის** სიტყვებია.

გვარდიოლა, რომელმაც „ბარსელონას" მწვრთნელის რანგში ოთხი წლის მანძილზე 14 ტიტული მოიგო, მოედანზე მთლად საუკეთესო შემადგენლობას ვერ გაიყვანს. „ბარსასთან" მატჩში „ბაიერნს" **ფრანკ რიბერი** და **მანუელ ნოიერი** დაუშავდნენ. მათი ტრავმები სერიოზული არაა, მაგრამ ბავარიელები რისკს მოერიდნენ და ნოიერიცა და რიბერიც მიუნხენში დატოვეს. „ბაიერნის" სამედიცინო შტაბის ოფიციალური განცხადებით, 5 აგვისტომდე, როცა „ბაიერნი" გერმანიის თასის პირველ რაუნდში „რედენის" წინააღმდეგ უნდა წარსდგეს, ორივე მწყობრში იქნება. რაკი მარიო გიოტცეც ტრავმირებულია, „ბაიერნის" მხრიდან ყურადღების ცენტრში უდავოდ **ტიაგო ალკანტარა** იქნება, რომელიც „ბაიერნმა" „ბარსელონადან" 25 მილიონ ევროდ გადაიბირა.

საკადრო პრობლემა „დორტმუნდის" თავკაც **იურგენ კლოპსაც** აქვს – „ბორუსიასაც" უმთავრესი ახალწვეული აკლია: „შახტარიდან" სარეკორდო 27 მილიონად ნაყიდი სომეხი ვარსკვლავი **ჰენრიხ მხითარიანი** ტრავმირებულია და დღეს მოედანზე ვერც მას ვნახავთ. მცირე ტრავმები აწუხებთ კიდევ ერთ ახალწვეულ **პიერ-ემერიკ ობამეიანსა** და მარჯვენაფლანგელ **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის**, თუმცა ისინი მინიმუმ სათადარიგოთა სკამზე მაინც იქნებიან.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – გროსკროიტცი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, ნ. შაჰინი – ჰოფმანი, გიუნდოგანი, როისი – ლევანდოვსკი.

**ბაიერნი (4-1-4-1):** შტარკე – ლამი, ბოატენგი, ვან ბუიტენი, ალაბა – ტიაგო – რობენი, თ. მიულერი, კროოსი, შაჩირი – მანჯუკიჩი.

**არბიტრი:** იოხენ დრეესი (მიუნსტერი)

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები



კევინ გამეირო „სანჩეს პისხუანზე"

### გამეირომ სევილიასთან 5-წლიანი გააფორმა

26 წლის **კევინ გამეირო** ოფიციალურად „სევილიას" წევრია, ფრანგმა ფორვარდმა ანდალუსიურ კლუბთან 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. უკვე ვწერდით, რომ „სევილიამ" „მანჩესტერ სიტიში" წასული **ალვარო ნეგრედოს** შემცვლელად „პარი სენ-ჟერმენის" ფორვარდი შეარჩია და მის შესაძენად დაახლოებით 10 მილიონი ევრო გადადო.

„სევილიასთან" გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, გამეიროს მსურველ კლუბს 40 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. ფეხბურთელმა შვედეთში მიატოვა პსჟ-ს საწვრთნელი შეკრება და სევილიაში გამოცხადდა, წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და „სანჩეს პისხუანზე" სპეციალურად მის სანახავად შეკრებილ 3 ათას ფანსაც წარუდგა.

გამეირო „სტრასბურსა" და „ლორიანში" თამაშობდა, 2011 წელს კი „ვალენსიას" „პარი სენ-ჟერმენი" არჩია. პარიზელებმა მასში 11 მილიონი ევრო (+ ბონუსები) გადაიხადეს. ლიგა 1-ის ორ სეზონში მან 59 მატჩში 19 გოლი გაიტანა, მაგრამ პსჟ-ში **ედინსონ კავანის** გამოჩენის შემდეგ ძირითადში მოხვედრის პერსპექტივა ძალზე შეუმცირდა. საფრანგეთის ნაკრების 8 შეხვედრაში კევინ გამეირომ 1 გოლი გაიტანა.

### ბეტისმა როდრიგესს ვილაც მოაყოლა

ახლახან გაუწყეთ, რომ სევილიის „ბეტისმა", რომელიც ევროპალიგაზე ისპარეზებს, ჩილეს „უაჩიპატოდან" ურუგვაელი ფორვარდი **ბრაიან როდრიგესი** შეიძინა. 27 წლის ფორვარდმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და 4-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა. „სევილიას" ახალწვეული 2012 წელს ჩილეს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო. მასში „ბეტისმა" 1 მილიონი ევრო გადაიხადა.

ანდალუსიურმა კლუბმა კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა - „მილანიდან" იჯარით ესპანელი მცველი **დიდაკ ვილა** გადაიყვანა. ერთი სეზონის განმავლობაში დიდაკი „ბეტისში" ითამაშებს.

24 წლის კატალონიელი „ესპანიოლის" აღზრდილია. 2011 წელს ის „მილანმა" შეიძინა, თუმცა გუნდში დამკვიდრება ესპანელმა ვერ შეძლო. შარშანდელი სეზონი მან იჯარით მშობლიურ კლუბში გაატარა.

### კემპბელი ოლიმპიაკოსში წავიდა

„ბეტისში" იჯარით მოთამაშე კოსტარიკელი ფეხბურთელი **ჯოელ კემპბელი** საბერძნეთში გადავიდა - შემტევი ნახევარმცველი კარიერას პირეოსის „ოლიმპიაკოსში" გააგრძელებს. კემპბელმა ბერძნულ გრანდთან საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა.



ჯოელ კემპბელი

შეგახსენებთ, რომ კემპბელი ლონდონის „არსენალს" ეკუთვნის, 2011 წელს მან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა **არსენ ვენგერის** გუნდთან, მაგრამ იჯარით ჯერ „ლორიანში" ითამაშა, შემდეგ „ბეტისში". გასულ სეზონში 21 წლის ფეხბურთელის ხელფასის (900 ათასი ევრო სეზონში) დიდ ნაწილს „არსენალი" იხდიდა, ახალი წინადადებით, ეს თანხა მთლიანად „ბეტისს" უნდა დაეფარა, რაზეც ანდალუსიელებმა უარი განაცხადეს.

### მალაგამ არგენტინელი მცველი დაიმატა

„მალაგამ" 30 წლის არგენტინელი განაპირა მცველი **მარკოს ანგელერი** დაიმატა. სანამ ეს ტრანსფერი შედგებოდა, ანგელერიმ „ესტუდიანტესთან" ხელშეკრულება გააუქმა, ასე რომ, ანდალუსიაში ის თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდა.

„მალაგას" აღარ აფინანსებს შეიხი **ალ ტანი**, ამიტომაც კლუბმა უკვე გაყიდა **ისკო**, **ხოაკინი** და **ჟერემი ტულალანი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ბარსელონა

# ხერარდო მარტინო: მაქვს იდეები

გუშინ „ბარსელონამ" ახალი მთავარი მწვრთნელი **ხერარდო „ტატა" მარტინო** გაიფორმა და პუბლიკას წარუდგინა. როგორც ადრე ვწერდით, კონტრაქტი 2-წლიანია. ის ოფიციალურად გახდა კლუბის ისტორიაში მე-4 არგენტინელი მწვრთნელი.

*- კლუბის ხელმძღვანელობის მადლობელი ვარ ამ ნდობისთვის. „ბარსელონა" უმაღლესი დონის კლუბია და აქ მუშაობა ჩემთვის ძალზე საამაყოა. ვწუხვარ, რომ გუნდში შექმნილი ცუდი მდგომარეობის გამო მომიწვიეს. ტიტო ვილანოვას ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ მომავალში, უპირველესად კი მალე გამოჯანმრთელებას. „ბარსელონას" ფეხბურთელები არ მიცნობენ, რადგან ევროპაში არ მიმუშავია. ამიტომაც კლუბთან ადაპტაციას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მაქვს იდეები, რომლებიც, ჩემი აზრით, გუნდს გააძლიერებს. ნეიმარი და მესი ერთად? არ მგონია, რომ ასეთი დონის ფეხბურთელები ვერ შეთამაშდნენ. ეს პრობლემა არაა. თუ რამე სიძნელეები გაჩნდა, ეს მწვრთნელის ბრალი იქნებოდა და არა ფეხბურთელების.*



ხერარდო მარტინო ოფიციალურად გახდა „ბარსელონას" თავკაცი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

PREMIUM AUTOPARTS

პრემიუმ ავტონაწილები




ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

მის:. ხოშარაულის ქ. 25 ტელ:. 234 09 14 www.autoparts.ge

ძიუდო. მეტოქე

# შედგება შემდეგი ტაიმი?

ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი თვე დარჩა - 26 აგვისტოს იწყება ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში, საფრანგეთის ძიუდოს ფედერაციამ კი უკვე დაასახელა იქ წასაყვანი გუნდები. ვაჟთა ნაკრები ასეა დაკომპლექტებული: **დმიტრი დრაჟინი, დავიდ ლაროსე** (ორივე -66), **უგო ლეგრანი, პიერ დუპარტი** (73), **ალაინ შმიტი, ლოის პიეტრი** (81), **ლუდოვიკ გობერტი** (90), **სირილ მარე** (100), **ტედი რინერი** (+100), ქალთა ტურნირში კი **ლეტიცია პაიეტი** (48), **პრისცილა გნეტო** (52), **ოტავიან პავია** (57), **კლარის აგბენონე, ევრის ემანე** (ორივე - 63), **ლუსი დეკოსი** (70), **ოდრი ჩუმეო, ლუსი ლუეტი** (ორივე - 78) და **ემილი ანდეოლი** (+78) გამოვლენ.

ვინაიდან ჩვენთვის ვაჟთა შეჯიბრება ქალებისაზე ბევრად მნიშვნელოვანია, ამიტომ ყურადღებას ძირითადად მათზე გავამახვილებთ. ცოტა უცნაურია, რომ რიოში „მამლებს“ მონაწილე არ ეყოლებათ 60 კილოგრამში. არადა, იქ ევროპის ჩემპიონი **სოფიენ მილუ** გამოდის, რომელმაც შარშან ოლიმპიადაზე ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა. თუმცა ბოლო ხანებში მილუ ტურნირებზე სულ უფრო იშვიათად ჩანს - წლეულს მხოლოდ ორჯერ იასპარეზა და იმათგანაც ერთი მშობლიური პარიზული „დიდი მუზარადი“ იყო. ალბათ, მისი იგნორირებაც ამ მწირი საშეჯიბრო პრაქტიკითაა გამოწვეული. სამაგიეროდ, მწყობრშია ფრანგთა ვარსკვლავი რინერი, რომელიც ცოტა ხნის წინ თავის მენეჯერ ძმასთან ერთად მათ მიმართ რასიზმის გამოვლენაში ადანაშაულებდა პარიზის „ბუდა ბარს“- ძმები უკმაყოფილონი დარჩნენ პერსონალის მომსახურებით და ტედიმ განაცხადა, ასე ჩვენი კანის ფერის გამო მოგვექცნენ, თორემ თეთრკანიანებს მსგავსი პრობლემა არ შეექმნებოდათო. „კეთილი დათვი“ (როგორც მას ქომაგებმა შეარქვეს მხიარული, უჩვეულოდ კონტაქტური და გულშემატკივრებისადმი გულთბილი დამოკიდებულების გამო, ბრაზილიაში მეექვსედ შეეცდება მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. ვინძლო, რიოში **ადამ ოქრუაშვილის** მიერ შეპირებული „შემდეგი ტაიმიც“ დადგეს, ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ფინალური პაექრობის დასრულების შემდეგ რომ შეპირდა, ანუ ისინი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

**ირაკლი თავაძე**


ადამ ოქრუაშვილი (მარცხნივ) და ტედი რინერი ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ფინალში

ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი



# სალუქვაძის მარცხი

ხორვატულ ოსიეკში გრძელდება ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატი სპორტული პისტოლეტიდან სროლაში. ამ ტურნირში საქართველოდან მხოლოდ ორი სპორტსმენი გამოდის - ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე**, რადგან ამ დისციპლინაში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე სხვები არც ვარჯიშობენ.

სალუქვაძე უკვე ჩაება ტურნირში, თუმცა, სამწუხაროდ, წარუმატებლად ისროლა - ორივე ცდაზე ერთნაირი მაჩვენებელი, 289 ქულა აჩვენა, ჯამში 578 გამოუვიდა, რაც მისთვის არც ისე კარგი შედეგია. ამით ჩვენებური ვერც ნახევარფინალში მოხვდა და ნაადრევად დაასრულა გამოსვლა.

ამ დისტანციაზე 44 წლის შვეიცარიელმა **ჰაიდე გერბერ-დიჩელმიმ** გაიმარჯვა, ვინც მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი - 2011 წელსაც მოიპოვა ეს ტიტული. ვერცხლი გერმანელთა მონღოლ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ **მუნკბაიარ დორჯსურენს** ერგო, ბრინჯაო კი, ბევრისთვის მოულოდნელად, „ნამდვილმა“ გერმანელმა **მონიკა კარშმა**.

ქადაგიძე ჩემპიონატში დღეს ჩაებმება...

**ირაკლი თავაძე**

შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** თბილისში, საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ ადმინისტრაცია ტრადიციულად, ყოველწლიურად, ზაფხულში თბილისში დარჩენილი მოზარდებისთვის ხსნიდა ცურვის შემსწავლელ ჯგუფებს. ეს იყო სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის თანადგომის შესანიშნავი შესაძლებლობა. გვაინტერესებს წლეულს იგეგმება თუ არა „ლაგუნა-ვერეზე“ ასეთი ღონისძიება?

*მშობლები: ლალი მძელური, დარეჯან ებანოიძე*
*თბილისი*

**პასუხი:** თქვენი შეკითხვა დაუხანებლად გავაცანით „ლაგუნა-ვერეს“ აღმასრულებელ დირექტორ **ვლადიმერ გოიაშვილს**. აი, რა თქვა მან:

— ტრადიციას არ ვღალატობთ, 4-14 წლის მოზარდებისთვის „ლაგუნა-ვერეზე“ წლეულსაც გავხსნით ცურვის შემსწავლელ ჯგუფებს. გამოცდილებით ვიცით, რომ ეს დიდი სიკეთეა. ბოლოს და ბოლოს ადამიანს მეორე სიცოცხლეს ვჩუქნით. ხომ ცნობილია, რომ ცურვის უცოდინარობით ყოველწლიურად უამრავი ადამიანი იღუპება მთელ მსოფლიოში. წინა წლებში დედაქალაქის ხელმძღვანელი თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები გვედგნენ მხარში და ბავშვების მომსახურების საფასურში სანახევროდ გვეხიდებოდნენ. წლეულს ამის სურვილი არავინ გამოთქვა. მიუხედავად ამისა, ტრადიციას გავაგრძელებთ და იმ ნახევარ საფასურსაც ჩვენი კომპლექსი აიღებს თავის თავზე. ასე რომ, მობრძანდით, ჯგუფების შედგენა უკვე დაიწყო.

ჩოგბურთი

# დებს ვერ გასცდა

ბაქოს საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) წყვილთა პაექრობაში **ანა ტატიშვილმა** ნახევარფინალს ვერ უწია — სერბ ვესნა დოლონწთან ერთად ჩეხ დებთან — კაროლინა და კრისტინა პლისკოვებთან სამ სეტში დამარცხდა — 3:6, 6:3, 7:10. ჩეხები დღეს თბილისელ **ოქსანა კალაშნიკოვასა** და უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან გაარკვევენ ურთიერთობას. მეორე ნახევარფინალში ელენი დანილიდუს (საბერძნეთი) და ალექსანდრა კრუნიჩის (სერბეთი) დუეტმა სანდრა კლემენშიტსა (ავსტრია) და ანდრეა კლეპაჩს (სლოვენია) აჯობა — 6:4, 6:3.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# მხოლოდ ერთი ოთხოსანი


ბელა ხოტენაშვილი

საქართველოს 15 წარმომადგენელი მონაწილეობს ბელგრადში ევროპის მოჭადრაკე ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატში. როგორც გაუწყეთ, სამი ტურის შემდეგ 4 დიდოსტატი მეწინავეობდა უდანაკარგოდ, მათ შორის — ორი ჩვენებური. **სალომე მელია** შავი ფიგურებით ინა გაპონენკოს (უკრაინა) დაუზავდა. სამწუხაროდ, **ბელა ხოტენაშვილმა** ალექსანდრა გორიაჩკინასთან (რუსეთი) წააგო. ორგზის ევროპის ჩემპიონმა კატერინა ლაგნომ **ნინო ბაციაშვილი** დაამარცხა, ეკატერინა კოვალევსკაიამ (რუსეთი) ტატიანა კოსინცევას (რუსეთი) აჯობა. **ნინო ხურციძემ** შავი ფიგურებით ზოია შლეინინგს (გერმანია) გააჩერებინა საათი. დანარჩენ ჩვენებურთა შეხვედრები ასე დამთავრდა: **სოფიკო გურამიშვილი** — ალინა კაშლინსკაია (რუსეთი) 0.5:0.5, **მაია ლომინეიშვილი** — ანა მათნაძე (ესპანეთი) 1:0, ვიქტორია ტარასოვა (რუსეთი) — **ნანა ძაგნიძე** 0:1, **ლელა ჯავახიშვილი** — ლიზა შუტი (ჰოლანდია) 1:0, მიხაელა სანდუ (რუმინეთი) — **მაკა ფურცელაძე** 0:1, **სოფიო გვეტაძე** — ანა ჰაირაპეტიანი (სომხეთი) 1:0, **მერი არაბიძე** — დაივა ბატიტე (ლიტვა) 1:0, **მადონა ბოკუჩავა** — **მირანდა მიქაძე** 0,5:0,5, **ანა გავაშელი** — ადელა ველიკიჩი (სერბეთი) 1:0, ოლენა მარტინკოვა (უკრაინა) — **სოფიო ნიკოლაძე** 0:1.

ჩვენებურთა მონაგარი 4 ტურის შემდეგ: მელია, ხურციძე, ლომინეიშვილი - 3.5-3.5, ფურცელაძე, ხოტენაშვილი, გურამიშვილი, ჯავახიშვილი, ძაგნიძე - 3-3, გვეტაძე, არაბიძე, ბაციაშვილი - 2.5-2.5, ნიკოლაძე, ბოკუჩავა, გავაშელი, მიქაძე - 2-2 ქულა. ჩემპიონატის გათამაშების ცხრილს უდანაკარგოდ და ერთპიროვნულად გორიაჩკინა ჩაუდგა სათავეში. 10-მა მოჭადრაკემ 3.5-3.5 ქულას მოუყარა თავი. დღეს მე-5 ტურში ისინი ასე დაწყვილდნენ: ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა)-ალექსანდრა გორიაჩკინა, სალომე მელია-კატერინა ლაგნო, დეიმანტე დაულიტე (ლიტვა)-ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ნინო ხურციძე-ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი), ისაბელა-კორინა პეპტანი (რუმინეთი)-ინა გაპონენკო (უკრაინა).

გაუწყებთ მე-5 ტურში სხვა ჩვენებურთა მეტოქეების ვინაობას: ბელა ხოტენაშვილი-მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე-სოფიკო გურამიშვილი, მაკა ფურცელაძე-პია კრამლინგი (შვედეთი), დარია ჩაროჩკინა (რუსეთი)-ლელა ჯავახიშვილი, მერი არაბიძე-ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), ნინო ბაციაშვილი-ბორკა ფრანცისკოვიჩი (ხორვატია), ტერეზა ოსლაროვა (ჩეხეთი)-სოფიო გვეტაძე, ლილით გალოიანი (სომხეთი)-ანა გავაშელი, მირანდა მიქაძე-ბელინდა ვეგა (ესპანეთი), კარმენ ვოიცუ (რუმინეთი)-მადონა ბოკუჩავა, სოფიო ნიკოლაძე-მარია რაკიჩი (სერბეთი).

**ვაჟა დანელია**

ცურვა

# თვაური სტოუნს გაეჯიბრა

ამერიკელი **ელიზაბეტ სტოუნი** მარჯვენა ფეხის ქვედა ნაწილის გარეშე დაიბადა. ამის მიუხედავად, ბედს არასდროს დანებებია: ყოველდღიური აქტიურობით, ცურვაში ვარჯიშითა და შეჯიბრებებში მონაწილეობით საკუთარ თავსაც და სხვებსაც დაუმტკიცა, რომ ცხოვრება საამურია. 2008 წელს ელიზაბეტმა პეკინის პარალიმპიურ თამაშებში 100 მეტრი გულაღმა ცურვით წუთსა და 12 წამში დაფარა და ვერცხლის ჯილდო მოიპოვა. ოთხი წლის შემდეგ ლონდონში მსგავს სპორტულ ფორუმზე ოდნავ უარესი შედეგი აჩვენა, თუმცა უმედლოდ მაინც არ დარჩენილა - ბრინჯაოს გამოჰკრა ხელი. ბრიტანეთის დედაქალაქშივე პარალიმპიურ თამაშებში პირველად მოსინჯა ძალები თბილისელმა **ნიკა თვაურმა**, რომელმაც ჭაბუკობისას უბედური შემთხვევის გამო დაკარგა ორივე თვალის ჩინი და მარჯვენა ხელის მტევნის უმეტესი ნაწილი. მართალია, ლონდონში ნიკა კვარცხლბეკზე ვერ ავიდა, მაგრამ საკუთარი შედეგი საგრძნობლად გააუმჯობესა.

და აი, ახლახან თვაური და საქართველოში სტუმრად მყოფი სტოუნი სასპორტო კომპლექს "არენის" აუზში ერთმანეთს გაეჯიბრნენ. პაექრობამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

**ვაჟა დანელია**

ფოტომატიანე

შვიდკაცა ხელბურთში საბჭოთა კავშირის I ჩემპიონატი გაიმართა 1962 წელს, რომელიც თბილისელთა გამარჯვებით დასრულდა. გუნდის უფროსი მწვრთნელი **გიორგი შარაშიძე** იყო. ორი წლის შემდეგ თბილისის „ბურევესტნიკმა“ კვლავ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი, 1963, 1965, 1966 წლებში კი პრიზიორი იყო.

„ლელოს“ ფოტოარქივში შემონახული ეს სურათი გადაღებულია 1964 წელს.

მარცხნიდან: პირველ რიგში — **თამაზ ანთაძე, ჯემალ აბაიშვილი, იმედო ფხაკაძე, ალექსანდრე ხუციშვილი, ლერი კარტოზია**; მეორე რიგში — **ჯანო ბაგრატიონი, ანზორ ექსეულიძე, ჯემალ ცერცვაძე, გიორგი შარაშიძე, ბორის კოპალეიშვილი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ჯემალ ზაქარიაძე.**



● ეროვნული ნაკრები. ინტერვიუ

# მეტი, ვიდრე შეგვიძლია

*საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა შინ ორკვირიანი ფიზიკური მომზადების შემდეგ 2013 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის საწვრთნელი შეკრების გასავლელად სლოვენიას მიაშურა. წლევანდელ კონტინენტის პირველობას სწორედ ეს ქვეყანა უმასპინძლებს. გამგზავრების წინ ეროვნული გუნდის წევრებს - ვიქტორ სანიკიძეს (ფორვარდი) და ნიკოლოზ ცქიტიშვილს (ფორვარდი, ცენტრი) ვესაუბრეთ:*



ვიქტორ სანიკიძე

**სანიკიძე:** საკმაოდ ნაყოფიერი ვარჯიშები გამოგვივიდა, ბიჭები კარგად გრძნობენ თავს. სლოვენიაში მთავარი მწვრთნელის - იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით უფრო ბურთით ვარჯიშსა და ტაქტიკური მონახაზის დამუშავებას მივაქცევთ მეტ ყურადღებას. ამ მხრივ მწვრთნელებს, მართლაც, ძნელი სამუშაო ელით, რადგან გუნდის კაპიტნის - ზაზა ფაჩულიას ავადმყოფობამ ბევრი რამ არია. მით უმეტეს, თუ შენგელიასაც ექნება ოპერაცია გასაკეთებელი.

**— ნატურალიზებულ კალათბურთელებზე რას იტყვი?**

— ისინი მთავარ მწვრთნელთან ერთად სლოვენიაში შემოგვიერთდებიან. რიკი ჰიკმანი შარშან იტალიის ჩემპიონატში გამოდიოდა და მის წინააღმდეგ მითამაშია კიდეც. ერთხანს ისრაელის „მაქაბიში" ჩვენი გიორგი შერმადინის თანაგუნდელიც იყო. ასე რომ, ვიცნობთ მის ხელწერას. წლეულს ევროლიგაზეც გამოიჩინა თავი. ვფიქრობ, ჩვენს გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანს. რაც შეეხება ლიუკ ზელერს, ის ნბა-ს მოთამაშეა, „ფინიქსის" შემადგენლობაში გამოდის და კოკოშკოვი მას კარგად იცნობს.

**— გულშემატკივრებსა და სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით.**

— ევრობასკეტის ფინალურ ეტაპზე სუსტი გუნდები არ არსებობს — ყველას თავისი ამბიციები აქვს, მთავარია, როგორ შეძლებენ მის რეალიზებას. ჩვენს ჯგუფში გამოკვეთილი ფავორიტია ესპანეთი. ხორვატიაც ძლიერია. არც სლოვენიაა ხელწამოსაკრავი, თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შინ თამაშობს და მსაჯების სიმპათია ყოველთვის იქნება მასპინძლების მხარეს. ამის მიუხედავად, მასთანაც შეიძლება ბრძოლა. უფრო მეტი შანსები გვაქვს ჩეხეთსა და პოლონეთთან, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ისინიც ასე ფიქრობენ ჩვენზე. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად სამი მოგება გვჭირდება, რაც იოლი არ იქნება, თუკი დანაკლისს გავითვალისწინებთ. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ მიზანს მივაღწიოთ. ვეცდებით, მეტი გავაკეთოთ, ვიდრე შეგვიძლია.

**— პირად კარიერაზე რას გვეტყვი?**

— იცით, რომ ერთი წელიწადია, სიენას „მონტეპასკის" წევრი ვარ. მის შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონობა და თასი მოვიპოვე. ევროლიგაზე 16 საუკეთესოში მოვხვდით. აშკარად, უკეთეს ადგილს ვიმსახურებდით.

**— გუნდში სათამაშო დროით მაინცდამაინც განებივრებული არ ყოფილხარ...**

— გეთანხმებით. დარწმუნებული ვარ, რომ გუნდისთვის მეტი სარგებლობის მოტანა შემეძლო, მაგრამ მთავარი მწვრთნელისგან, რატომღაც, უნდობლობას ვგრძნობდი. საუკეთესო მატჩების შემდეგაც დიდი ჯაფის ფასად მიწევდა მწვრთნელის დარწმუნება, რომ მეტი სათამაშო დროის ღირსი ვიყავი. დღემდე ვერ მივმხვდარვარ მის ჯიუტობას.

**— ალბათ, ახალი სეზონიდან პრობლემები აღარ უნდა გქონდეს.**

— ხელშეკრულებით, „მონტეპასკისთან" კიდევ ერთი წელი მაკავშირებს. მთავარი მწვრთნელი ლუკა ბანკი „მილანში" მიიწვიეს: ამ გუნდს სამომავლოდ სერიოზული ამბიციები აქვს — ჩემპიონობაზე ოცნებობს, ბიუჯეტიც ხელს აძლევს.

**— სხვა გუნდში გადასვლაზე თავადაც ხომ არ გიფიქრია?**

— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დავბრუნდები იტალიაში. ახალი მთავარი მწვრთნელი გვეყოლება — ბანკის ასისტენტი მარკო კრესპი. მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. თუ ისიც ძველის გზას დაადგება, მაშინ მართლაც მომიწევს სხვა გუნდზე ფიქრი.

**— ნიკა, კალათბურთის ქომაგებს ახსოვთ, რომ ნაკრების მწვრთნელებთან პრობლემები გქონდათ. დღეს რა ვითარებაა?**

**ცქიტიშვილი:** — მიმაჩნია, რომ ყველა მოთამაშე ამბიციური უნდა იყოს, ცხადია, კარგი გაგებით. მე ყოველთვის მქონდა იმის პრეტენზია, რომ მეტი გამეკეთებინა ნაკრებისთვის, ვიდრე ვაკეთებდი. რატომღაც მეგონა, რომ ამის შანსს არ მაძლევდნენ. რა თქმა უნდა, ეს ჩემი პირადი პრობლემა იყო, თორემ მწვრთნელმა ყოველთვის იცის, ვინ სად და რამდენ ხანს ათამაშოს. თუმცა ამბიციურობისთვისაც ნურავის დავძრახავთ.

დღეს ყველა გაუგებრობა ჩავლილია. მე და ბატონ იგორ კოკოშკოვს როგორც ვარჯიშებზე, ისე მოედანს მიღმა ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ახლა, როცა ზაზა ფაჩულიას და, შესაძლოა, თორნიკე შენგელიას ტრავმითაც ნაკრებს პრობლემები შეექმნა, თითოეულმა ჩვენგანმა, როგორც ვიქტორმა თქვა, გაორკეცებული ენერგია და მონდომება უნდა გამოიჩინოს. ვფიქრობ, მწვრთნელები მეტ ნდობას გამომიცხადებენ და ამ ახალი გამოწვევისთვის მზად ვარ. ლიბანში რაც სეზონი დავამთავრე, ფაქტობრივად, არ დამისვენია, მონდომებით ვემზადები, რომ ნაკრების მესვეურთა ნდობა გავამართლო. ვფიქრობ, კარიერის განმავლობაში ასეთ სპორტულ ფორმაში არასდროს ვყოფილვარ — პიკზე ვარ.

**— გამოდის, რომ კარგი სეზონი გქონდა, მაგრამ ლიბანის ეროვნული ჩემპიონატი რომ ვერ ჩაამთავრეთ...**

— ცუდია, როცა სპორტში პოლიტიკა ერევა. „ჩემპვილი", სადაც მე ვთამაშობ, ოპოზიციის წარმომადგენელთა გუნდია. ნახევარფინალში ვხვდებოდით კლუბს, რომლის მფლობელიცაა ლიბანის პრეზიდენტი. შეხვედრას ვიგებდით და ფინალში უნდა გავსულიყავით, მაგრამ საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე მოედანზე წინასწარ ჩაფიქრებული ჩხუბი ატყდა. მატჩი და, შესაბამისად, ჩემპიონატიც ჩაიშალა, რის გამოც ფიბამ ამ ქვეყნის ნაკრები ოთხი წლით მოკვეთა. კიდევ კარგი, რომ დისკვალიფიკაცია საკლუბო ჩემპიონატს არ შეეხო.

**— ირანში უკეთ გრძნობდით თავს, თუ ახლა — ლიბანში?**

— ბეირუთი ლამაზი ქალაქია, შეიძლება ითქვას — მინი ამერიკა. ქალაქის ცენტრში პრესტიჟული ენაა ფრანგული, მერე — ინგლისური, არაბულს მხოლოდ გარეუბნებში თუ გაიგონებ. რაც შეეხება გულშემატკივრებს, ლიბანელები ირანელებს ვერ შეედრებიან. განვითარების დონით, თეირანი, მართალია ბეირუთს ჩამორჩება, მაგრამ ირანის დედაქალაქში ხალხია სასწაული — უფრო მეგობრული, ყურადღებიანი, მოსიყვარულე. განსაკუთრებით ფერეიდნელმა ქართველებმა გამაოცეს. თითქმის ყოველდღე მირეკავდნენ, სადღაც მეპატიჟებოდნენ, შინაც არაერთხელ მეწვივნენ, წინაპრების ისტორიებს მიყვებოდნენ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისას ქართული შეძახილებით მამხნევებდნენ. ასე რომ, ჯერჯერობით ირანული კარიერით უფრო კმაყოფილი ვარ.

**— ბეირუთში მომხდარი ინციდენტის შემდეგ ისევ აპირებ ლიბანში დაბრუნებას?**

— როგორც გითხარით, ეროვნულ ლიგას დისკვალიფიკაცია არ ემუქრება, თუმცა ნაკრების საერთაშორისო სარბიელიდან მოკვეთა, ლიგას დაასუსტებს. ლიბანში ჩემპიონატი ოქტომბერში დაიწყება. მანამდე, ალბათ, ყველაფერი დალაგდება. ჯერჯერობით სხვაგან გადასვლაზე არც მიფიქრია, ახლა მხოლოდ ეროვნული ნაკრებისა და მომავალი ევრობასკეტისკენაა ჩემი ყურადღება მიპყრობილი. ვეცდები ბოლომდე დავიხარჯო, რომ ნაკრებს მაქსიმალურად მოვუტანო სარგებელი.



ნიკოლოზ ცქიტიშვილი

**— ჯგუფური ეტაპის მატჩებზე რას ფიქრობ?**

— ვიქტორის ნათქვამს გავიმეორებ — ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სუსტი გუნდები არ არიან. ჩვენს ჯგუფში ფავორიტია ესპანეთი, იმის მიუხედავად, რომ, როგორც შევიტყვე, გასოლები არ აპირებენ ევრობასკეტზე გამოსვლას. პირენელეებს დიდი რეზერვი ჰყავთ. გვაქვს ინფორმაცია, რომ ნბა-ს ერთ-ერთი გამორჩეული გამთამაშებელი ხოსე კალდერონი და, ასევე, შესანიშნავი კალათბურთელი ერაზმ ლორბეკი მასპინძელთა შემადგენლობაში თამაშზე უარს ამბობენ. მიზეზი უცნობია, თუმცა, მათ გარეშეც სლოვენიელები, როგორც მასპინძლები, ფავორიტთა შორის იქნებიან. ყოველივეს მიუხედავად, მათთან, ისევე როგორც ჩეხებთან და პოლონელებთან, ბრძოლა შეიძლება. ყველაფერი უნდა გავიღოთ საიმისოდ, რომ მეორე ეტაპზე გავიდეთ.

● პრესკონფერენცია



მარცხნიდან კოსტა ილიევი, ვახტანგ ნაცვლიშვილი და ალექსანდრ ზესევიჩი

# 3X3-ზე პროფესიონალებისთვის

ბოლო დროს მთელ მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება კალათბურთი 3X3-ზე. შეჯიბრებებში მონაწილეობენ როგორც პროფესიონალები, ისე მოყვარულები. გუნდის შემადგენლობაშია 4 კალათბურთელი — სამი ძირითადი და ერთი სათადარიგო. ცალ ფარზე თამაში სუფთა 10 წუთს გრძელდება. თუ რომელიმე გუნდი ვადამდე 21 ქულას მოაგროვებს, ის იმარჯვებს და მატჩი წყდება. შეტევის დასაგვირგვინებლად გუნდს მხოლოდ 12 წამი ეძლევა, რაც პაექრობას დინამიკურსა და მიმზიდველს ხდის.

სწორედ ამის შესახებ იყო ლაპარაკი გუშინ „დინამოს" ბაზაზე თბილისის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვახტანგ ნაცვლიშვილმა** ჟურნალისტებსა და კალათბურთელებს წარუდგინა ფიბას ბულგარელი სპორტული დირექტორი **კოსტა ილიევი**. საპატიო სტუმარმა დამსწრეთ გააცნო 3X3-ზე კალათბურთის ძირითადი წესები ვიდეომასალის დახმარებით. ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან დღეს ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე სწორედ სპორტის ამ ახალ სახეობაში გაიმართება შეჯიბრება, რომელშიც 16 გუნდი იასპარეზებს. ისინი ოთხ ჯგუფში არიან განთესილი და ორ-ორი საუკეთესო ხვალ პლეიოფში იმ ერთადერთი საგზურისთვის იბრძოლებს, რომელიც გამარჯვებულს კიევში გამგზავრებისა და 4-5 აგვისტოს აღმოსავლეთ ევროპის 12 სახელმწიფოს 15 საუკეთესო გუნდთან გაპაექრების საშუალებას მისცემს. უკრაინის ტურის პირველადგილოსანი 24-25 აგვისტოს პრაღაში სრულიად ევროპის საუკეთესო წარმომადგენლებს გაეჯიბრება. მსოფლიო ტურის ფინალური ეტაპი 4-5 სექტემბერს სტამბოლში გაიმართება.

„სამი წელიწადია, ვაკვირდები 3X3-ზე კალათბურთელთა შეჯიბრებას. მან საკმაოდ მოიკიდა ფეხი ევროპაში. მის განვითარებას ხელს უწყობს ფიბა და არ შეიძლებოდა, საერთო ფერხულს ჩამოვრჩენოდით, — გვითხრა ვახტანგ ნაცვლიშვილმა. — თანამოაზრეებთან ერთად გადავწყვიტე, ამ სახეობისთვის ჩვენთანაც ჩაგვეყარა საფუძველი. დიდი დახმარება გამიწია ფიბას სპორტულმა დირექტორმა კოსტა ივლიევმა, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. იდეის განხორციელებაში გვერდით დაგვიდგა თბილისის მერია — შეგვიძინა პოლიეთილენის სპეციალური მოედანი და 3-3-ზე პირველი ტურნირისთვის საპრიზო ფონდად 10.000 ლარი გამოგვიყო. ვეცდებით, შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩავატაროთ. მის სწორად წარმართვაში დაგვეხმარებიან ბატონი ილიევი და ჩემი ყოფილი თანაგუნდელი სერბი ალექსანდრ ზესევიჩი, რომელიც ორი წლის წინათ თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდის ღირსებასაც იცავდა. დღეს და ხვალ პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ღირსეული ჩემპიონი კიევში გაემგზავრება და, იმედია, იქაც გვასახელებს".

ავტორის ფოტო

● U18

# ბოლო მატჩი ხვალ შოტლანდიასთან

**მაკედონიურ შტრუმიცეში ხვალ დამთავრდება 18-წლამდელ კალათბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობა B დივიზიონში.**



შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა მიხეილ ბერუაშვილის ხელმძღვანელობით ექვსი მატჩი დათმო და 28 ივლისს 21-ე ადგილისთვის შოტლანდიას დაუპირისპირდება.

ჯგუფური ტურნირის შემდეგ რვა საუკეთესო ნაკრებმა A დივიზიონის სამი საგზურისთვის პაექრობა განაგრძო. მეორე რაუნდის შედეგებით ნახევარფინალში ოთხი გუნდი გავიდა. დღეს ერთმანეთთან გაარკვევენ ურთიერთობას პოლონეთი — ბელგია და ჩერნოგორია — მაკედონია. გამარჯვებულები ელიტის საგზურებს დაიბევებენ, თუმცა ხვალ ფინალში B დივიზიონის ჩემპიონის გამოსავლენად იასპარეზებენ. რაც შეეხებათ ნახევარფინალში დამარცხებულებს, ხვალ მათ შორის უძლიერესიც A დივიზიონში ალზევდება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელიამ

## მილოცვა

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია 80 წლის იუბილეს ულოცავს ვეტერან ქართველ კალათბურთელს, სპორტის ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ილია მირიანაშვილს**.

სტუმარი
თამაზ იმნაიშვილი

# მესტენდურის ვნებანი



## დოსიე
## თამაზ იმნაიშვილი

**დაიბადა 28.07.1954, თბილისი. სასტენდო სროლა (მრგვალი სტენდი). მსოფლიოს ჩემპიონი პირად პირველობაში (1981), მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე (1993) და ორგზის მესამე პრიზიორი (1979, 90) პირად პირველობაში, მრავალგზის პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში ევროპის შვიდგზის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში (1977, 78, 80, 81, 84, 85, 87), სამგზის მეორე (1982, 84, 85) და მესამე პრიზიორი (1985) პირად ასპარეზობაში, ევროპის თასის მფლობელი პირად პირველობაში (1987), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონი პირად ჩათვლაში (1975), სსრკ მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი პირად და გუნდურ პირველობაში. მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდსმენი (1996, 125 ქ-125-იდან). სამი ოლიმპიადის მონაწილე: XXII და XXVI ოლიმპიურ თამაშებში (1980, მოსკოვი და 1999, ატლანტა) აჩვენა IX შედეგი, XXIV ოლიმპიური თამაშების (1988, სეული) წინასწარ შეჯიბრებაში მოაგროვა 146 ქულა (150-იდან) და სსრკ ნაკრების კიდევ სამ წევრთან ერთად 24 ფინალისტს შორის მოხვდა. ტურნირის ორგანიზატორებმა სსრკ ნაკრების ხელმძღვანელობას ოთხიდან ერთი ფინალისტის მოხსნა დაავალეს, მწვრთნელებმა კი არჩევანი ქართველ სპორტსმენზე შეაჩერეს და იგი ფინალს მიღმა დატოვეს. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი (1994-2004), საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1992-იდან). ღირსების ორდენის კავალერი.**

სასტენდო სროლის დღევანდელი სავალალო ვითარების შემხედვარე, ძნელად თუ იფიქრებთ სპორტის ამ სახეობის ეგზომ მდიდარ ისტორიაზე. არადა, ბევრს შეშურდება, ისეთი შედეგები გვაქვს - ევროპისა თუ მსოფლიოს პირველობების ოქროს მედლები, მსოფლიოს თასები, ოლიმპიური მედლები თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტროფეები... ოლიმპიური ჩემპიონობის გარდა, არ არსებობს ტიტული, რომელიც არ მოგვეპოვებინოს, თუმცა არც ეს იყო შორს. ქართველთაგან მისი მოპოვების ყველაზე რეალური შანსი ჩვენი გაზეთის დღევანდელ სტუმარს ჰქონდა, რომელსაც ზემოხსენებულ მიღწევებშიც დიდი წვლილი მიუძღვის. სპორტის ამ სახეობაში ჩვენი ბოლო წარმატებაც **თამაზ იმნაიშვილის** სახელს უკავშირდება. კარიერის ყველაზე დიდ წარმატებებს მრგვალ სტენდზე სროლაში კი მიაღწია, მაგრამ სპორტის ეს სახეობა სულაც არ ყოფილა მისი ერთადერთი გატაცება - იყო ტყვიის სროლა, წყალბურთიც კი, მაგრამ საბოლოოდ გულმა მაინც ღია სივრცისკენ გაუწია, რომელიც ნადირობასთანაც ასოცირდება და თან მოულოდნელობის ეფექტის გამო (არ იცი, თეფში საიდან, როდის გამოფრინდება და მზად უნდა იყოს ამისთვის) განსხვავდება სტატისტიკური სახეობებისგან. ამ გზაზე მისი მეგზური უფროსი ძმა თენგიზი იყო, რომელიც თავად დადიოდა წყალბურთზეც და სასტენდო სროლაზეც. მსოფლიოს მომავალი ჩემპიონიც მან მიიყვანა სპორტის ამ სახეობებში.

ასეთი წარმატებების მიუხედავად, რაც ყოველთვის სასიამოვნოდ აგონდება, იმნაიშვილის კარიერაში გულდასაწყვეტი მომენტიც ბევრი იყო. ზოგი იმდენად ცუდი, რომ მსგავსი ათასში ერთს თუ გადახდება. ამ ყველაფერზე თამაზ იმნაიშვილი თავად გვესაუბრება.

### მწვერვალები და ფათერაკები

ჩემი სპორტული კარიერა 1969 წელს დაიწყო და 1991 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე ის ქვეყანა არ დაიშალა. ვარჯიში მიხეილ კუროჩკინთან დავიწყე, რომელიც თბილისში დაბადებულ-გაზრდილი კაცი იყო, იმხანად უკვე ასაკოვანი, მაგრამ ბავშვთა ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი. მას პირველი დღიდანვე, პირველი გასროლებიდანვე მოვეწონე და დამიტოვა სავარჯიშოდ.

ჩემი კარიერის გამორჩეული შედეგი და მწვერვალი მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალია პირად პირველობაში. საერთოდ, მსოფლიოზე პირადში 4 ჯილდო მოვიპოვე, რაც საქართველოში საუკეთესო შედეგია. დღესაც კი, როცა ამდენი ხნის წასული ვარ სპორტიდან, საერთაშორისო რეიტინგში მედლების რაოდენობით მრგვალ სტენდში მეცხრე ადგილზე ვარ.

ჩემი ოლიმპიური კურიოზები განუმეორებელია, ანალოგი არა აქვს სასტენდო სროლაში. პირველი თამაშები მოსკოვის ოლიმპიადა იყო 1980 წელს. მაშინ სამი დღე ვისროდით და პირველი ორის შემდეგ, როცა შვიდი სერია მოვამთავრეთ, ლიდერი ვიყავი. გვრჩებოდა ბოლო, მერვე სერია და უკვე გავდივარ მიტიშჩის სასროლეთზე, როცა მომიახლოვდა სროლის სახეობების კურატორი, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი ჩემსავე სახეობაში პეტროვი და მითხრა, თამაზ, დიდხანს ემზადები გასროლისთვის და ცოტა დააჩქარე, იაპონელები წამზომით დაგდევენ უკან და დროს გითვლიანო... ასეთ რამეს სტარტის წინ არავინ ეუბნება მსროლელს და როგორც მერე მივხვდი, შეგნებულად გააკეთა ეს ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის. არასოდეს მსაჯისგან შენიშვნაც არ მიმიღია, მან კი ამ სიტყვებით მომშალა და მწყობრიდან ამომაგდო - კონცენტრაციაზე ფიქრის ნაცვლად უკან ვიხედებოდი და წამზომით ჩასაფრებულ იაპონელებს ვეძებდი, თუმცა, ცხადია, ასეთი არავინ შემინიშნავს. საბოლოოდ ლიდერმა ერთი ქულა წავაგე, თუმცა ამ ერთ ქულაში ჩემ წინ 8 ადგილი ჩაეტია და მეცხრეზე გავედი, უმედლოდ დავრჩი. პეტროვს არ უნდოდა, მის შემდეგ ვინმე კიდევ გამხდარიყო ოლიმპიური ჩემპიონი და საბჭოთა კავშირი ისე დასრულდა, მართლაც არავინ გამხდარა. თუმცა მაშინ ამას არავინ მიჯერებდა და მეუბნებოდნენ, გეჩვენებაო. მერე ყველა დარწმუნდა. ლიდერს, რომელიც კარგად ისვრის, არავინ აძლევს შენიშვნებს. ცუდად რომ გამოდიოდეს, აი, მაშინაა დასაშვები რჩევები და მითითებები, თორემ წარმატებისას?

1984 წელს ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე საყოველთაოდ ცნობილი მიზეზის გამო არ წავსულვართ, 1988 წელს სეულში კი გაუგონარ პრეცედენტს ვემსხვერპლე - არც მაშინ და არც მერე არ მომხდარა, რომ კაცი, რომელიც თავისი შედეგით იმსახურებდა ფინალში გასროლას, ასპარეზობიდან მოეხსნათ. ასეთი რამე შეიძლება მოხდეს მხოლოდ დოპინგის გამოყენების ან სხვა არასპორტული საქციელისთვის... მაშინაც სამი დღე ვისროდით და მე ორი დღის შემდეგ 24 ფინალისტს შორის გავედი. ოქმებიც დაიბეჭდა, ღამე მშვიდად დავიძინე სასტუმროში ისე, რომ შიში არაფრის მქონია, დილით კი მივედი სასროლეთზე, სადაც მეუბნებიან, რომ არ უნდა ვისროლო! მაშინ საექსპერიმენტოდ მონაწილეებს დაუმატეს 6 ქალი სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ შორის საბჭოელი მსოფლიოს ჩემპიონი სვეტლანა დიომინაც, რომელიც ჩვენი ნაკრების სამივე წევრთან ერთად მოხვდა იმ 24-ში. თან დებულება არ ითვალისწინებდა, რა მოხდებოდა მათი ფინალში გასვლის შემთხვევაში ანუ 24 ისროდა თუ 25. არადა, დიომინასთან ერთად იქ ჩინელიც მოხვდა ფინალში. აი, სწორედ ამაზე ატეხეს თურმე რიგმა ქვეყნებმა ერთი ამბავი, საბჭოთა კავშირს მეოთხე მონაწილე რატომ უნდა ჰყავდეს ფინალშიო. საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებმა რატომღაც მე მომხსნეს ტურნირიდან და დიომინა დაუშვეს.

ბარსელონას თამაშები ჩემთვის მესამე უნდა ყოფილიყო. იმ ოლიმპიური ციკლის პირველი ლიცენზია მე მოვუტანე საბჭოთა კავშირს - ჰოლანდიაში მსოფლიოს თასი მოვიგე. თუმცა ამასობაში ქვეყანაც დაიშალა და გემახსოვრებათ მაშინდელი მუქარები, მამლუქებისა და მოღალატეების ტიტულებით რომ აშინებდნენ, ვინც იმათი სახელით გამოსვლის სურვილს გამოთქვამდა. ამ ზეწოლის გამო უარი ვთქვი იმ ლიცენზიაზე, თუმცა მოსკოვიდან ხშირად მირეკავდნენ და ჩასვლას მთხოვდნენ, მაგრამ არ მინდოდა, მოღალატე ეწოდებინათ. საბოლოოდ ის საგზური რუსეთმა წაიღო, როგორც საბჭოეთის სამართალმემკვიდრემ. მოგვიანებით თამაშებში გაერთიანებული გუნდით გამოსვლა კი გადაწყდა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო და ასე დავრჩი იმ თამაშების გარეშე. 1996 წელს ატლანტაში კი გამოვედი, მაგრამ მოუმზადებელი ვიყავი - იმ დროს უკვე ქვეყანაში ძალიან გვიჭირდა და შემთხვევიდან შემთხვევამდე დავდიოდით ტურნირებზე.

ოლიმპიურ ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს მოსკოვში ვიყავი. ის ამბავი იმხელა სტრესი იყო, კინაღამ თავი ჩამოვიხრჩვე, ზურაბ მაჩხანელი სულ უკან დამსდევდა. შეჯიბრებაზე პეტროვი მაჩხანელსაც კი არ უშვებდა ჩემთან, სერიებს შორის პაუზებისას ტრიბუნიდან მამხნევებდა ხოლმე.

### სამდღიანი პატიმრობა უსაფუძვლო ბრალდებით

ეს ამბავიც 90-იანების დასაწყისში მოხდა, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას. მაშინ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ კიტოვანი იყო, მე - ვიცე-პრეზიდენტი.

ერთხელაც ღამის 12 საათზე შინ მომადგა სამი პოლიციელი, რომლებმაც პირადობები წარმომიდგინეს და მითხრეს, რომ ნებით გამომეტანა ყველა იარაღი, რაც კი სახლში მქონდა. ასეც მოვიქეცი, ჩაალაგეს იარაღები და ჩემს ფეხმძიმე ცოლსეუბნებიან, ამას ცოტა ხნით წავიყვანთ და მალევე დავაბრუნებთო. მიზეზს არ გვეუბნებიან. წამიყვანეს პოლიციის სამმართველოში, შემიყვანეს ჩემი ნაცნობის - თემურ მურღულიას კაბინეტში. მთელი სამი დღე გავატარე იქ, კაბინეტის მეორე ოთახში, სადაც მეძინა და იმავეს მაჭმევდნენ, რასაც თვითონ მიირთმევდნენ, ოღონდ კვლავაც არ მიხსნიდნენ არაფერს. მურღულია მხოლოდ იმას მეუბნებოდა, იყავი აქ, რადგან შენი გარეთ გაშვება არ შეიძლებაო... არც სახლში მარეკინებდნენ, არც ტანსაცმლის გამოცვლის ნებას მაძლევდნენ, თუმცა უკვე სექტემბერი იყო და საკმაოდ ციოდა... საბოლოოდ თქვენმა კოლეგა არჩილ გოგელიამ ატეხა ერთი ამბავი და ბოლოს გამომიშვეს. ბუნებრივია, წამოსვლისას მიზეზი ვიკითხე და გაირკვა, რომ თურმე ვიღაცამ ჭორი გაავრცელა, თითქოს პრეზიდენტის მოკვლას ვაპირებდი. ეს რომ მითხრეს, სიცილი ამიტყდა, შეგეშალათ, მაგაზე მე არ უნდა დაგეჭირეთ-მეთქი. აბა ვინო, ყურები ცქვიტეს - ალბათ, იფიქრეს, იქნებ რამე მართლაც იცისო, მაგრამ მე ვუთხარი, ვინ და ნინო სალუქვაძე-მეთქი. ამაზე უფრო დაიბნენ, ნინო რატომო. რატომ და გაჩერებულს ეგ ესვრის, თორემ მე ჰაერში უნდა ამიგდოთ, რომ მოვარტყა-მეთქი... ეს ამბავი მერე თბილისში ანეკდოტად დადიოდა.

ბუნებრივია, კარიერაში ბევრია ასეთი მოსაგონარი... მით უფრო, ისეთ ხალხთან მიწევდა ურთიერთობა - მაჩხანელი, ტარიელ ჟღენტი, თემურ მატოიანი, დავით ქვათაძე და სხვები... სროლაში რომ მივედი, მატოიანი და ჟღენტი უკვე ცნობილი მსროლელები იყვნენ, მე კი ღირსეულად შევუერთდი მათ. მათთან ერთად გავიზარდე და სულ ერთად ვიყავით - სუფრაზე, ტურნირებზე, შეკრებებზე, მივლინებებში, სანადიროდაც ძალიან ხშირად დავდიოდით... მოგვიანებით ქვათაძე, შენგელია და სხვებიც ასევე კარგად შემოგვიერთდნენ გუნდს და, მაგალითად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებს, სპარტაკიადებს, სხვა შეჯიბრებებს ლამის სულ ვიგებდით, მეორე-მესამე ადგილი არ გვაკმაყოფილებდა.

ნადირობა ყველას ძალიან გვიყვარდა, მაგრამ გარკვეულ წესრიგს ყოველთვის ვიცავდი. თან, ეტყობა, უკვე ასაკმაც იქონია გავლენა და, მაგალითად, გარეულ ღორზე ვინადირებ, დათვზე - უკვე ვერა. არაფერს ვამბობ ჯიხვსა და შველზე. ახალგაზრდობაში მათზე არა, მაგრამ დათვზე მინადირია, თუმცა არასოდეს მომიკლავს, ჩემი ყველაზე დიდი ნანადირევი ტახია. რამდენჯერმე ჯიხვებზე ვერტმფრენით სანადიროდაც დამპატიჟეს, მაგრამ კატეგორიულად ვიუარე - მე ხომ არ ვესვრი, არც თქვენ დაგანებებთ-მეთქი... საცოდავი ჯიხვი ისედაც სად ადის კლდეებში, ადამიანს რომ დაემალოს და როგორ შეიძლება, იქ ვერტმფრენით დაედევნო! ნადირობას თავისი კულტურა აქვს, ბუნება კი უნდა დავიცვათ. მაგალითად, მწყერზე ნადირობისას 20 ცალის მოკვლაა დასაშვები და არ მესმის, მეტი რატომ უნდა დახოცო, ეს ხომ სრულიად საკმარისია?! გული მტკივა, ამ ბოლოს მწყერზე სანადიროდ მეგაფონები რომ შემოიღეს ამ პატარა ფრინველს მისატყუებლად და ისე კლავენ.

### დღევანდელობა

სამწუხაროდ, 90-იანების დასაწყისში საქართველოში, მთელ ქვეყანაში სასტენდო სროლის ყველა ბაზა განადგურდა. ახლა რუსეთში დასაქმებული ქართველი ბიზნესმენის - ზაზა კაკუბავას ინიციატივით ვარკეთილის სასროლეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ის ტერიტორია ფედერაციას 49-წლიანი იჯარით გადმოგვეცა და განზრახულია 4 სასროლეთის აგება, რომელთაგანაც 3 ერთდროულად იქნება მრგვალი სტენდისაც და სასანგრესიც, სასტუმროს, კვების ბლოკის, იარაღის საწყობების და სხვა ამგვარები აუცილებელი რამეები. მეორე ეტაპზე განზრახულია ტყვიის სროლისთვის ღია სასროლეთის მოწყობაც. მართალია, ამ ყველაფრისთვის იქაურობა მცირე ტერიტორიაა, მაგრამ მაინც იმ დონის ბაზის გაკეთება იგეგმება, ევროპის პირველობის რანგის ტურნირებს რომ უმასპინძლოს.

ინვენტარს ნელ-ნელა ვიძენთ. ერთი მოედანი უკვე მოეწყო და ჩემი ინფორმაციით, იტალიიდან უკვე წამოვიდა თეფშების სასროლი დანადგარები. ტყვიები და თეფშებიც შევიძინეთ და ჩუბინებიც იქ ვარჯიშობენ. ჯერჯერობით მათი რაოდენობა დიდი არაა და არც შედეგებია მაღალი, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ ტურნირებზე უკვე სრული გუნდით დავდივართ, ახალგაზრდებიც დაგვყავს, წინგადადგმული ნაბიჯია. ახლაც - 28-ში გერმანიაში მივდივართ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ფედერაციის დაფინანსებით დავით ქვათაძე და ნატალია პანასი მიდიან, საკუთარი ხარჯით კი პავლე ლაკია და გივი ქვათაძე მიდიან. ახალგაზრდებში ირაკლი ლომიძე, ჩემი ვაჟი თენგიზ იმნაიშვილი და ლაშა ნარჩემაშვილი იასპარეზებენ.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით მასობრიობის გაზრდა ვერ ხერხდება, რადგან არც ბაზაა სათანადო და არც - თოფები. აქ ყველას თავისი იარაღი უნდა ჰქონდეს და ბავშვი სავარჯიშოდ რომ მოვა, თოფი ხომ უნდა მისცე.

### ნატალია პანასი

ნატალია პანასი მე გადმოვიყვანე საქართველოში. თავდაპირველად მისი და გავიცანი, რომელიც ასევე მესტენდურია, ინგლისშია გათხოვილი იქაურ მსროლელზე და იმათი სახელით გამოდის. ნატალიას შესახებაც მან მითხრა, ხომ არ გადაიყვან თქვენთანო. მეც ვნახე ვარჯიშზე და მაშინვე მომეწონა. მიმაჩნია, რომ მისი გადმოყვანა გამართლებულია - ახალგაზრდებში მსოფლიოს მესამე პრიზიორია, ამ დონის სპორტსმენის გაზრდას კი რამდენი წელიწადი სჭირდება. თან, კარგი ხასიათი აქვს, მებრძოლია, პროფესიული თვისებებით გამორჩეული, ჩამოყალიბებული პიროვნება. ბოლო ტურნირებში მას ჰქონდა ჩავარდნაც, მაგრამ კარგადაც ისროლა და მიმაჩნია, რომ მაღალი შესაძლებლობების სპორტსმენია. ოღონდ ბევრი შრომაა საჭირო. ის კვლავაც მოსკოვში ვარჯიშობს საკუთარი დედის მეთვალყურეობით საკუთარი ხარჯით, ჩვენ მხოლოდ შეჯიბრებებზე გამოსვლას ვუფინანსებთ, თუმცა აქ რომ იყოს და ჩემი მეთვალყურეობით ,ემზადებოდეს, მირჩევნია. სამწუხაროდ, მისი აქ შენახვა ფინანსურად ძვირი დაგვიჯდება და ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ.

პ.ს. ხვალ თამაზ იმნაიშვილის დაბადების დღეა. „ლელო" ულოცავს მსოფლიოს ჩემპიონს და წარმატებებს უსურვებს.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე რაგბი

# ვინ წაართმევს ტიტულს ჩიფსს?


ბურთით რიჩი მაქოა

**ზე რაგბის გათამაშებაში დღეს ნახევარფინალური მატჩები გაიმართება. სამხრეთ აფრიკაში, პრეტორიის „ბლუ ბულზი“ წლეულს შესანიშნავად მოასპარეზე ავსტრალიურ კანბერას „ბრამბიზს“ უმასპინძლებს. ჰემილთონში კი, ახალზელანდიური დერბი გაიმართება. ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული „ჩიფსი“ ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს“ დაუპირისპირდება.**

სამხრეთ აფრიკის კონფერენციის გამარჯვებული „ბლუ ბულზი“ ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. პრეტორიული გუნდი, „კრუსეიდერზის“ დარად, წლეულს შინ დაუმარცხებელია. ამასთან ერთად, „ბლუ ბულზს“ კანბერას „ბრამბიზთან“ 2006 წლის მერე არ წაუგია. ეს სტატისტიკა ნათლად უჩვენებს „ლურჯი ხარების“ უპირატესობას, მაგრამ...

„ბრამბიზი“ წლეულს შეუდარებელია. კანბერელებმა ავსტრალიის კონფერენცია დამაჯერებლად მოიგეს. ეს მთლიანად გუნდის ახალი მწვრთნელის, ლეგენდარული სამხრეთაფრიკელი სპეციალისტის **კრის ვაითის** დამსახურებაა. მან ძალიან კარგად იცის მომავალი მეტოქის, „ბლუ ბულზის“ავან-ჩავანი და, როგორც სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობა ამტკიცებს, ბრამბიზელები მის ხელში „ლურჯი ხარების“ სტილში ათამაშდნენ. შეგახსენებთ, რომ ვაითი 1999 წელს პრეტორიელების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო.

„ბრამბიზის“ თამაში მთლიანად აგებულია გუნდის ოთხ წამყვან მოთამაშეზე. ესენი არიან: მგეზავი **მეთ ტოომუა,** შუამარბი **კრისტიან ლეალიიფანო,** მესამეხაზელი **ჯორჯ სმითი** და პირველხაზელი **ბენ ალექსანდერი.** მათ გარჯაზე დიდადაა დამოკიდებული გუნდის წარმატებული თამაში.

საბრძოლო შემადგენლობით ითამაშებს „ბლუ ბულზიც“. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ფრანს ლუდეკმა** „ლურჯი ხარების“ ქომაგების სასიხარულოდ ძირითად შემადგენლობაში დააყენა ტრავმამოშუშებული მოთამაშეები, ცხრა ნომერი **ფრანსუა ჰუგარი** და შუამარბი **იან სერფონტეინი,** რომლებიც სამხრეთ აფრიკის ნაკრების წევრებიც არიან. სრულ მზადყოფნაშია მასპინძელთა მგეზავი და მთავარი მექულე **მორნი სტეინი,** რომელიც ფეხით თამაშის უბადლო ოსტატია.

**ბლუ ბულზი-ბრამბიზი**

**ბლუ ბულზი:** 15. ზან კირხნერი, 14. აკონა ნდუნგანე, 13. ჯეი ჯეი ენგელბერხტი, 12. იან სერფონტეინი, 11. ბიორნ ბესონი, 10. მორნი სტეინი, 9. ფრანსუა ჰუგარი. 1. დინ გრეილინგი, 2. ჩილიბოი რელეპელე, 3. ვერნერ კრუხერი, 4. ფლიპ ფან დერ მერვე, 5. გრანტ ჰეტინგი, 6. დეონ სტიგმანი, 7. იაკუს პოთხითერი, 8. დიუვალ პოთხითერი.

16. კალი ვისაჯი, 17. ფრიკ კირსტენი, 18. მორნი მელეტი, 19. პაულ ვილიმასი, 20. იონო როსი, 21. იან ვერმაკი, 22. იურგენ ვიზერი.

**ბრამბიზი:** 15. ჯესე მოგი, 14. ჰენრი სპეიგთი, 13. ტევიტა კურიდრანი, 12. კრისტიან ლეალიიფანო, 11. კლაიდ რათბონე, 10. მეთ ტოომუა, 9. ნიკ ვაითი. 1. სკოტ სიო, 2. სტეფან მური, 3. ბენ ნალექსანდერი, 4. სკოტ ფერდაი, 5. სემ კარტერი, 6. პიტერ კიმლინი, 7. ჯორჯ სმითი, 8. ბენ მუვენი.

16. სილვია სილვია, 17. რუან სმითი, 18. ფოტუ აუელუა, 19. კოლბი ფაინგაა, 20. იან პრიორი, 21. ენდრიუ სმითი, 22. ჯო ტომანე.

**მსაჯი:** კრეიგ იუბერი (სამხრეთ აფრიკა)

ახალზელანდიურ დერბიში ყველა უმძაფრეს ბრძოლას ელოდება. ტურნირის ამჟამინდელი ჩემპიონი „ჩიფსი“ ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვან გუნდს, „კრუსეიდერზს“ მასპინძლობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე გუნდში მრავლად არიან „ოლ ბლექსის“ მოთამაშეები, გამარჯვებულის ვინაობის წინასწარ გამოცნობა ძალიან ძნელია.

თუმცა, თუ ბუქმეკერებს ვენდობით, ბოლო მატჩებში „ჯვაროსნებს“ იმდენად სერიოზული პროგრესი აქვთ, რომ ფავორიტებად სწორედ ისინი მიიჩნევიან. ცხადია, ამის გამო „ჩიფსი“ „ყურების ჩამოყრას“ არ აპირებს. ამ გუნდმა წლევანდელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა და ახალი ზელანდიის კონფერენციაში პირველი ადგილი დაიკავა.

ჰემილთონელთა მთავარმა მწვრთნელმა **როს რენიმ** საბრძოლო რაზმი დაასახელა, რომელშიც ბოლო მატჩისგან განსხვავებით შვიდი ცვლილება განახორციელა.

*„ჩიფსმა“ ზე რაგბის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალამდე გააღწია. ეს კი, ძალიან ბევრი ადამიანის დაულალავი შრომის შედეგია. ისინი მოუთმენლად ელიან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმას თავისი ახლობლების, მეგობრებისა და ოჯახის წევრების თვალწინ. მათ ყველაზე მეტად სწორედ ახლა სჭირდებათ მხარდაჭერა.“* - თქვა მან.

„ჯვაროსნების“ მთავარმა მწვრთნელმა **ტოდ ბლეკედერმა** ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში გამარჯვებული შემადგენლობა არ შეცვალა. ისევ თადარიგშია გუნდის ლიდერი და კაპიტანი **რიჩი მაქოა.** შესაბამისად, უწინდებურად მრისხანედ გამოიყურება ქრაისთჩერჩელთა მესამე ხაზი: **ჯორჯ ვაითლოქი, მეთ ტოდდი** და **კირან იდი.** ამას დაუმატეთ მგეზავი და მთავარი დამრტყმელი **დენ კარტერი** და მივიღებთ გუნდს, რომელსაც ნებისმიერი რანგის ტურნირის მოგება შეუძლია.

**ჩიფსი-კრუსეიდერზი**

**ჩიფსი:** 15. გარეთ ანსკომბი, 14. ლეილა მასაგა, 13. ჩარლი ნგატაი, 12. ანდრეი ჰორელი, 11. ასაელი ტიკოიროტუმა, 10. აარონ კრადენი, 9. ტავერა კერი-ბარლოუ. 1. ტობი სმითი, 2. ჰიკა ელიოტი, 3. ბენ ტამეუფუნა, 4. კრეგ კლარკი, 5. ბროდი რეტალეკი, 6. ლიამ სემასმი, 7. ტანერაუ ლატიმერი, 8. მეთ ვანტ ლევენი.

16. რის მარშალი, 17. ბენ აფეკაი, 18. მაიკლ ფიცჯერალდი, 19. სემ კენი, 20. ავგუსტინ პულუ, 21. ბუნდე აკი, 22. რობი რობინსონი.

**კრუსეიდერზი:** 15. იზრაელ დაგი, 14. ტომ მარშალი, 13. რაიან კროტი, 12. ტომ ტეილორი, 11. ზაკ გილფორდი, 10. დენ კატერი, 9. ენდი ელისი. 1. ვაით კროკეტი, 2. კორი ფლინი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სემ ვაითლოქი, 6. ჯორჯ ვაითლოქი, 7. მეთ ტოდდი, 8. კირან იდი.

16. ბენ ფუნელი, 17. ჯო მუდი, 18. ლუკ ვაითლოქი. 19. რიჩი მაქოა, 20. ვილი ჰეინცი, 21. ტაილერ ბლეინდაალი, 22. ადამ ვაოთლოქი.

**მსაჯი:** სტივ ველში (ავსტრალია)


იან სერფონტეინი და კრისტიან ლეალიიფანო

ოთხი ერი


ქუადე კუპერი

# ავსტრალიას ცხრა მორაგბე აკლია

**ავსტრალიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ევან მაკკენზიმ გუნდის გაფართოებული, 40-კაციანი სია გააცხადა. როგორც მოსალოდნელი იყო, „ვოლაბების“ რიგებში ისევ გამოჩნდა მგეზავი ქუადე კუპერი.**

ბრისბენის „რედსის“ წამყვანი მოთამაშე ავსტრალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, **რობი დინსისგან** შერისხული იყო, რის გამოც 2012 წლის შემოდგომის შემდეგ ეროვნულ გუნდში არ უთამაშია. კუპერს არც „ბრიტანელ ლომებთან“ სამმატჩიან სერიაში მიუღია მონაწილეობა.

მოვლენები ისე ვითარდება, რომ, სავარაუდოდ, კუპერი მომავალი ოთხი ერის გათამაშებაში ავსტრალიის ნაკრების ძირითადი მგეზავი იქნება. **ევან მაკკენზი,** როგორც ცნობილია, **ჯეიმზ ოკონორს** ფულბეკად თამაშს უპირებს. კუპერის კონკურენტები კი, **მეთ ტოომუა** (ბრამბზი) და **ბერნარდ ფოლი** (ვორათაზი) იქნებიან. მიუხედავად ყველაფრისა, მაკკენზი ამტკიცებს, რომ ქუადეს ძირითადში ადგილი გარანტირებული არ აქვს.

„ყველა ქუადე კუპერზე ლაპარაკობს, მე კი გაცილებით ღრმა პრობლემებს ვხედავ. იერარქია, რომელიც აქამდე არსებობდა, შესაძლოა ერთ კვირაში შეიცვალოს. გარანტირებული ადგილი შემადგენლობაში არავის აქვს. ძალიან მინდა, რომ გუნდში ჯანსაღი კონკურენცია იყოს“ - თქვა „ვოლაბების“ თავკაცმა ევან მაკკენზიმ.

ავსტრალიის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში რამდენიმე ახალი მოთამაშეა. ესენია: ცხრა ნომერი **ნიკ ვაითი** (ბრამბიზი), შუამარბები **კრის ფეაუაი-საუტია** (რედსი) და **ტევიტა კურიდრანი** (ბრამბზი), გარემარბი **პიტერ ბეთამი** (ვორათაზი), მეორეხაზელები **ჰიუ პაილი** (მელბურნ რებლზი) და **სკოტ ფერდაი** (ბრამბიზი), შერკინების ბურჯი **სკოტ სიო** (ბრამბიზი), მესამეხაზელი **ჯეკ შაცი** (რედსი).

ავსტრალიის ნაკრებს ტრავმების გამო ექვსი წამყვანი მოთამაშე დააკლდება. ესენია: **ქართლი ბეილი, ვიკლიფი პალუ, დევიდ პოქოკი, დიგბი იოანი, პეტ მაკკები** და **სკოტ ჰიგინბოთამი.** კიდევ სამი მორაგბე, რომლებიც ძირითადი გუნდის მოთამაშეებად მოიაზრებიან, საასპარეზოდ საზღვარგარეთ გაემგზავრნენ და, შესაბამისად, ეროვნულ გუნდს ველარ დაეხმარებიან. ესენია: **ბერიკ ბარნსი, დრიუ მიტჩელი** და **სიტალეკი ტიმანი.**

**ავსტრალია**

**შერკინება:** ბენ ალექსანდერი, დეივ დენისი, კენ დუგლასი, საია ფაინგაა, სკოტ ფერდი, ლიამ გილი, მაიკ ჰუპერი, ჯეიმზ ჰორვილი, სეკოპე კეპუ, პიტერ კიმლინი, ბენ მაკკალმენი, ჰოგ მაკმენიმანი, სტივენ მური, ბენ მოვენი, ტატაფუ პოლოტანაუ, ჰოგ პაილი, ბენ რობინსონი, პედი რაიანი, ჯეკ შაცი, რობ საიმონსი, სკოტ სიო, ჯეიმზ სლიპერი.

**უკანა ხაზი:** ადამ ეშლი-კუპერი, პიტერ ბეთამი, ქუადე კუპერი, ნიკ კამინსი, ენტონი ფაინგაა, კრის ფეაუაი-საუტია, იზრაელ ფოლაუ, ბერნარდ ფოლეი, ვილი გენია, მაიკ ჰარისი, ტევიტა კურიდრანი, კრისტიან ლეალიიფანო, ჯეს მოგი, ჯეიმზ ოკონორი, ნიკ ფიპსი, ჯო ტომანე, მეთ ტოომუა, ნიკ ვაითი.

შეთანხმება

# ლე ბლო ისევ სტად დე ფრანსზე

**საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ ახლახან ხელშეკრულება გააფორმა კონსორციუმთან, რომელიც სენ დენიში მდებარე სტადიონს, „სტად დე ფრანსს“ მართავს. მოლაპარაკებები დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა.**

ახალი კონტრაქტის მიხედვით ოთხი წლის განმავლობაში საფრანგეთის რაგბის ფედერაცია „სტად დე ფრანსის“ მმართველ კონსორციუმს 23 მილიონ ევროს გადაუხდის. სამაგიეროდ, ოთხი წლის განმავლობაში ამ სტადიონზე „ლე ბლოს“ 20 მატჩი უნდა გაიმართოს.

იჯარის ამოწურვის სავარაუდო თარილი 2017 წლის ივნისია. წლეულს ფრანგები „სტად დე ფრანსზე“ ორ მატჩს გამართავენ. ნოემბრის ტესტებზე „ლე ბლო“ სამხრეთ აფრიკისა და ახალი ზელანდიის ნაკრებებს უმასპინძლებს.

გრაფიკი ისეა შედგენილი, რომ ერთი თამაში საფრანგეთის რაგბის ფედერაციას თადარიგში რჩება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრანგებს, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ევროთასების ყველაზე პრესტიჟული ტურნირის, „ჰაინეკენის თასის“ ფინალის გამართვა „სტად დე ფრანსზე“ სურთ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ჩოგბურთი



დევენპორტი (მარცხნივ) და ჰინგისი

# მარტინა ერთეულებშიც ითამაშებს

„დიდი სლემის" ტურნირების სამგზის ჩემპიონმა, 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ამერიკელმა **ლინდსი დევენპორტმა** განაცხადა, რომ შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**, რომელმაც გასულ კვირას გამოაცხადა პროფესიულ ჩოგბურთში დაბრუნების შესახებ, 2013 წელს კორტზე ერთეულთა თანრიგშიც გამოჩნდება. შეგახსენებთ, რომ „დიდი სლემის" ტურნირების ხუთგზის ჩემპიონმა კარლსბადსა და ნიუ ჰეივენში წყვილთა თანრიგში თამაში დაგეგმა. ის ასევე ითამაშებს წყვილებში ამერიკის ღია პირველობაზე.

*„მარტინამ გადაწყვიტა წყვილებში თამაში იმისთვის, რომ შემოდგომაზე ერთეულთა თანრიგში დაბრუნდეს"*, - მოჰყავს ამერიკულ პრესას დევენპორტის სიტყვები.

# ზურგის ბრალია თუ...

გუშინდელ ნომერში ვწერდით შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** მორიგი სენსაციური მარცხის შესახებ. გშტაადის ტურნირზე ლეგენდა თითქმის უშანსოდ დამარცხდა გერმანელ **დანიელ ბრანდსთან**, რომელიც 55-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში.

მოგვიანებით გაირკვა შვეიცარიელის მარცხის მიზეზი - ფედერერმა აღიარა, რომ სერიოზული პრობლემები აქვს ზურგთან დაკავშირებით.

*„ზურგი სერიოზულად მაწუხებს. გასულ კვირას, ჰამბურგში ტკივილის გამო იძულებული ვიყავი გამაყუჩებლები მიმეღო,* - განაცხადა ფედერერმა. - *ბრანდსის წინააღმდეგ ძალიან გამიჭირდა თამაში და კორტზე მოძრაობა. აუცილებელია მკურნალობის კურსის გავლა და დაკვირვება - რა იქნება მომავალში".*

*„ტკივილი ზურგის არეში ამჯერადაც მქონდა, ამიტომაც ასი პროცენტით მზად არ ვიყავი. როცა მატჩზე გავდიოდი, ვგრძნობდი, რომ ძალიან გამიჭირდებოდა. თამაშის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მოთელვის შემდეგ მივიღე. ცუდი მატჩი არ ჩამიტარებია, მაგრამ გამარჯვება ვერ მოვიპოვე"*, - ამბობს შვეიცარიელი.

■ ■ ■

როჯერ ფედერერს მიმდინარე სეზონში უკვე ხუთი უცნაური და მისთვის შეუფერებელი წაგება დაუგროვდა (სხვათა შორის, პირველ სამ შემთხვევაში მას ზურგი არ აწუხებდა). სწორედ ამ მატჩების გახსენება გადავწყვიტეთ დღეს:

**როტერდამი (ATP500)**

1/4 ფინალი. ჟულიან ბენეტო

შარშან, უიმბლდონის მესამე წრეში **ბენეტო** ფედერერთან მატჩში მოგებაზე აწვდიდა, მაგრამ, საბოლოოდ, დამარცხდა. 2013 წელს, როტერდამში ფრანგმა საქმე ბოლომდე მიიყვანა და შვეიცარიელს ტიტულის დაცვის საშუალება არ მისცა.

**მადრიდი (მასტერსი).**

III წრე. კეი ნიშიკორი

მადრიდში ფედერერი მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა - გასულ წელს, მან დაიპყრო ეკზოტიკური ცისფერი გრუნტი. მაგრამ, წელს, ჩვეულებრივ წითელ გრუნტზე როჯერს ბევრი არაფერი გამოუვიდა და უკვე მესამე წრეში, მოულოდნელად სამ სეტში წააგო იაპონელ **კეი ნიშიკორისთან**.

**უიმბლდონი – II წრე**

სერგეი სტახოვსკი

საყოველთაო აზრით, უიმბლდონი ფედერერისთვის წლევანდელი სეზონის ერთადერთი მიზანი იყო. მაგრამ სარეკორდო მერვე ტიტულის ნაცვლად, შვეიცარიელმა მეორე წრეში წაგება მიიღო, რამაც შეწყვიტა მისი ბრწყინვალე სერია: ზედიზედ 36 მეოთხედფინალი „დიდი სლემის" ტურნირებზე. გარდა ამისა, როჯერმა ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად დაკარგა ადგილი ტოპ-ოთხეულში.

**ჰამბურგი (ATP500)**

1/2 ფინალი - ფედერიკო დელბონისი

ევროპულ გრუნტზე ფედერერი ახალი ჩოგნის გამოსაცდელად ჩავიდა. გამოცდამ წარუმატებლად ჩაიარა. „მაესტრომ" ნახევარფინალში 22 წლის არგენტინელ **ფედერიკო დელბონისთან** წააგო, რომელიც მანამდე არასოდეს ასულა რეიტინგში 98-ე ადგილზე ზემოთ. პირველად 2002 წლის შემდეგ, როჯერმა ზედიზედ ორი მატჩი წააგო TOP100-ის მიღმა მყოფ ჩოგბურთელთან.

**გშტაადი (ATP250)**

II წრე - დანიელ ბრანდსი

გასულ კვირას, ჰამბურგში ფედერერმა ბრანდსთან პირველი სეტი წააგო, მაგრამ მომდევნო ორი თავის სასარგებლოდ დაასრულა. ამჯერად მან დამარცხებულმა დატოვა კორტი. ერთადერთი ჯილდო, რომელიც როჯერს საშინაო ტურნირიდან მიაქვს - ეს არის ძროხა სახელად „დეზირე".




როჯერ ფედერერი

დოპინგი

# თურმე ყველაფერი უაზრობაა




ავსტრალიელმა მეცნიერებმა სპეციალური კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ დოპინგთან ბრძოლის თანამედროვე სისტემა სუსტი და დაუხვეწავია. ამ დასკვნამდე მისასვლელად, მათ გამოიყენეს სპორტის 93 სახეობაში დაფიქსირებული დადებითი დოპინგ-სინჯები.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აკრძალული პრეპარატების გამოყენებაზე შემთხვევითი ტესტების ჩატარება ასიდან მხოლოდ 2.9 პროცენტის შემთხვევაში იძლევა ზუსტ ინფორმაციას. ამასთან, ასპროცენტიანი ეფექტის მისაღწევად აუცილებელია თითოეული პროფესიონალი სპორტსმენის წელიწადში 50-ჯერ შემოწმება.

*„ანტისადოპინგო ზომები მხოლოდ საჩვენებლად მიიღება,* - ამბობს კვლევის ერთ-ერთი ავტორი. - *ხდება იმის დემონსტრირება, თითქოს ყველაფერი კანონზომიერად და სწორად მიდის, სინამდვილეში კი თანამედროვე ანტისადოპინგო სისტემა განწირულია დამარცხებისთვის".*

ცურვა



# ჯერ ჩინეთი ლიდერობს

ბარსელონაში გაიმართა ცურვის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის სხდომა. დელეგატებმა მიიღეს ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება - მსოფლიოს ჩემპიონატის პროგრამას ახალი დისციპლინები დაემატება.

2015 წელს, რუსეთის ქალაქ ყაზანში პლანეტის პირველობაზე ცურვის პროგრამაში შეტანილი იქნება შერეული ესტაფეტა თავისუფალი სტილით. 2014 წელს, კატარის დედაქალაქ დოჰაში ჩატარდება მსოფლიოს ჩემპიონატი „მოკლე აუზისთვის". აქაც არის პროგრამაში ცვლილება: ემატება შერეული ესტაფეტები (4x50 მეტრი) თავისუფალი და კომბინირებული სტილით.

კატალონიის დედაქალაქში ამ დღეებში მიმდინარეობს საწყლოსნო სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატი. იქ ჯერ ცურვის პროგრამა არ დაწყებული - ჯერჯერობით მედლები გათამაშდა „ღია წყალზე" ცურვაში, სინქრონულ ცურვასა და წყალში ხტომაში, რის შემდეგაც, მედლების ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩინეთი | 7 | 5 | 2 | 14 |
| 2. რუსეთი | 6 | 3 | 0 | 9 |
| 3. გერმანია | 2 | 1 | 2 | 5 |
| 4. ბრაზილია | 1 | 2 | 2 | 5 |
| 5. საბერძნეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 6. ტუნისი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 7. აშშ | 1 | 0 | 0 | 1 |
| 8. ესპანეთი | 0 | 2 | 4 | 6 |
| 9. კანადა | 0 | 2 | 1 | 3 |
| 10. იტალია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 11. უკრაინა | 0 | 1 | 3 | 4 |
| 12. მექსიკა | 0 | 0 | 3 | 3 |
| 13. მალაიზია | 0 | 0 | 1 | 1 |

# გაძევება 2015 წლამდე

სერბი ჩოგბურთელი **ვიქტორ ტროიცკი**, რომელსაც ATP-ის რეიტინგში 53-ე ადგილი უკავია, წლინახევრით არის დისკვალიფიცირებული ანტისადოპინგო წესების დარღვევისთვის.

ტროიცკის დოპინგ-სინჯები უნდა წარმოედგინა აპრილში, მონტე კარლოს მასტერსის მსვლელობისას, სადაც ის პირველივე წრეში დამარცხდა იარკო ნიემინენთან.

ჩოგბურთელმა ჩააბარა შარდის ანალიზი, მაგრამ სისხლის ანალიზზე უარი განაცხადა და მიზეზად ის თქვა, რომ ცუდად გრძნობდა თავს. მოგვიანებით, ვიქტორმა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტრიბუნალს მოუყვა იმის შესახებ, რომ მონტე კარლოში დოპინგ-ოფიცერმა უთხრა, რომ შარდის ანალიზი საკმარისი იქნებოდა. ამაზე ფედერაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დოპინგ-სამსახურის წარმომადგენელს ჩოგბურთელისთვის ასეთი გარანტია არ მიუცია. შესაბამისად, ტროიცკი ჩოგბურთის ანტისადოპინგო პროგრამის 2.3 სტატიის მიხედვით დამნაშავედ სცნეს.

ფედერაციის ტრიბუნალმა გაითვალისწინა ის რომ, ტროიცკი დოპინგ-ტესტის ჩაბარებისას სტრესულ მდგომარეობაში იყო, ამიტომაც დისკვალიფიკაციის ვადა ორიდან წლინახევრამდე შეუმცირა. ასე რომ, სერბი ჩოგბურთელი კორტზე მხოლოდ 2015 წლის 24 იანვარს დაბრუნდება.

დევისის თასის ყოფილი გამარჯვებული მალე გამოეხმაურა ამ ამბავს და განაცხადა, რომ ლოზანაში საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანს აპელაციას.

*„რა თქმა უნდა, ამ საქმეს ბოლომდე მივყვები და აპელაციას შევიტან,* - ამბობს 27 წლის ჩოგბურთელი. - *მთლიანად ვენდობი საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს და იმედია, ისინი სიმართლეს გაარკვევენ. ექიმს ჩემი დოპინგ-ტესტის ნიმუში ჩავაბარე და ვთქვი, რომ თავს ცუდად ვგრძნობდი. სისხლი რომ ჩამებარებინა, კიდევ უფრო ცუდად გავხდებოდი. ექიმმა, რომელიც ტესტირებაზე იყო პასუხისმგებელი, თქვა, რომ მართლაც ცუდად გამოვიყურებოდი და არ შემეძლო სისხლის ჩაბარება. მან შესაბამისი ახსნა-განმარტებითი ბარათი შეადგინა. უბრალოდ, არაკვალიფიციური ექიმი შემხვდა, რომელმაც არ მითხრა რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა სისხლის ანალიზზე უარის თქმას, მე კი მას ბოლომდე ვენდე".*

ვიქტორ ტროიცკის კარიერაში ერთადერთი ტურნირი აქვს მოგებული - 2010 წელს, მოსკოვში კრემლის თასზე გაიმარჯვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ვიქტორ ტროიცკი

## კალათბურთი



ლინას კლეიზა

### კლეიზამ ფენერი აირჩია

ლიტვური კალათბურთის ერთ-ერთი ლიდერი, ფორვარდი **ლინას კლეიზა** თურქეთის "ფენერბაჰჩეში" გააგრძელებს კარიერას. NBA-ის ყოფილმა მოთამაშემ თურქულ სუპერკლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ბოლო სამი სეზონის განმავლობაში, 28 წლის კალათბურთელის თამაშს სერიოზული დაღი დაასვა ტრავმებმა. ასე მაგალითად, ბოლო სეზონში, როცა კლეიზა "ტორონტო რეპტორზის" რიგებში გამოდიოდა, ლიტველმა მხოლოდ 20 მატჩი ჩაატარა, სულ კი ბოლო სამი სეზონის განმავლობაში მის ანგარიშზე სულ რაღაც 108 მატჩი მოდის შესაძლებელი 246-დან. კლეიზა გასულ რეგულარულ ჩემპიონატში 7.4 ქულასა და 2.6 მოხსნას აგროვებდა.

ამჟამად, ფორვარდი ლიტვის ნაკრების განკარგულებაშია და 2013 წლის ევრობასკეტისთვის ემზადება.

### ევროპელები NBA-ში მიდიან

საბერძნეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, გამთამაშებელი **ნიკ კალატესი**, რომელიც გასულ სეზონში რუსულ „ლოკომოტივში" თამაშობდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება NBA-ის კლუბ „მემფის გრიზლისთან" მოლაპარაკებების გასამართავად. ამ გუნდმა რამდენიმე დღის წინ გამოისყიდა კალათბურთელზე უფლებები „დალას მავერიქსისგან".

ამერიკული პრესის ინფორმაციით, „მემფისს" ბერძენის გასაფორმებლად „ლოკომოტივისთვის" დაახლოებით 500 ათასი ევროს გადახდა მოუწევს. თავად კალატესმა დაადასტურა 2013-14 წლების სეზონში NBA-ში გამოსვლის სურვილი.



მიროსლავ რადულიცა

■ ■ ■

ამასობაში, გადაწყდა, რომ კიდევ ერთი ევროპელი კალათბურთელი დაიწყებს კარიერას ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. „მილუოკი ბაქსის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კონტრაქტი გააფორმა სერბ **მიროსლავ რადულიცასთან**, რომელიც შარშან უკრაინის „აზოვმაშში" თამაშობდა და სუპერლიგის ვერცხლის პრიზიორი გახდა. სერბი საშუალოდ მატჩში 14.2 ქულასა და 5.9 მოხსნას აგროვებდა და უკრაინული ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახდა.

აღსანიშნავია, რომ რადულიცა „აზოვმაშში" იჯარის წესით თამაშობდა. ის თურქეთის „ბეშიქთაშს" ეკუთვნოდა, რომელთანაც სერბს ამ ზაფხულს კონტრაქტი ამოეწურა და ხელს აღარაფერი უშლიდა NBA-ში გასამგზავრებლად. „მილუოკისთან" გაფორმებული კონტრაქტის დეტალები ცნობილი არ არის.

### ფიშერი ბოლო სეზონს ითამაშებს

როგორც უკვე ვწერდით, ვეტერანი გამთამაშებელი **დერეკ ფიშერი** 2013-14 წლების სეზონს „ოკლაჰომაში" გაატარებს. ESPN.com წერს იმის შესახებ, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისი მე-18 სეზონის შემდეგ, 38 წლის კალათბურთელი კარიერის დასრულებას აპირებს.

მომავალ სეზონში ფიშერის ხელფასი 1.4 მილიონი დოლარი იქნება. მისი სტატისტიკა წლევანდელ პლეი ოფში 7.1 ქულა იყო.

### ნიქსმა ახალი არენა უნდა იპოვოს

"ნიუ იორკ ნიქსი" ლეგენდარულ არენას – "მედისონ სკვერ გარდენს" ტოვებს. ამიტომაც, კლუბს უახლოესი ათი წლისთვის ახალი სტადიონის ძებნა მოუწევს NBA-ის მატჩების ჩასატარებლად.

*"მედისონ სკვერ გარდენს" რემონტი ესაჭიროება. ამიტომაც აქედანვე გვინდა ყველას შევატყობინოთ იმის შესახებ, რომ მალე დაიწყება არენის რეკონსტრუქცია, რათა მან ყველა თანამედროვე მოთხოვნა დააკმაყოფილოს"*, - განაცხადა ნიუ იორკის საქალაქო საბჭოს სპიკერმა **კრისტინ ქუინმა**.

ვარაუდობენ, რომ ლეგენდარული არენის განახლება ერთი მილიარდი დოლარი დაჯდება.

### მოზგოვი დენვერში დარჩა

რუსეთის ნაკრების ცენტრმა **ტიმოფეი მოზგოვმა** ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა „დენვერ ნაგეტსთან", - იტყობინება Yahoo! Sports. ხელშეკრულება სამი წლით არის გაფორმებული. ამ დროის განმავლობაში, 26 წლის რუსი კალათბურთელი 14 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

უფრო ადრე, „ნაგეტსის" გენერალური მენეჯერი ტიმ კონელი ამბობდა, რომ კლუბი აპირებს მოზგოვი სასტარტო ხუთეულის მოთამაშედ აქციოს. გასულ სეზონში, ცენტრალურმა თავდამსხმელმა 41 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ მხოლოდ 8.9 წუთი გაატარა მოედანზე.

### უორლდ პისის ახალი სახელი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანმა ფორვარდმა **მეტა უორლდ პისმა** ამ ზაფხულს კლუბი შეიცვალა - „ლოს ანჯელეს ლეიკერსიდან" „ნიუ იორკ ნიქსში" გადავიდა. კლუბის გარდა, კალათბურთელი კიდევ ერთხელ აპირებს სახელის შეცვლას.

*„სახელის შეცვლა მაქვს დაგეგმილი. ჯერჯერობით არ ვიცი, რას ავირჩევ, მაგრამ ეს ნამდვილად არ იქნება რონ არტესტი"*, - ამბობს უორლდ პისი.

მიუხედავად ამისა, როგორ ამერიკული პრესა წერს, ამჯერად, 33 წლის მოთამაშე არ აპირებს სახელის ოფიციალურად შეცვლას. ზურგზე მას კვლავაც „უორლდ პისი" ეწერება, მაგრამ ჟურნალისტებისთვის და გულშემატკივრებისთვის მოიგონებს ახალ მეტსახელს და სთხოვს მათ სწორედ ამ ახალი სახელით მიმართონ.

### დოპინგი NBA-შიც უყვართ?

მაიამიში ბიოენერგეტიკის კლინიკის ყოფილმა თანამშრომელმა **პორტერ ფიშერმა** განაცხადა, რომ მის დაწესებულებაში სტიმულატორების მისაღებად არა მხოლოდ სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები, არამედ, NBA-ის მოთამაშეებიც მიდიოდნენ.

ამასწინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში დოპინგ-სკანდალი აგორდა, რომელიც ამ ბიოენერგეტიკულ კლინიკას უკავშირდება. ამან გამოიწვია ცნობილი ბეისბოლისტის **რაიან ბრაუნის** დისკვალიფიკაცია, რომელიც აღნიშნულ კლინიკასთან თანამშრომლობდა.

ფიშერმა მოყვა იმის შესახებ, რომ ბეისბოლისტების გარდა, მისი კლინიკის კლიენტები იყვნენ NBA-სა და NCAA-ის კალათბურთელები, მოკრივეები, MMA-ის მებრძოლები და ჩოგბურთელები. რამდენადაც კლინიკის ყოფილი თანამშრომლისთვის არის ცნობილი, მის დაწესებულებაში მხოლოდ NHL-სა და NFL-ის ლიგიდან არ მისულან მოთამაშეები.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა




მეტა უორლდ პისი

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სერეზო-მანჩესტერ იუნ | 2:2 |
| ურავა-არსენალი | 1:2 |
| ლივორნო-კალონი | 2:0 |
| კიევო-ბარი | 3:0 |
| აკადემიკა-მარიტიმუ | 1:0 |
| ოსერი-შატორუ | 2:3 |
| ნანსი-კოლმარი | 1:0 |
| ჰერტა-რადი | 1:1 |
| ბასტია-მაინცი | 1:3 |
| იგლზი-შივასი | 1:2 |
| ლე მანი-ტური | 0:4 |
| ნიორი-ანჟერსი | 2:3 |
| შტუტგარტი-ოლიმპიაკოსი | 0:0 |
| ცვოლე-როსი | 5:1 |
| ვინერი-ესქისეჰირი | 1:1 |
| არისი-რომა | 1:2 |
| ჰარტლპული-პრესტონი | 0:1 |
| ჰერაკლესი-ხეტაფე | 1:0 |
| მოზერველი-ნოტინგემი | 1:1 |
| სევილია-კორდობა | 1:0 |
| აბერდინი-ტვენტე | 2:0 |
| ბარტონი-უოლსოლი | 1:0 |
| ძრიუ-ასტონ ვილა | 1:5 |
| მენსფილდი-ძოვენთრი | 2:3 |
| ოქსფორდი-უიკომბი | 1:1 |
| სალისბერი-ექსეტერი | 1:2 |
| შეფილდი-ატრომიტოსი | 2:2 |
| სტ. ალბანსი-ლეიტონი | 2:1 |
| ბენფიკა-ლევანტე | 2:1 |
| კილმარნოკი-კარლაილი | 2:2 |
| საუთენდი-ქუინზ პარკი | 1:3 |
| ბოლტონი-ბეტისი | 0:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აალენი-ფიურტი | 0:2 |
| არმინია-უნიონი | 1:1 |
| კაიზერი-ინგოლშტადტი | 3:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ოსნაბრიუკი-დორტმუნდი II | 1:0 |
| შტუტგარტი II-დარმშტადი | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| შალდინგი-ბაიერნი II | 0:5 |
| ვიურცბურგერი-ზელიგენპორტენი | 5:1 |
| როზენჰაიმი-მემინგენი | 1:3 |
| ნიურნბერგი II-შვაინფურტი | 3:3 |
| ბუხბახი-ვიქტორია (ა) | 1:0 |
| ინგოლშტადტი II-აინტრახტი (ბ) | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფორტუნა-ალემანია | 1:3 |
| **რეგიონალლიგა (ს–დ)** | |
| კობლენცი-ოფენბახი | 0:2 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე-შარლერუა | 2:0 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 19** | |
| პოლანდია-ესპანეთი | 2:3 |
| პორტუგალია-ლიტვა | 4:2 |
| **დანია** | |
| ნორდსიოლანდი-ვიბორგი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვარბერგსი-ლანდსკრონა | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აუსტია (ლ)-ჰარტბერგი | 0:1 |
| კაპფენბერგი-პარნდორფი | 2:0 |
| მატერსბურგი-სტ. პოლტენი | 0:1 |
| ჰორნი-ლიფერინგი | 2:4 |
| ვენა-ალტახი | 1:4 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-დროგედა | 1:1 |
| დანდალკი-ბრეი | 1:0 |
| სტ. პატსი-კორკი | 1:2 |
| უნივერსიტი-შელბურნი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| სოლტჰილი-კობ რამბლერსი | 1:0 |
| უოტერფორდი-ეთლონი | 1:1 |
| ფინ ჰარპსი-უექსფორდი | 1:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ზნოიმო-ტეპლიცე | 0:0 |
| პრშიბრამი-პლზენი | 2:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ბუდეიოვიცე-ტაბორსკო | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| ზენიტი-ყუბანი | 1:1 |
| **უკრაინა** | |
| მეტალისტი-ილიჩივეცი | 2:0 |
| **პოლონეთი** | |
| რუხი-ლეჩია | 1:1 |
| ვიძევი-ზავიშა | 2:1 |
| **ხორვატია** | |
| დრაგოვოლიაცი-ისტრა | 0:1 |
| **უნგრეთი** | |
| ლომბარდი-პუშკაში | 1:1 |
| **რუმინეთი** | |
| გაზ მეთანი-ბოტოსანი | 1:2 |
| ჩახლაული-კორონა | 3:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტივი (ს)-ლიტექსი | 0:2 |
| **ლატვია** | |
| დაუგავა-იურმალა | 1:0 |
| **ესტონეთი** | |
| კურესაარე-ტრანს ნარვა | 1:0 |
| ფლორა-ტამეკა | 2:2 |
| სილამაე-ტალინა | 2:0 |
| **პარაგვაი** | |
| რუბიო ნუ-ნასიონალი | 2:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ატლანტა** | |
| დოდიგი-ჰიუიტი | 6:1, 3:6, 0:6 |
| ისნერი-ბლეიკი | 7:6, 7:6 |
| **ATP. გშტაადი** | |
| მონაკო-იუჟნი | 7:5, 4:6, 6:7 |
| ბრანდსი-ჰანესკუ | 3:6, 4:6 |
| გრანოლერსი-ჰაასე | 7:5, 3:6, 6:7 |
| ფ. ლოპესი-ვავრინკა | 6:4, 2:6, 6:3 |
| **ATP. უმაგი** | |
| ფონინი-კლიჟანი | 6:4, 6:2 |
| მონფილსი-მონტანიესი | 6:2, 5:7, 7:5 |
| სებალიოსი-სეპი | 5:6 სებალიოის უარი |
| რობრედო-ბედენე | 6:1, 6:4 |
| **WTA. ბაქო** | |
| პეერი-მაიერიჩი | 6:0, 6:4 |
| სვიტოლინა-ვეკიჩი | 6:2, 6:3 |
| ლინეტი-ჟაბორი | 3:6, 1:4 |
| ვოსკობოევა-კადანტუ | 3:6, 7:6, 3:6 |
| **WTA. სტენფორდი** | |
| ჰემპტონი-გიბსი | 7:5, 6:7, 6:3 |

## TV პროგრამა

### 27 ივლისი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ამხანაგური მატჩი. ოსაკა-მანჩესტერ იუნ.
12:00 სეზონის მიმოხილვა. არგენტინის ჩემპიონატი - სან ლორენცო.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ეინდჰოვენი.
16:00 სეზონის მიმოხილვა. არგენტინის ჩემპიონატი - რივერ პლეიტი.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი.
21:00 ევროპის ლიგა. ბენფიკა-ფენერბახჩე.
23:00 ევროპის ლიგა. ჩელსი-ბაზელი.
01:00 ამხანაგური მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ნაიმეგენი.
11:45 საჩოგბურთო მიმოხილვა.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ლეიკერსი.
15:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
16:00 რაგბი. ტესტ მატჩი. ინგლისი-ფიჯი.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰამბურგი. გერმანია.
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. მაკაბი-ხიმკი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

09:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ბაქო. აზერბაიჯანი.
11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).
15:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მემფისი-სან ანტონიო.
17:30 ძიუდო. გრან პრი. მოსკოვი. რუსეთი.
20:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ინდიანა-მაიამი.
22:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბაქო. აზერბაიჯანი.

### 28 ივლისი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. ბენფიკა-ფენერბახჩე.
12:00 სეზონის მიმოხილვა. არგენტინის ჩემპიონატი - ლანუსი.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ევროპის ლიგა. ჩელსი-ბაზელი.
16:00 სეზონის მიმოხილვა. არგენტინის ჩემპიონატი - ოლდ ბოისი.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ლივერპული.
20:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-აიაქსი.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
00:00 ევროპის ლიგა. ბენფიკა-ჩელსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ნიუ იორკი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 რაგბი. ტესტ მატჩი. ინგლისი-ავსტრალია.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
18:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბაქო. აზერბაიჯანი.
21:00 NBA ACTION.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. ცსკა-ჟალგირისი.
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ნიუ იორკი.

**GMG-სპორტი 2**

09:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბაქო. აზერბაიჯანი.
11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).
13:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მემფისი-სან ანტონიო.
16:00 ძიუდო. გრან პრი. მოსკოვი. რუსეთი.
18:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ინდიანა-მაიამი
21:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბაქო. აზერბაიჯანი
23:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 29 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 18 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 17 | 27 | (მზე) |
| გორი | 15 | 27 | (მზე) |
| თელავი | 16 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 16 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 9 | 20 | (მზე) |
| ბორჯომი | 12 | 26 | (მზე) |
| მესტია | 13 | 23 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1948 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6546 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5494 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0697 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# უნგრეთი ფეტელის დუბლით დაიწყო



სებასტიან ფეტელი

ბუდაპეშტის ავტოდრომ „ჰუნგარორინგზე" ორი თავისუფალი პრაქტიკით გაიხსნა უნგრეთის გრანპრი.

პარასკევი დილა უნგრეთის დედაქალაქში ძალიან ცხელი გამოდგა და ასფალტი 40 გრადუსამდე იყო გახურებული. საერთოდ, უნგრულ ტრასას მთელი სეზონის განმავლობაში იშვიათად იყენებენ და ამიტომაც, პირველი სესიისთვის ასფალტის მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელო იყო. შედეგად, ტოპ-გუნდების პილოტები არ ჩქარობდნენ ბოქსების დატოვებას.

შეგახსენებთ, რომ უნგრეთის გრანპრიდან მოყოლებული, გუნდები გამოიყენებენ „პირელის" ახალ საბურავებს - ეს არის 2012 და 2013 წლების კონსტრუქციების ნაზავი. სწორედ ამ საბურავების მახასიათებლების შესწავლისთვის გამოიყენეს საჯინიბოებმა პირველი ვარჯიში.

ტრასაზე სერიოზული ინციდენტები არ მომხდარა. **ჟან-ერიკ ვერნი** გადავარდა ტრასიდან მეოთხე მოსახვევში, თუმცა უპრობლემოდ დაბრუნდა ასფალტზე. ოქმს სათავეში ჩაუდგა **სებასტიან ფეტელი** - მისი დრო 1:22.723-ს უდრიდა. შედეგები საკმაოდ მჭიდრო იყო - რვა პილოტმა წამზე ნაკლები წააგო გერმანელთან. ყველაზე მეტი დისტანცია „მერსედესის" პილოტებმა გაიარეს, რადგან მათ ცოტა ხნის წინ, სილვერსტოუნში გამართულ ახალგაზრდულ ტესტებზე არ ჰქონდათ ახალ საბურავებთან მუშაობის საშუალება.

■ ■ ■

როგორც გითხარით, უნგრულ ავტოდრომს იშვიათად იყენებენ, ასე რომ, პარასკევს შეგროვებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, აქტუალობა დაკარგოს კვალიფიკაციაში, როცა ასფალტი დამწვარი რეზინის ფენით დაიფარება. თუმცა მეორე სესიის დროს, გუნდებმა პირველად იმუშავეს მანქანის მახასიათებლებზე საბურავების იმ ორი შემადგენლობით, რომელსაც კვირას რბოლაში გამოიყენებენ.

საჯინიბოები მხოლოდ საბურავებზე არ მუშაობდნენ. მიმდინარეობდა მომზადებული ტექნიკური სიახლეების გამოცდა. მაგალითად, პილოტები წრეებს ფიქსირებული სიჩქარით გადიოდნენ, რათა შეეფასებინათ აეროდინამიკური გადაწყვეტილებების ეფექტურობა.

ამინდმა გუნდებს საშუალება მისცა სრულად შეესრულებინათ დაძაბული პროგრამა, თანაც ტრასაზე არ მომხდარა არანაირი სერიოზული ინციდენტი. ბოლოს, პილოტებმა წრეების გრძელი სერია გაიარეს და ამით, რბოლის იმიტაციაზე გადაიტანეს აქცენტი.

ისევე, როგორც პირველი ვარჯიშის დროს, ახლაც, საუკეთესო დრო ფეტელს ჰქონდა (1:21.264). მას სულ მცირედით - 44 მეათასედი წამით ჩამორჩა **მარკ უებერი**. ეს უკანასკნელი პირველ სესიაშიც მეორე იყო. აღსანიშნავია, რომ მეორე ვარჯიშის დროსაც ფეტელთან რვა პილოტმა წააგო წამზე ნაკლები.

*„უქმეები მხოლოდ ახლა დაიწყო, მაგრამ ჩვენი მანქანა უკვე სწრაფია - ეს ოპტიმიზმს გვმატებს, თუმცა ყოველთვის არსებობს მომატების შესაძლებლობა. დღემ კარგად ჩაიარა, ბევრის რამის გაკეთება შევძელით, საჭესთან თავს კომფორტულად ვგრძნობდი. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა გრძნობ, რომ სიტუაციას აკონტროლებ, მანქანა კი იმის საშუალებას გაძლევს, რაც შენ გინდა. ვფიქრობ, RB9 კარგად ერგება უნგრეთის ტრასას.*

*ვიხილავთ თუ არა „რედ ბულის" დომინირებას? იმედია, ასე იქნება, მაგრამ ჯერ ნაადრევია ამაზე მსჯელობა. მართლაც, პირველ ორ ვარჯიშზე ყველაზე სწრაფები ვიყავით, მაგრამ საკუთარი პროგრამით ვმუშაობდით და არ ვიცით, რას აკეთებდნენ მეტოქეები. ვფიქრობ, კვალიფიკაციაში ძალიან მჭიდრო ბრძოლა იქნება და მანქანისგან მაქსიმუმი უნდა მივიღოთ იმისთვის, რომ ყველაზე წინ აღმოვჩნდეთ.*

*ახალი საბურავი? დღეს ჩვენ ვერ შევძელით მისი შედარება წინა მოდიფიკაციასთან, მაგრამ მანქანის ქცევაში დიდი ცვლილება ვერ შევნიშნე. მთავარია, რომ ეს საბურავი უსაფრთხოა. ჯერჯერობით არავის შექმნია პრობლემა"*, - განაცხადა ფეტელმა.

# პირველ რიგში, უსაფრთხოება

ფორმულა 1-ში მკაცრდება სასჯელი პიტსტოპების დროს არასაიმედოდ დამაგრებული საბურავების გამო. ახლა, იმ შემთხვევაში თუ მანქანა არადამაგრებული საბურავით დატოვებს გარაჟის სექციას, მომავალ რბოლაში საჯინიბო დაკარგავს სტარტზე 10 პოზიციას, - იტყობინება Sky Sports.

დაუმაგრებელი საბურავის თემა აქტუალური გახდა გერმანიის გრანპრის შემდეგ. მაშინ, „ნიურბურგრინგის" ტრასაზე ერთ-ერთი პიტსტოპის შემდეგ, **მარკ უებერის** ბოლიდს საბურავი მოძვრა , რომელმაც იქვე მომუშავე ოპერატორი დააზარალა.

■ ■ ■

ამასობაში, ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობა წესებში კიდევ ერთ ცვლილებას ამზადებს, რომელიც პიტსტოპების დროს ბოქსების ზონაში უსაფრთხოების ზომებს გააძლიერებს. ეს იდეაც გერმანიის გრანპრის ინციდენტის შემდეგ მოდის.

იდეა კი შემდეგში მდგომარეობს - უნდა შეზღუდონ პიტსტოპების მინიმალური დრო, აგრეთვე გუნდის თანამშრომლების რაოდენობა ბოქსების წინ.

მინიმალური დროის შემოღების შემთხვევაში, მექანიკოსებს აღარ დასჭირდებათ ჩქარი მოქმედება ბოქსებში მანქანების მომსახურებისას.

მოსალოდნელი ცვლილებები ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმა უნდა განიხილონ, მაგრამ უკვე ცნობილია პირველი რეაქცია: საჯინიბოებს არ მოსწონთ ეს იდეა.



მოტოსპორტი

# პედროსას ტრავმა სერიოზულია



დანი პედროსა

როგორც ირკვევა, "ჰონდას" პილოტის **დანი პედროსას** ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ.

ესპანელმა გასულ კვირას, აშშ-ის გრანპრიზე მეხუთე ადგილი დაიკავა, ევროპაში დაბრუნების შემდეგ კი სამედიცინო შემოწმება გაიარა, რამაც ლავიწის ძვლის მოტეხილობა გამოავლინა.

შეგახსენებთ, რომ თავდაპირველი ვარაუდით, გერმანიის გრანპრის დროს მომხდარი ავარიის შემდეგ, პედროსას უბრალოდ ძვალი ჰქონდა გაბზარული და ამის გამო, "ჰონდას" პილოტს აშშ-ის რბოლაში გამოსვლის უფლება მისცეს. მაგრამ სიტუაცია გაცილებით რთული ყოფილა და ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ეტაპის გამოტოვება მოუწევს ესპანელს. თუმცა კარგი ამბავი ის არის, რომ დანის ოპერაცია არ დასჭირდება.

ამ ტრავმით გამოწვეული უფორმობის გამო, პედროსამ ბოლო ორი რბოლა წააგო თანაგუნდელ მარკ მარკესთან და მნიშვნელოვნად ჩამორჩა მას გენერალურ კლასიფიკაციაში.

მძლეოსნობა

# ბოლტი დოპინგს უარყოფს

მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი **უსაინ ბოლტი** ლონდონში ჩავიდა „ბრილიანტის ლიგის" ეტაპში მონაწილეობის მისაღებად. ბრიტანეთის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე, 100 და 200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდების მფლობელმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ არ იყენებს აკრძალულ პრეპარატებს.

*„ბოლოდროინდელი სკანდალების შემდეგ, უკვე ყველას ჩემშიც ეპარება ეჭვი. საერთოდ, რამდენი ხანია, რაც ჩემს კარიერას ადევნებთ თვალს? პეკინის ოლიმპიადიდან? მე უკვე 15 წლის ასაკში სასწაულებს ჩავდიოდი. იუნიორებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი გავხდი. 17 წლისამ მსოფლიოს რეკორდი დავამყარე იუნიორთა კატეგორიაში. საკუთარ თავს უკვე დიდი ხანია ყველაფერი დავუმტკიცე"*, - განაცხადა ბოლტმა.

■ ■ ■

ამასობაში, სპრინტში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 30 წლის იამაიკელი **ასაფა პაუელი** აცხადებს, რომ დიდ სპორტში აპირებს დაბრუნებას დადებითი დოპინგ-ტესტის მიუხედავად, რომლის გამოც მას 2013 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ პაუელი ზაფხულის დასაწყისში იამაიკის ჩემპიონატზე გამოიჭირეს დოპინგის მიღებაში, თუმცა მისი დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608